

893 /
1997/2


ԱՀԱՅԵՑԱԽՈ

ԱՀԱՅԵՑԱԽՈ
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ



։ ՀԵՂԱԼՈՒԹԵԿԴԱ ։ ԱՀԱՅԵՑԱԽՈՒԹԵԱ ։

ՍԱՄՊՐԵԿՈՎԻՆ-ՎԱՌԵԼՈՎԻՆԵՐՈՒ ։ ՀԵՂԻՆԵԱԼՈՆ ։





**ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ԿԱՎԱԼԵՐԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ԿԱՎԱԼԵՐԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ**

ցնշում գաղտն „զօնա և արք”, շնորհ մեջբոլ „զօն օպազ”;
շնորհ ովքը „ռամեց”, շնորհ մեջբոլ „ռա գանձլոյ”;
„սաօտին՞” – մօնանմեցքը մամոն, ու լուս օպօ:
„սական՞” ուժութուն արու առա մարդու եկուզա ճարևողուս
– օչո տանը քմեջուու մոհանուու մոմազլուս.

ՑՐՈՑՄՈՒՄ ՌԱՌԱՋՈՒՅՑ

ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ

ԿԴԸ
ՀԲԸ
ԿԿԸ

1997

ՕՃՈՂՈԽՈ



აზოვის განვითარების მისამართის სახაზნიარო-აკადემიული ერაկებული

აზოვის განვითარების მისამართის სახაზნიარო-აკადემიული ერაკებული

რედაქტორ-გამომტევნი

ପ୍ରକାଶ ପ୍ରକାଶକ

სარედაქციო ჯგუფი:

თრირი ასათიანი

მარტა გლოვალი

ԱՆՁԻՆ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

გირგი კალანდია

၁၀၆၄) ၂၀၈၀၂၂၀၅၁ၦ

ତମା କାର୍ଯ୍ୟତଥାର୍

Algebraic closure. A note 5

300mm 200mm 100mm

1

សំណង់

მარტინ სულხანიშვილი

კორუქებითი

606(၅) ပုဂ္ဂန်များ

კირისპანდუნტები:

ლევან თაგორისი

მაია გარეულაძე

շշրիալ „արդիան-յշտան”

1997-03-01 00:00:00

ტარიელ გვალია

თელო დუნდუა

ପ୍ରମାଣିତ କାହାର କାହାର

დავით გოგიაშვილი (თავ)

800-630-3006

ရှေ့ချိန်အကျ ..အလုပ်အင်-ဘွဲ့“ ကာပ်မြေကိုလေ အသိသိတေသန

© ජාත්‍යන්තරයා

სტარიული რეკონსტრუქცია სარეკონსტრუქციო საბჭოს მიერ

ՀՅԴՐԱՆՑ 1994 ԳԵՂԱՔ

Դա տօնութեա, հիշեամաժյօնու վ. № 50, յամունյօթլու և „ՃԵՐԱՎՔԻՐ“ (անգլ.՝ *Cheravkiran*) կամ Հայոց առաջարկությունը, 1 յուրաքանչյուր, յարուցած ճամփարանի համար, ռուս. № 201) ☎ 96-75-43, 29 31-33, 29-49-23.

გიორგი როსხეზური
გონა სამიერი

9

რკონის წარწერები

თემისურაზ
გვანცელადა

20

კონსტანტინე-ფოფილი კირილე (XVI საუკუ
ნის დასაწყისის ქართლის სამეფოს ისტორიადან)თორნიკა
ზარალიაშვილი

28

1561 წლის უცნობი იტალიური რუკა და თებაზოა
ისტორიული სამშობლოს ლოკალიზაცია

გიორგი მახარაძე

32

პართიკელები და სპარსელები IV საუკუნის
რომაულ წყაროებში

ნინო გიორგიშვილი

42

ბრინჯაოს ხანის საქართველოს ოქრომჭად
ლების ნიმუშია ლაზერული მას-საპექტრო-
მეტრული ანალიზის შედეგებიორინიკა ასათიანი
იური ჩიქოვაძე

45

რეზოუმე

Abstracts

კახეთის ბაზობის მანუსკრი

ორინიკა ასათიანი
იური ჩიქოვაძე

52

კახეთის მანუსკრი - 120

ჯავახიშვილთა საგვარეულო გერბი
გენეალოგიური ტაბულები

ლევი ბარამაშვილი

53

სარწმუნოება

წმ. აბო თბილელის საძლოცველო

ლევი ბარამაშვილი

63

მოგრძელება

ბიბაჩემი - ძია კოლა

სახალისო მანუსკრი

ისტორია „რეკორდებში“ (სამხედრო ისტორია)

78

საინტერესო ამბები (სამხედრო ისტორია)

87

კროსვორდი


89

იუმორი (სამხედრო ისტორია)

92

მეცნიერული შარჟი

95



ანანურის გასაჭირი

„მურიკაცი ვარ, ხუ მიმდოვავ,
კურ ანანური მაჩვენე...“

ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი საქართველოს გვიანი შუა საუკუნეების ერთ-ერთ საუკუთხესო ძეგლის წარმოადგენს. იგი მდებარეობს თბილისისადან 66 კილომეტრის დაშორებით, სამხედრო გზაზე, ღუმეთის რაიონში, მდინარე არაგვის მარჯვენა სანაპიროზე. ანანურის ციხე-სიმაგრე წარსულში არაგვის ერთსთავთა რეზიდენცია გახლდათ. მასში თავმოყრილია სამხედრო, საერო და საექლესიო ნაგებობანი. აღმართ ძნელია ბადალი მოეძებნოს ანანურის კომპლექსს გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მრავლად არის აღნიშნული ეპოქის ძეგლები, თამაშად შევვიძლია ვთქვათ, რომ ასე ერთად თავმოყრილი და ჩვენს დრომდე ასე კარგად შემოხახული არქიტექტურული ანსამბლი გვიანი შუა საუკუნეებისა სხვა არ გაგვაჩია.


ანანურის კომპლექსში ეკველაზე ძველი ნაგებობა XIV XV საუკუნეებს განეკუთხება. ეს არის ხუთსართველიანი კაშტი პირამიდული გადასურებული. მათკენა კეშე შეიდანართულიანია. იგი XVII საუკუნის პირველი ნახევრისაა. გაღაენის კედლებში მოქცეულია 4 წრთული კოშკი. ციტადელის აღმოსავლეთი დგას მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია (XVI-XVII სს.), რომელსაც აღვიღობრივი მოსახლეობა „მეურნალის“ უწოდებს. მასზე მოიგეანებით დაუშენებიათ სამრეკლო. დაახლოებით XVIII საუკუნის შუა წანებს ეკუთვნის გუმბათიანი, შედარებით მცირე კელებია – „ლუთაქბა“, რომელიც ეზრის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ანანურის ანსამბლის უმთავრესი არქიტექტურული ნაგებობაა დიდი გუმბათიანი ტაძარი და მიმდებლის მიძინების სასელობასა. იგი 1689 წელს აუგიათ.

ანაზური. როგორც აღენიშვილი, წარმოადგენდა არავის ერისთავთა რეზიდენციას. ამისუმ მან წინა საუკუნეებში მრავალი შემოსევა განიცალა. მაგრამ არც XX საუკუნე აღმოჩნდა იღბლიანი. ძევლის პრობლემა ყურადღების ცენტრში მოექცა მას შემდეგ, რაც ახორციელდა უინვალის პილოტკომპლექსი. ამის შემდგომ დაიწყო მოსახლეობის განუწყვეტვა ჩივილი საყოფაცხოველებო პირობების გაუარესებისა თუ ანაზურის კომპლექსის სურათთან მდგრამარეობის გამო. ამასთან დაკავშირებით გამოიყო სახელმწიფო კომისარი ჩრდილიშვილი უნდა შეესწავლა ძევლის მდგრამარეობა და გაურკვია თუ რა გაეღწის. აჩდენდა მასზე უინვალის პილოტკომპლექსი.

1993 წელს არავინი ხეობის პრობლემათა შემსწავლული კომისიის კულტურულ-ისტორიულ პრობლემათა ქვეკომისიაშ შეადგინა დასკვნა, რომელშიც ვკითხულობთ: „ერთგანის წყალსაცავისა და პიდროტენტიკური კომპლექსის პროექტირებისა და მშენებლობის დროს პროექტის ავტორებმა და მშენებლებმა სრულიად არ გაითვალისწინეს ძეგლის მომავალი ბედი. ფინვალის წყალსაცავის მშენებლობის გამო სოფელ ანანურში ვამავალი ე.წ. საქართველოს სამხედრო გზა გადატანილი იქნა ანანურის ჩუროთმოძღვრული კომპლექსის დასაცალეთით მდებარე ჭყრდობზე. ამან ვამოიწვია კომპლექსის მიმდებარე დანდგმაუტის მნიშვნელოვანი რელიეფური ცვლილებები, რის გამოც დიდი ზიანი მიადგა კომპლექსის მხატვრულ ღირებულებას. მაგრამ მთავარი პრობლემად დღემდე რჩება ის გარემოება, რომ წყალსაცავის უმაღლეს საპროექტო ნიშნულამდე (810 მ) აწევის შემთხვევაში დიდი საფრთხე ექმნება. როგორც კომპლექსის ძირითად ნაწილს, ასევე სრული განალებულება ვმუქრება კომპლექსის ძველა და აღავანში მოქმედებ ხუროთმოძღვრულ ნიმუშებს (ე.წ. ბერების საცხოვრებელი სახლი, ეპისკოპოსის სასახლე) და მიმდებარე ძველ



յանցաւքսի წյառիչակացո. Բնիք ձևահերթ – օհանչութեա մըսեա շյալցած (յուգուցա քաջազդյալու ծյւու զայտնանձամցուցս մօյն 1996 წվաս 31 տիցտամծնի).




უმისეკომისის დახურულები სამართლების მინისტრის წევალხადი
და წყლის გაცემისთვის ნაპარი.

კოდორიზე უდინის. რაც მთავარია, წყლის შედის კომპლექსის საძირკველი აქედან გამოიყინარის, ჩენ მივაჩნია, რომ წყალსაცავის დონის აწევა იძ ნიშნულამდე, რომელიც ანაურის ხუროთმოძღვრულ კომპლექსს ზიანს მიაქვებს, დაუშეკტელია” (ხელს აწერის კომისიის წევრისთვის: ნოლარ მინდორაშვილი, მერი მამარდაშვილი, ვაჟა ჭინჭარაული, ივანე წილაძე და ექსპედიციის ხელმძღვანელი კობა არაბული).

კომისიის მიმართა ისტორიისა და კულტურის ტეგლისა დაცვის მთავარი სამსართველოს უფროის ბ 6 ლერი მემართაშვილს და სოხოვა სამეცნიერო საბჭოს შეედგინა სათანადო დასკვნა. ჩვენ ხელთა გვაქვს ეს დასკვნა, რომელშიც აღხიმულია, რომ „მეგლოთა დაცვის მთავარი სამსართველოს სამეცნიერო-მეთოდურო საბჭოს პრიზიცია ამ საკითხის მიმართ ურთმნიშვნელოვანია და უფლებად დაუშეკტელია მიაჩნია წყალსაცავის დონის აწევა საპროექტო ნიშნულამდე” (ხელს აწერს სამეცნიერო მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე ლერი მეძღვარიაშვილი).


მოუხედავად მიღებული გადაწყვეტილებისა, 1996 წლის გაზაფხულზე მოხდა წყლის დონის აწევა 810 მ ნიშნულამდე, რამაც გამოიწვია ქვედა გაღავანში ძღებარე კპისკოპოსის სასახლისა და ბერების საცხოვრებელი სახლის დატბორვა. ამჟამად იქ უკვე აღარ არის წყლი. საფრთხე, რომ აწეული წყალი საძირკველს გამოაცლისა კომპლექსს, აღარ არსებობს.

ჩვენ ხელთა გვაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის კათედრის დოცენტ ემილ წერეთლის დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყლის დონის აწევა ვერ მოახდენს უარყოფით გავლენას ხუროთმოძღვრულ კომპლექსზე, რაღაც ეპლენის საძირკველი განლაგებულია ცარცული ასაკის მქონე მტკიცე



საქართველო
კულტურის
მუზეუმი

ანანურის მცირე ექლეგის. დაჩვრებული დახაულების კედელი. გადაღებულია მნიშვნელოვანი.



კარიბების კოში. ერთ-ერთი საწყლების მატაჯი.

კლდოვან ქანზე, ფერდობის საწინააღმდევო დახრილობით, რაც განაპირობებს მის მდგრადობას.

კარგი იქნებოდა, რომ ანანურის პრობლემა ამით გადაჭრილოდა, მაგრამ საქმე სხვაგვარადაა: უინვალის წყალსაცავის აგებაშ მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენადმე შეცვალა კლიმატი. ჰაერი ტენიანი გახდა. ამან გამოიწვია ჭარბი ჩრდილოების მთელ ხუროთმოძღვრულ ანსამბლში, რომელიც ნახევარკუნძულიავით არის შეჭრილი წყალსაცავში. გარედან, გაღავნისა და კოშკის კედლებზე, აშკარად შეიმჩნევა სინესტის კვალი. ნებტეს იმდენად გაუშავებია ჩუთასროთულიანი კოშკის პირამიდული სახურავი, რომ მნელად იკიცება მისი წყობის შტრიხები. კომპლექსის ჭარბიჭეზე აღმართული კოშკის პირველსა და მეორე სართულზე ტენიანობის მომატების გამო ჩამტკრა ხის იატაკი. ნებტის წყალობით თითქმის ყველა კოშკის კედლებზე მოდებულია ხავსი.

არც ღვთაების ტაძრის სახარბიელო ძღვომარწობაში. ეკლესიის სახურავი რესტაურაციასა და შეკეთებას საჭიროებს. გუმბათი აგურისაგან არის ნაგები. აღაგ-აღაგ აგურის წყობა დაშლილია, ხოლო სახურავზე კრამიტია ჩარღვეული. კრამიტს ხავსისა და შლამის სქელი ფენა ადევს. როგორც ჩანს, ჩარღვეული ადგილებიდან შლამი ტაძარში ჩაუდინება. კურც ტაძრის ინტერიერში ნახავთ სასურველ ძღვომარწობას. ნებტმა გამოიწვია ქვის მასალის შლა. კელლებზე თვალინათლივ შეიმჩნევა სისკელე. თაღოვანი გადახურვა მოლიანად დანესტილია. ტაძარში ყრია ქვები და როგორც აღვნიშნეთ, ჩამოცუნილია ქვიშა. გულსატკენია, რომ ასეთ მნიშვნელოვან კომპლექსში ტაძარი უპატრონოდ არის მიტოვებული.

ხუროთმოძღვრული ანსამბლის უმთავრეს არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენს ღვთისმშობლის მიმინების ტაძარი. მისი გუმბათის ყელზე აშკარად შეიმჩნევა ნებტის ლაქები. ეკლესიაში არსებული ჭარბი ტენის გამო კინკელისა და ხატებს თბი აქვთ მოდებული. შიგნიდან ტაძარი კირით არის შეოეორებული. მის ბურჯებსა და სამხრეთი კედლის მცირე ნაწილზე კირი გადაკლილია და აღდგნილია ძველი მხატვრობა, ძაღრაშ ფრესკებს საფრთხე ემუქრება, რადგან გუმბათის სარკმლებიდან ჩამოდის წყალი. ჩამონადები წყლის კვალი ცხადად ჩანს კედლებზე. ამდენად, სარკმლები შემინვას საჭიროებს. გარდა ამისა, აღბაო დაღვა დრო ვიზრენოთ, რათა კედლებს მოშორდეს კირის საფარი და აღდგეს ძველი მხატვრობა.

ქვედა გაღავანთან აგებული ეკლესია სავალალო და შემთავავ მღვომარწობაშია. მოლიანად ჩამოშლილია დასავლეთი კედელი, ჩამორღვეულია გაღახურვა. იქნე ყრია ნაშალი მასალა. ასეთივე ვითარებაა ეპისკოპოსის სასახლეში. მას სახურავი საერთოდ აღარ გააჩნია. ჩანგრეულია კედლები, კურც კი იფიქრებს კაცი, რომ აქ ოდესიდაც ეპისკოპოსის სასახლე იყო.

კომპლექსი რომ მკვრივ ქანზე აგებული, ამაში ჩეუნ თავადაც დავრწმუნდით, მაგრამ შექმნილი სიტუაცია, კერძოდ, უინვალის წყალსაცავის არსებობა მოითხოვს კომპლექსზე უფრო გამახვილებულ და განსაკუთრებულ ყურადღებას!

რძონის ტარტერები.

გიორგი როხმაშვილი

ისტორიის, მეცნიერებულ კუსტოდიატი,
თსუ საქართველოს ისტორიის ჭარბერძნებული

წინამდებარე სტატია წაკითხულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის 120 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე. საიუბილეო სესიაზე აღნიშნული მოხსენების გატანა რომ მიზეზით იყო განპირობებული: 1) რკონი ჯავახიშვილთა სათავადოში ძღებარეობდა. 1260 წლის საბუთის მიხედვით კახა თორელი რკონის მონასტერის სწირავს სოფელ ხოვლეს (ჯავახიშვილთა სამამულო მფლობელობას რკონში აძავე საბუთის გვიანდელი მინაწერებიც აღასტურებენ — 1, 145-160). როგორც ცნობილია, იორების ჯავახიშვილთა წინაპრები იყვნენ (8, 7-78), ხოლო ხოვლე ივანე ჯავახიშვილის ძმობლიური სოფელი გახდედათ. 2) დღევანდლაძე რკონის სამონასტრო კომპლექსიდან მხოლოდ ერთი წარწერა იყო ცნობილი, რომლის შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში იყ. ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. მან გაძოაქვეყნა პირველად 1400 წლის წარწერა რკონიდან, რომელიც თემურ-ლეჩის მიერ რკონის აოხრებასა და უკლესიერის დანგრევას გვაძლინდა (10, 299).



რძონის სამონასტრო კომპლექსი. ხელი სამხრეთ-დასავლეთიდან. ფოტო ბება კულაკია. 1997.

* ჩვენი სიურ წარმოდგენილ წარწერათა ფოტოები დამზადებულია ფოტოგრაფ რომა ცეკიტინიძის მიერ. გრაფიკული მონახაზები შეასრულა მხატვარმა დიმიტრი ცუცქირიძემ.

რძონის სამონასტრო კომპლექსის (და საერთოდ, კასპის რაიონის) ეპიგრაფიკული მუკლების მოკვლევაში განვიხილა დახმარებისათვის დად მაღლობას მოვახსენებ კასპის მხარეთმცოდნეობის მუნიციპალიტეტის — ბატონ გიორგი ხორგუაშვილის და მუზეუმის თანამშრომლების.

1. ისტორიული ქრონიკა

საძსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ამოღარულია ჩათლის მცველების ექლესის
და საკულტო შესასვლელის სამხრეთ ანაფოლზე. ურთ ქვაზე მარტივი: 36×35 .
წარწერის ფართობი: 30×10 . გრაფუმების სიმაღლე: $0,5-3,2$ (ზომები აქაც და
ქვემოთაც მითითებულია სანტიმეტრებში). დამწერლობა კიბრეტურულოვანია.
განკუთხილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი: განივი, ძოლუე, კიბრეტურულოვანი
ხაზი – ნახმარია ურთხელ, თარიღის აღმჩინევნელ გრაფუმებზე.

წარწერა თავითლიანია: ქორონჩიკონი პმ = 1400 (1312+88)

፩፻+፭ ፳፭፻፲፯ ፭፻፲፯፲፯
፪፻፲፯+፭፻፲፯ ፭፻፲፯፲፯ ፭፻፲፯
፭፻፲፯ ፭፻፲፯+፭፻፲፯ ፭፻፲፯ ፭፻፲፯

- † ԸՆԾ ՏՕՒԹԸ ԵՐԵՇՎՈՒ
 - ԾԸՆԾ†ԾՂԻՄ[Ծ]ԻԿԱՆԾԻԾԸՆ[Ծ]ԸՆ
 - ԾԸՆԾԸՆ†ԾԸՆ†ԳՐԱԿՈՒՄ

յ. այս մույսօք լու(ա)նցըեմու(չ)ր՝
լու լու(ա)կըուզնի նյալու ևօսն[հ] լու ըշ-
տնուրա² լու(ա)վըուս. յ(րոնի) յ(ռ)ես ուր ԱՌ.

¹ Հայութեան Շահումյան, ² Արմավաշտիկոս Հայութեան

წარწერა, შეიძლება ითქვას, იმურაქს (რკონთან დაკავშირებით) ჭაროულ ნარატივულ წყაროებში დაცულ ცნობებს საქართველოში თემურ-ლეჩის შექვესე ლაშქრობის შესახებ. XV საუკუნის ცნობილი ლარჯელი მოღვაწის – ვრიფოლ ბანდაისძის მიერ ლარვვისის პარაკლიტონზე გაკეთებულ მინაწერში ვკითხულობთ: „... მოქცევასა: იდ: ქ კს: პმ: მაისი: 8: მოვიდა თუმურ ბე სულტანი სამარყანელი... და მოკლეს ყოველი ქუჩანამ და წარტყმუსნეს და დააქციენეს საყდარნი, მონასტერები და ეკლესიანი და აღისუნეს ეოველნი ციხენი და მოსრეს, ტყებ ქმნეს და მოაკრეს ყოველი ქუჩანამ დასაკვლეთამდის...“ (7, 204).

რკონის სამონასტრო ქომპლექსის მონახულებისას მივაკვლიყ კადევ 10 ლაპიდარულ წარწერას. ოთხი წარწერა ამოღარულია იმავე ქვაზე, რომელშიც „თემურ-ლენგის წარწერაა“ ამოკვეთილი. ეს წარწერები ერთი თხურატის ნახელავია (შესრულებულია 1400 წლის წარწერის მსგავსი ხელით) და ამიტომ 1400 წლის ახლო ხანებით უნდა დათარიღდეს.

2. ანტონის მოსახსენებელი

ერთსტრიქონიანი. წარწერის ფართობი: $17,5 \times 3$. გრაფიმების სიმაღლე: 0,5-2. განკვეთილობის ჩიმნები არ ახდავს. სიტყვები ერთმანეთისავარ დაცილებულია. ქართველის ნიშნებად ნახმარია განივი, ძოკლე და სწორი, ავრეოვე კლაკანილი ხაზი. გვხვდება ლაგატურა (შ - 6).

గుండ్ర గుండ్ర గుండ్ర

3. ბასილის მოსახსენებელი

ერთსტრიქონიანი. წარწერის ფართობი: 14 x 4. გრაფიკულის სიმაღლე: 1,5-2,2. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. სიტყვები ერთმანეთისაგან დაცილებულია. ქარაგმის ნიშნად ნახმარია განივი, სწორი, კიდურწერტილოვანი ხაზები.

სტრილის ტექსტი

ასეს ყნ ინ

ბ(ა)სილს მ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.



სტრილის
ტექსტი

4. დემეტრეს მოსახსენებელი

ერთსტრიქონიანი. წარწერის ფართობი: 11 x 2. გრაფიკულის სიმაღლე: 0,5-2. ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნების გარეშე. სიტყვები დაცილებულია.

დემეტრეს ტექსტი

იი ჭადაბა ბა

ღ(მერთ)ო, მ(ეიწყალ)ე ცოდვ(ილ)ი ღ(ემეტრ)ე.

5. იოანეს მოსახსენებელი

ერთსტრიქონიანი. წარწერის ფართობი: 13 x 3. გრაფიკულის სიმაღლე: 1-2. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. სიტყვები დაცილებულია. ქარაგმა: განივი, მოკლე, კლაკნილი, კიდურწერტილოვანი ხაზი.

იოანეს ტექსტი

იოან ყნ ინ

იო(ა)ნ(ე)ს მ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ.

6. ისტორიული ქრონიკა

ნათლისმცემლის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, ქვების ქვემოდან მეორე წყობაში, ქვედა ლავგარდანის თავზე, ამოღარულია სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ქვის ზომა: 21 x 61. წარწერის ფართობი: 18,5 x 13. გრაფიკულის სიმაღლე: 1,2-5,6. ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნების გარეშე. სიტყვები ერთმანეთისაგან არ არის დაცილებული.

ისტორიული ქრონიკა

1. ცხაცხილ
2. ყრახრა
3. ზოგადი

აქ(ა)დ ამოსწ-
ე(კ)ლ(ა) რკ(ო)ნი, თ-
ვ(ე)ს(ა) მ(ე)რვ(ეს)ა.

წარწერა, ჩემი აზრით, შინაარსობრივად ეხმიანუბა 1400 წლის წარწერას (№ 1). იგი საქართველოში თემურ-ლენგის მექანის ლაშქრობის ერთ ეპიზოდს მოვკითხოობს. „აძლენის წყვილი“, ვფიქრობ, სოფელ რეონის მოსახლეობისა და რეონის მონასტრის მღვდელმსახურთა გაფლეტას უნდა გულისხმობდეს. ასეთი სისახტიდე უცხო/ არ იყო თემურ-ლენგისთვის. იმავე 1400 წლის ლაშქრობის დროს ქვათახუვში „შეიცყრეს მუნ მყოფნი კაცნი. მამანი და დედანი, მღვდელნი და დიაკონნი და მონაზონი, და შეამწყედიეს ტაძარსა წმიდისა ჭუაბუა-ქვისა ღთისმმობელისასა და შეუგზნეს ცეცხლი შინაგან კულტისა და დაწვეს“ (2, 238).

ცოტა არ იყოს დამატეიქებულია გრაფემათა ჯგუფის – თესმრეა ვახსნა, როგორც „ოვესა მერვესა“, მაგრამ სხვაგვარი წაკითხვა ტექსტის ამ ადგილისა არ ხერხდება. თემურ-ლენგის მექანის ლაშქრობა საქართველოში გამორჩეული იყო სხვა ლაშქრობებს შორის ხანგრძლივობითა და სისახტიკით. ის მთელი გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში გრძელდებოდა. ახლა არ შევუდგები ამ ლაშქრობის დაწვრილებით აღწერას, იგი საკმაოდ კარიგად არის გამუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში (5, 693-700). აღვნიშნავ მხოლოდ, რომ თემმის ჩეობის დარბევა ამ ლაშქრობის ერთ-ერთი ბოლო ეტაპია და ამიტომ საესებით შესაძლებელია ავგისტოში, მერკე თვეს ჰქონდა ადგილი (რეონის მონასტერი, როგორც ცნობილია, თემმის ხეობაში მდებარეობს. ვახუშტი ბაგრატიონიც აღნიშნავს: „ოუბმის მდინარესა ზედა არს კრკონის მონასტერი გუმბათიანი, ფრიად მაგარსა და შეუეალს ადგილს ... ზის წინამდებარი“ – 3, 341).

პალეოგრაფიული ნიშნები მხარის უჭერის წარწერის დათარიღებას XV საუკუნით: ა-ს ზედა განივი ხაზი ტანს მოცილებულია; ღ-ს მაღალი ყელი; მ-ს ზედა განივი ხაზი არა მარტო ზევითაა აზილული, არამედ მორკალულიცა; ნ-ს მოყვანილობა კუთხოვანია და ზედა განივი ხაზი ირიბად არის ზეეთ აშვერილი; ო-ს ფეხი ქვევითაა დახრილი; წარწერა შესრულებულია კიდურწერტილოვანი დამწერლობით, ოლონდ, განსხვავებით X-XII საუკუნეების კიდურწერტილოვანი დამწერლობისაგან, ასოების მოხაზულობაც და კიდურწერტილოვნებაც ასიმეტრიულია.


ამრიგად, წარწერის შინაარსი და პალეოგრაფიული ნიშნები საუკუნეების გვაძლევს, აღნიშნული წარწერა 1400 წლის ახლო ხანებით დავათარილოთ.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ამავე პერიოდით (1400 წლის ახლო ხანებით) უნდა დათარიღდეს ნათლისმცემლის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ამოღარეული ორი წარწერაც:

7. დემეტრეს მოსახსენებელი

ხუთსტრიქონიანი ასომთავრუელი წარწერა ნათლისმცემლის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის ქვედა ლავგარდანის თავზე, ქვების ქვემოდან მეორე წყობაში. ქვის ზომა: 31 x 95. წარწერის ფართობი: 21,5 x 12. გრაფემების სიმაღლე: 2-7. წარწერა შესრულებულია კიდურწერტილოვანი დამწერლობით. ქარაგმის და განკვეთილობის ნიშნები არ არის ნახბარი.

1. წ
2. ყ
3. ცი
4. ბერა;
5. ე



ქ(რისტ)ე,
შ(ერწყალ)ე
ცო(დვილ)ი
დე(მე)ტრ-
ე.

ამ წარწერაში მოხსენიებული დემეტრე შეიძლება გავაიგივოთ № 4 წარწერაში მოხსენიებულ დემეტრესთან.



8. ნიკოლოზის მოსახსენებელი

ორსტრიქონიანი ნუსხურნარევი ასომთავრული წარწერა ამოღამარულის-ნათლის-ქემლის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, ქვების ქვემოდან შესაძლებელი ქვის ზომა: 37 x 73. წარწერის ფართობი: 11 x 8. გრაფიკულის სიმაღლე: 0,7-3,5. ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს.

1. მოზარდებული	მღვდელი
2. რეზიზი	ნიკოლოზი

რკონის სამონასტრო კომპლექსში მშენებლობის სამი ძირითადი ფენა განირჩევა. ზემოთ განხილული წარწერები ამოკვეთილია ნათლისმცემლის ეკლესიაზე, რომელიც შმენებლობის მეორე ეტაპს წარმოადგენს (XIII-XIV საუკუნეთა მიჯნა). პირველ ფენას მიეკუთვნება VII საუკუნეში აგებული და შემდეგ საფუძვლიანად გადაკეთებული ღვთისმმობლის ეკლესია (9, 199-203; 4, 410). მის დასავლეთ ფასადზე შემორჩენილი წარწერები საშუალებას განვსაზღუროთ ეკლესიის განახლების დრო.

9. სამშენებლო (განახლების) წარწერა მარიამისა

ცხრასტრიქონიანი ნუსხურნარევი ასომთავრული წარწერა ამოღამარულია ღვთის-მმობლის ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, სარკმელოან. ქვის ზომა: 30 x 37. წარწერის ფართობი: 22 x 30. გრაფიკულის სიმაღლე: 1,5-4. დამწერლობა კიდურწერტილოვანი. ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. წარწერა ბევრგან ამომტვრულია და ზოგიერთი გრაფიკა აღარ იკითხება, მაგრამ ხერხდება მათი აღდგენა აზრობრივად.

1. ჩი რესა ჭა ზა
2. ჰყა რა ცა ცა ყ[უ]რ
3. ზა ჰა რა რა რა რა
4. ჩი რა ცა ცა ცა ცა
5. ურა ცა ცა ცა ცა ცა
6. ჰყა რა რა რა რა რა
7. ჰრა ცა ცა ცა ცა ცა
8. ყრა რა რა რა რა რა
9. ჩა რა რა რა რა რა

წ(მიდა)ო ექლ(ე)ს(ია)ო, მ(არია)მ და
შშ(ო)ბ(ე)ლი მათი შ(ე)ნ(ა)წ(ე)ლ[ე]

და მ[ე]ო]ს ექმენ წ(ინაშ)ე [ღ(მრ)თი]სა.

წ(მიდა)ო მ(არია)მ, შეეწიე წ(ინაშ)ე ძის[ა]
შენისა და ღ(მრ)თისა ჩ(უ)ე [ნის]ა
მ(ა)შე[ნ]ებ(ე)ლ(სა)¹ ს(ა)ყ(ო) [ფ]ლისა
შ(ე)ნისამ. დამწერა

კელითა მ(ი)[ქ](აე)ლ ეზ(ო)ს-
ხ(ე)ც(ე)ს(ის)ამთა. ო(უფალ)ო შ(ეიწყლ)ე.

წ(ო)რ(ე) წ(ე)რ(ე) წ(ე)რ(ე) წ(ე)რ(ე)
წ(ე)რ(ე) წ(ე)რ(ე) წ(ე)რ(ე) წ(ე)რ(ე)


¹ წრწ: მ(ა)შე[ნ]ებ(ე)ლ

როგორც ტექსტიდან ჩანს, ეს სამშენებლო წარწერაა. ამენებაში შეიძლება ეკლესიის განახლებაც იგულისხმებოდეს. ამის მაგალითები მრავლად გვაძეს ქართულ ეპიგრაფიკულ ტკბილებში, მაგალითად – ბოლონისა, ჩიქოზისა და ურბნისის ეკლესიებზე შემორჩენილია როგორც სამშენებლო (V ს.), ისე განახლების (X ს.) წარწერები, რომელიც განმასლებლები ამშენებლებად იხსენიებიან (6, №№ ქ. 2, 95, 104, 105, 139).

წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით X საუკუნით უნდა დათარიღდეს: ასომთავრულმა შერეულია ნუსხური ასოები – ა, ღ და ღ; ნუსხურზე გარდამავალია თ; უყელოა დ (ზედა განივი ხაზი წრეზე ზის); ჭ-ს ქვედა ფეხი ჩამოგრძელებულია; მ-ს მუცლის შემკერული ხაზი არ გადაღის მარჯვნივ; ე ღა ღ გრაფეტებს აქვთ მარცხნივ გაზიდული დამატებითი განივი ხაზები. საქროოდ, დამწერლობის ხასიათი – კიდურწერტილოვნება, გაკუთხოვნება და ოთხხაზოვანი წერითი ბაღის ხმარება ამ წარწერას, როგორც აღნიშნე, X საუკუნის ათარიღდებს.

10. ოვანეს მოსახსენებელი

ღვთისმმობლის ეკლესიის დასაკლეთ ფასადზე, სამშენებლო (განახლების) წარწერის გვერდით, ამოღარულია ურთსტრიქონიანი ნუსხურნარევი ასომთავრული წარწერა. ქვის ზომა: 39 x 43. წარწერის ფართობი: 23 x 7. გრაფუმების სიმაღლე: 1-7. განკვეთილობის ნიშანი – ორწერტილი. ქარაგმის ნიშანი არ იჩინარება. სიტყვები ერთმანეთისგან დაცილებულია.



†: ჩ ჩ ი ა უ ა

ქ: წ(მიდა)ო ღ(ძრთისმმობელ)ო, ა(ოვან)ე შ(ერწყალ)ე.

წარწერა მაღალგრაფიული ნიშნების მიხედვით სამშენებლო (განახლების) წარწერის (№ 9) თანადროულია და ასევე X საუკუნით თარიღდება: კიდურწერტილოვნი დამწერლობა; ოთხხაზოვანი წერითი ბაღე; გაკუთხოვნებული ო და შ გრაფუმები. ნუსხური ღ; მარცხნივ გაზიდული დამატებითი განივი ხაზი ე-ზე.

11. ხელოსნის სახელი

ღვთისმმობლის ეკლესიის დასაკლეთ ფასადის სარქმლის საოურის გვერდით ქაზე, რელიეფური ჯვრის მარცხნია მკლავის ზემოთ, ამოღარულია ხელოსნის სახელი:

ც

ც

ო(ევდორ)ე

ქვის ზომა: 25 x 38. წარწერის ფართობი: 6 x 4. გრაფუმების სიმაღლე: 3,5-4. ქარაგმის ნიშნად ნახმარია განავი, მოკლე, სწორი ხაზი.

აღნიშნული ორი გრაფება ლიგატურითაა წარმოდგენილი – ო-ს ფეხი და ე-ს ზედა განივი ხაზი ერთმანეთშია შერწყმული, მაგრამ ისე, რომ აშკარად მარცხნივ გაზიდული დამატებითი განივი ხაზით დაწერილის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ლოგიკურია ვიფაქნით, რომ ხელოსნის სახელის აღძნიშვნელი ვრაფემების ამოღარვა ეკლესიის ამენების (განახლების) წარწერათა შესრულების თანაღრითულად შოხდა, ამტკომ ეს წარწერაც აღიათ X საუკუნის უნდა დათარიღდეს.

რკონის საძორასტრო კომპლექსის შენებლობის მესამე ფენა XVI-XVIII საუკუნეების არის დათარიღებული (4, 410). ამ პერიოდის წარწერები საკუთრებულების არ მოიპოვება, მაგრამ თბილისის სიცელეოსაცავებსა და ფოტოთეპურებულებების შედეგად შეკველეულ იქნა მასალა. რომელიც რკონის აღმშენებლობის სწორებ ამ ცტაპს განეკუთვნიბა:

12. საამშენებლო წარწერის ფრაგმენტი

წარწერიანი ქვა ეგზო რკონის მონასტრის ეზოში. ამჟამად აღგთლუშე აღარ არის. გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ფოტოთეპურები დაცული იყო ჩეგატეტი. ორსტრიქინიანი ასომთავრული წარწერა ფოტოზე ფრაგმენტულად იკითხება. ქვის ძარღვენა მჩარე ატკეჩილია, რის გამოც წარწერის თრივე სტრიქონის ბოლო გრაფემები აღარ იკითხება.

დანიშნული ქრისტიანული

1. ბერ იცი ყ.

ღ(ე)ღ(ა)ო ღ(მრ)თ(ი)ს(ა)ო, შ(ეიწყალ)ე...
რ(ოძელი)ნ ქელ-ყო ს(ა)მრ(ე)კ(ლო)ს(ა) | (?) ...

2. ჩნ ყოყი ს. ჟ.

წარწერის მეორე სტრიქონის აღდგენილი გრაფემები საშუალებას გვაძლევს კივარაუდოთ, რომ წარწერაში სამრეკლოს აშენებაზეა საუბარი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამრეკლოს აგება მშენებლობის მესამე ფენას განეკუთვნება და XVI-XVIII საუკუნეებით არის დათარიღებული. პლეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერის ქრისტოლოგიური ჩარჩოება XVI საუკუნით შეიძლება მოიფარგლოს: გაკუთხოვნებული, სტილიზებული ო; ასევე გაკუთხოვნებული ო, რომლის ფენიც წრის შუაგულებია; მ ძალზე მომრგვალებული და დიდი ბუნით.

ამრიგად, შინაარსისა და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერა XVI საუკუნით უნდა დათარიღდეს.

13. მოძვარ ბარნაბას მოსახსენებელი

რკონიდან ჩამოტანილი წარწერიანი ქვა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ს.მ-425). ქვის ზომა: 42 x 34. წარწერის ფართობი: 34 x 5. გრაფემების სიმაღლე: 1,5-4,2. ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა შესრულებულია რელიეფური დამწერლობით. ქარაგმის ნიშნად ჩანარია მოკლე, განივი, სწორი ხაზი. განკვეთილობის ნიშნებია არ აჩვლავს.

წ ბ ი მ გ ნ ს ვ თ ჩ ჩ ს ც ხ ს

1. ჭიათურა ან ან ან
2. ან ან

ქ. მოძვ(ე)რსა ბარნაბას მ(ე)ჩ(დო)ს
ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

14. გალატოზ სულთამზეს მოსახსენებელი

რკონიდან ჩამოტანილი წარწერითი ქვა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (სსმ-426). ქვის ზომა: 59 x 35. წარწერის ფართობი: 30 x 4. გრაფიკული სიმაღლე: 1,2-3. ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა შესრულებულია რელიეფური დამწერლობით. განკვეთილობის ნიშნები არ ახლოვს. ქარყველს, ნიშნად ნახმარია მოკლე, ვანივი, სწორი ხაზი.

የኢትዮጵያ ቤትና የንብረቱ

1. + ՂԵԶՔԸՑԱՂԵՑԵԼ
2. ԿԲԼՈՒԾ

յ. զալլ(ա)քրն(և) և եռ(չ)լու(ա)թն(ը)և
մ(շի)ն(բո)և լ(մշումա)ն, ա(մո)ն.


ორივე წარწერა ერთი ხელით არის შესრულებული. მათი შესრულების ხანა პალეოგრაფიული ნიშნებით უნდა განისაზღვროს: სტილიზებული გრაფიმები; ქუდიანი ა და ს; მ და ჸ გრაფიმების თავისებური მოყვანილობა, განსინვავებული წინარე ხანის მოხაზულობისაგან. ყოველივე ეს, ჩემი აზრით, ამ წარწერებს XVII-XVIII საუკუნეებით ათარიღებს.

როგორც აღვნიშნე, ეს წარწერები (№№ 12, 13, 14) არ არის საკუთრივ
რკონში, მაგრამ, ვფიქრობ, რკონის სამონასტრო კომპლექსის ეპიგრაფიკული ძეგლების
შესავსებად მათი მოხმობაც უცილებელი იყო.


ამრიგად, როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან ჩანს, რკონის ეპიგრაფიკული ძეგლები ახალ ცნობებს გვაწვდიან საქართველოში თემურ-ლეჩის 1400 წლის ლაშქრობის შესახებ და აზუსტებენ სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის უტაცებს.

ଲୋକମାନାତିକା

1. 1260 წ. დაწერილი ქახა თორულისა რეინის დათისმშობლისახმა. ქართველი ისტორიული საბუთების კორპუსი. I (IX-XIII სს.). შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. გნუქოძე, კ. ხილოვავაძე და ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1984.
 2. ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. წბ.: ქართლის ცხოვრება. II. ტაქტი. დაღვნილი ყველა ძირითადი ხელისწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1959.
 3. გასუმტი ბატონიშვილი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა წვ.: ქართლის ცხოვრება. IV. ტექსტი დაღვნილი ყველა ძირითადი ხელისწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973.
 4. ქოვახ კინწურაშვილი. რეინა ქართული საბჭოთა უნიკალობები. 8. თბ. 1984.
 5. კარლო ტაბატაძე. ქართველი ხალხის ძრობული უცხოელ დამსკრინილი წინააღმდევ XIV-XV სს-ის ძიჯნაზე. წვ.: საქართველოს ისტორიის ნარკოლები. III. თბ. 1979.
 6. ქართული წარწერების კორპუსი. I. ლაპილარული წარწერები. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეაღვინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1980.
 7. ქრისტეფო და სხვა მახალი საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრისტოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ფრანდანიას მიერ. II (1213 წლიდამ 1700 წლამდე). ტუ. 1897.
 8. ნოდარ შოშიაშვილი. თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი. კრ. „შოთა რუსთაველი“. ისტორიულ-ფილოლოგიური მიებანი. თბ. 1966.
 9. გიორგი ჩუბინაშვილი. ქართველი ხელოუნიების ისტორია. I. თბ. 1936.
 10. ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ურის ისტორია. III. თბ. 1966.



1. ակունքով յիշուհոյ. 1400 წ.



2. ակունքով մուսակեցեցդյան. 1400 წական տեղու խճյօն.



3. ծառացով մուսակեցեցդյան. 1400 წական տեղու խճյօն.



4. գյուղական մուսակեցեցդյան. 1400 წական տեղու խճյօն.



5. սոսեյի մուսակեցեցդյան. 1400 წական տեղու խճյօն.



6. ივონიუსი ქრისტ. 1400 წლის ახლო ხანები.



7. დემეტრი მისახსენებელი. 1400 წლის ახლო ხანები.



9. სამშენებლო (განახლების) წარწერა მარიამისა. X ს.



10. առջանցիք ծովակելիցիզնա. X b.




II. Եշտածի խնդիր. X հ.



12. სამშენებლო წარწერის ურავმენა. XVI ტ.



13. მთილებარ პარჩაბას მოსახლეებისგან.
XVII-XVIII სს.



14. გაღმატობა სელოსშექ მისახსენებლა.
XVII-XVIII სს.

კონსტანტინე-ყოველი გირილე

(XVI საუკუნის დასაწყისის ქართლის სამეფოს ისტორიაში)

ერთობლივი

პირველი მიხედვისას

გრიგორი სამითიძე

თასზ ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიას ისტორიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი

კონსტანტინე II ქართლის სამეფო ტახტზე 1478 წელს ავიდა. მან მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას შესწირა. მისი მსართველობის მართვიდი მოძენტები კარგად არის ცნობილი ქართულ ისტორიის მიმართ. ამჯერად მკითხველის ქრისტებია გვიურს მივაპყროთ კონსტანტინე II-ის სიცოცხლის ბოლო წლების მოვლენებს, რომელიც დღემდე ჯეროვნად გამუქებული არ ყოფილა მკვლევართა მერ.

პირველ ყოვლისა, გავეცნოთ წყაროებში დაცულ ცნობებს კონსტანტინე II-ის (ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული ქრონიკოგრაფის მიხედვით, მეფეობდა 1478-1505 წლებში) გარდაცვალებისა და მის ჩაცვლად სამეფო ტახტზე დავით X-ის (1505-1525) ასვლის შესახებ. წყაროებს გავეცნოთ ქრონიკოგრაფი თანმიმდევრობით. ჩექნიებს საინტერესო პერიოდის შესახებ შეძლოჩენილი ძირითადი ქართული წყაროებია: ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ ქომისის ნაშრომი („ქართლის ცხოვრების“ ყაუჩის შვილისეულ ვამოცემაში – „ახალი ქართლის ცხოვრება“, I ტექსტი), „ქართლის ცხოვრების“ შევსებულ-ვალაკეთებული გაგრძელება (III ტექსტი), ვახუშტი ბატონიშვილის თხზულება და ე. წ. „პარიზის ქრონიკა“. როგორი თანმიმდევრობით დაიწერა ეს შრომები? „პარიზის ქრონიკის“ შესავალში გიული აღასანია არგვევს აღნიშნულ საკითხს და მიღის შემტებ დასკვნაში: „ყოველიც შემოთქმულის საფუძველზე მასალებად შიგვაჩნია შემდეგი თანმიმდევრობა: 1) „სწავლულ კაცთა“ ნაშრომი; 2) „ქართლის ცხოვრების“ გადაგვთებული ვაგრძელება; 3) „პარიზის ქრონიკა“; 4) ვახუშტის თხზულება (19, 33).

ჩვენც აღნიშნული თანმიმდევრობით ვისარგებდებოთ:

ბერი ევნატაშვილი: „ხოლო ამან კონსტანტინე შვა ხეითი მენი. სახელები მათ ხუთთა ესე არის: უჩუცესსა დავით, გიორგი, ბაგრატ, ალექსანდრე და მეხუთესა მონაზონი შეღებისედევ, რომელი იყო კათალიკოზი... მცხეთისა. და მოკუდა კონსტანტინე ქრისტის აქათ. ჩფდ (1504 წ.)“ (3, 350).

„ახალი ქართლის ცხოვრება“ (III ტექსტი): „ქორონიკონისა რეა (1503 წ.) მეფე კონსტანტინე მიიცვალა და დაჯდა მის წილ ძე მისი დავით“ (2, 486).

„პარიზის ქრონიკა“: „ქორონიკონისა რეა (1503 წ.) მეფე კონსტანტინე მიიცვალა“ (19, 40).

ვახუშტი: „გარდაიცვალა მეუე კონსტანტინე ქ-სა ჩეკე (1505 წ.). შემდგომად კონსტანტინე მეფისა დაჯდა უხუცესი ძე მისი დავით მეფედ (7, 392).

აღნიშნული წყაროების გარდა მოგვიპოვება სხვადასხვა დროს შედგენილი ქრონიკები, კინკლოსების ისტორიული მინაწერები და სხვა წყაროები, რომელებსაც მათი ვამოცემის თანმიმდევრობის მიხედვით ვანგიხილავთ.

1897 წელს ოდიო ფორდანიამ ვამოცემა „ქრონიკების“ II ტომი, სადაც შემდეგი ცნობებია დაცული: 1) „ქვ-ს რეა (1503 წ.) მეუე კონსტანტინე მიიცვალა“ (17, 319); 2) „ქვ-სა რებ (1504 წ.) მეფე კონსტანტინე მიიცვალა“ (17, იხ. ე. წ. „ჩექნის ქრონიკა“); 3) „ქვ-ს რებ (1505 წ.) გარდაიცვალა მეუე კონსტანტინე და დაჯდა ძე მისი დავით მეფედ“ (17, 325).

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ვამოცემულ „ვრისთავთ დაუკავშირებელის ქრონიკაში“ კონსტანტინე II-ის გარდაცვალების თარიღად 1503 წელია მითითებული (22, 13).

1912 წელს სარგის კაკაბაძის მეშვეობით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ე. წ. „ქრონიკა იკოროის № 6 უამნგულანისა“, რომელიც, მისი აზრით, ვალაწერილი უნდა იყოს

XVII საუკუნის დაძლევებს ან XVIII საუკუნის დასაწყისში. მასში შემდეგი ცნობაა: „ქორონიკონია რეგ (1505 წ.): აქ კონსტანტინე მეფე მიიცვალა“ (11, 4).

1968 წელს ჯუმბერ თდიშელმა გამოსცა ე. წ. „მცირე ქრონიკების ისტორიული მინაწერები“, სადაც H-3004 (ჩელჩანერთა ინსტიტუტის ჩომერი) ქრონიკაში ვპოვდობთ ჩვენთვის საფურალულებო ფაქტს: „ქორონიკონია რეგ (1505 წ.) კონსტანტინე მეფე მიიცვალა“ (14, 38). მკვლევარმა აღნიშნული ქრონიკა XIX-XVII ჰალეუნებით დაათარიღა.

აქ საჭიროა შეკნიშნოთ ერთი გარემოება: ზემოთ დასახელებული ქრონიკა ძალიან ჰგავს და თითქმის იმეორებს ს. კაკაბაძის ძიერ გაძლიერებული იკორთის № 6 ჟამნეულანის ცნობებს. ჯ. თდიშელის მითითებით, H-3004 ქრონიკა „გადმოწერილი უნდა იყოს იკორთის კინკლოსიდან“ (14, 36). ჩვენი აზრით, პირიქით, ჯერ დაიწერა H-3004 ქრონიკა, შემდეგ გადმოწერეს მისგან № 6 ჟამნეულანის ქრონიკა. ამ მოსახრებას მხარის უჭერის ის უაქტი, რომ იკორთის ქრონიკაში გამოტოვებულია 1484 წელს აღექსანდრე ბაგრატის ძის მიერ ქუთაისის აღების ამბავი. არადა, სხვა ცნობები ჩუსტად ემთხვევა ერთმანეთს. როგორც ჩანს, № 6 ქრონიკის გადამწერს გაძლიერება ეს ფაქტი. შესაძლებელია აგრეოვე, რომ ორივე ქრონიკის გადამწერს ესარგებლათ ერთი და იგივე წეართი, რომელიც ამჟამად დაკარგულია.

მაშასადამე, ორივე ქრონიკა (H-3004 და № 6) ერთნაირ თარიღს გვაწვდის კონსტანტინე II-ის გარდაცვალების შესახებ, ერთმანეთისაგანაა გადმოწერილი და ამდენად, თუ, განსხვავებულ ცნობად ვერ ჩაითვლება. აქ ფაქტიურად, ურო ცნობასთან გვაქვს საქმე.

ასეთია ქართული წყაროების ცნობები. XVI საუკუნის დასაწყისში კონსტანტინე II-ის გარდაცვალებისა და მისი უფროხი კაფეის – დაეთom X-ის ტახტზე ასვლის თარიღის შესახებ. როგორც ვხედავთ, წყაროები სამ სხვადასხვა თარიღს გვაწვდიან კონსტანტინეს გრძაცვალების შესახებ და განსხვავება მათ შორის, როგორც ივანე ჯავახიშვილი მოუთითებს, „მხოლოდ თითო წლილით არის“ (20, 205). რა ნდება? საქმე გვაქვს შემთხვევითობასთან თუ თარიღების ელემენტარულ აღრევასთან? საჭირო ამის გარეშევას შევეცდებოდეთ, საჭიროა გვეცნოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ შეხედულებებს ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო.

კელაზე აღრე აზრი გამოთქვა თ. ეორდანიამ, რომელმაც კონსტანტინეს სიკვდილი და დაქოთის ტახტზე ასევე 1505 წლით დაათარიღა (17, 320).

ივ. ჯავახიშვილმა ცალკე პატარა ქვეთაყვა მოუმღვნა თარიღის გარკვევას და საბოლოოდ დასკვნა: „რადგან დავით მეფის არცერთ ჩვენამდე მოღწეულსა და გამოქვეყნებულ სიგელს ქორონიკონის ერთად მისი მეფობის ინდიქტიონი დართული არა აქვს, ამიტომ ჯერჯერობით არაუითარი საბუთი არ არსებობს იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი ზემოაღნიმნული თარიღითაგანი უნდა ჭიშმარიტად ჩაითვალოს“ (20, 205).

მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილმა ახალი საბუთების მოძიებამდე საკითხის საბოლოო გადაჭრისა და კონკრეტული თარიღის აღნიშვნისაგან თავი შეიკავა. ამიტომ გასაოცარია, რომ ზოგიერთი მცველევარი მის აზრს იძოწმებს თავისი მოსაზრების დასაბუთებისას.

ჯ. თდიშელმა თავის ჩამომშენი ასეთი კომენტარი გაუკეთა აღნიშნულ ფაქტს: „საკითხის გასარკვევად არ გაგვაჩნია კონსტანტინეს ძის – დავითის ინდიქტიონიანი სიგელები. ამიტომ პირობითად (ხაზს უკისებად – გ. ს.) კინკლოსური ქრონიკებისა და გახუშტის ცნობების მიხედვით, კონსტანტინეს გარდაცვალების თარიღად მიღებულია 1505 წელი“ (14, 103).

ასეთი თვალსაზრისი არსებობდა 1968 წელს. კნახოთ, ხომ არ შეკვდილა რაიმე 1980 წლისათვის, როცა გ. აღასანიამ „პარიზის ქრონიკა“ გამოსცა და თან კომენტარები დაურთო. ამ, რას წერს იგი: „ქართულ ისტორიოგრაფიაში უპირატესობა ემლუკა კახუშტის თარიღის – 1505 წელი“ და მოჰყვას ავტორები ამ აზრის დასასაბუთებლად: ივ. ჯავახიშვილი, თ. ეორდანია, ჯ. თდიშელი.

როგორც კნახეთ, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნულ საკითხზე გამოკვეთილი აზრი არ გააჩნდა. თ. ეორდანიასა და ჯ. თდიშელის მოსაზრებებს უპირატესობა და ვნახეთ, რომ ჯ. თდიშელიც პირობითად ანიჭიებდა უპირატესობას 1505 წელს. ამის გარდა გ. აღასანიას მიერ არგუმენტად მოწმანდი ვიქტორ გურიას მოსაზრება, ჩვენის აზრით, საერთოდ ზედმეტია

ამ საკითხის გადაწყვეტის დროს „საქართველოს ისტორიის ნარკვენების“ IV ტუმის შესაბამის აღვიდას ვ. გურია მიუთითებს: „შინაური ბრძოლა საქართველოში უფრო მას შემდეგ გაძლიერდა, როცა ქართლის მეფე კონსტანტინე II გარდაცვალა (1505) და ტახტზე მისი შეიღი ლავრი X (1505-1525 წწ.) ავიდა“ (6, 93). როგორც ვხედავთ, ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული აზრის კონსტანტაციასთვის გვაქვს საქმე. ამავითარ წყაროსა და არგუმენტაციას ავტორი არ გვთავაზობს.

მაშასადამც, ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული და გმბატონებული ჯრი კონსტანტინე II-ის 1505 წელს გარდაცვალებისა და მის ძავივრად დავით X-ის ტახტზე ასვლის შესახებ პირობითია და კახუშტისა და კინელოსების ცნობებს უკრძალა, რის შესახებაც უკავი გვერდი საუბარი. კინკლოსები მყარ არგუმენტად ვერ გამოგვადგება, კინაიდან ისინი აღნიშნული მოვლენებიდან გაცილებით გვიანაა შედგენილი და თანაც, არსებობს სხვა წყაროებში მითოებული თარიღებიც (პარიზის ქრონიკა, ჩხეიის ქრონიკა, ერასთავთა ქრონიკა). რის საუფასოდ უნდა მიეჩნიოთ უცილობლად H. 3004 და იკოროის № 6 ქრონიკების ცნობები და სხვა ქრონიკებისა ფ – არა? საფუძველი არ არსებობს. რაც შეეხება კახუშტი ბატონიშვილს, ცნობილია, რომ ქრონილოგიური შეცდომები მასაც საქმალ მოვისვება.

ამგვარად, კონსტანტინე II-ის გარდაცვალებისა და მისი ვამეფების თარიღი ღიადაა დატოვებული და შეძღვომ კვლევა-ძიებას საჭიროებს. აღენიშნავთ, რომ სამიურ თარიღის (1503, 1504, 1505) არსებობის უფლება აქვს, მაგრამ ერთი და იგივე პიროვნება ჩოტ არ შეიძლება სამჯერ გარდაცვლილოყო?

არის თუ არა სწორი კახუშტი ბატონიშვილისა და კინკლოსების ცნობები კონსტანტინეს 1505 წელს გარდაცვალების შესახებ? როგორც ჩანს, სწორია, კინაიდან ამ წლის შემდეგ კონსტანტინე არცერო საბუთში, არცერო წყაროში ცოცხლად აღარ ისსენიება. გამომდინარე აქვთან, ჩვენც მოგვაჩნია, რომ კონსტანტინე II მართლაც 1505 წელს გარდაიცვალა. მაგრამ აქ მეორე საკითხი დგება: არის თუ არა კონსტანტინეს სიკვდილი და მისი მუმკიდრის – დავთ ხ-ის ტახტზე ასეთი ერთდროული, თანმხედრი მოკლება (პრინციპით: მამის სიკვდილი – შვალის გამოვება), როგორც ამას წყაროები გვამცხობენ? და თუ არა, მაშინ ხომ არ შეიძლება დანარჩენ თარიღებს (1503, 1504) აჩვებული აჩხნა და დასაბუთება მოვუმებნოთ?

შესაძლოა, ამ კიოჩვაზე ასეუხის გაცემში დაგვეხმაროს რამდენიმე ცნობა:


1987 წელს ქრებულ „მრავალოავტი“ დაიბეჭდა მკვლევარ დოდო ლომიძის სტატია – „უცხოუთოდან მიღებული ზოგიერთი მასალა საქართველოს ისტორიის შესახებ“, რომელიც საუბარია უცხოეთის სხვადასხვა სიძველეთსაცვებში დაცული ქართული მცარე სელოვნების ნიმუშების შესახებ. მათი ფოტოსალები აკად. ქ. კუპრელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს გამოიუგზავნა ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის სელოვნების და არქეოლოგიის კათედრის ვამკერ, ჩვენის თანამემაშულებ პროფ. კახტანვ ჯობაძემ (13, 89-96).

აქ არის ტრიპტიზის, კვარცხლბეკის შემკულობის, სახარების ბულის, მინანქრის ხატის, ვარდამისხნის, ჯვრისა და ხელოვნების სხვა ნიმუშთა ფოტოსაურათები, რომელიც თან ერთვის ისტორიული წარწერები. მათგან ჩვენი ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, მიაპყრო ვიორგი და ასთანდარ ბატონიშვილების მერ იურისალიძის ტაძრისათვის შეწირულმა ვარდამოხსნამ (ამეაძაღ ბერძენთა საპატირიარქოშია დაცული). ვარდამოხსნაზე ქართული ასომთავრულით 13-სტრიქონიანი ტექსტია ამოქარვული: „წ. იესუ ქრისტე, ღმერთო ქეშმარიტო, ჩვენთვის ხორცითა ენებულო, ხოლო ღმრთებით უზნებულო, შეიწყალე სულის და ჩორცით პატრონი გიორგი. შეიძადე წმიდა ესე ცხოველმყოფელი კნება მაცხოვრისა ჩვენისა ნივთითა და საფასითა დიდისა და სახელოვანისა, აღმოსავლეთისა და ჩრდილოთ მეფეთ მპრობელისა, მეუფო-შეფის კოსტანტინებული ერთვილისა კირილეს ძესა პატრონის გიორგის, ხოლო ხელოვნებითა დისა მათის ასთანდარის, რომელმან ვიგულსმოდგინე და წარმოეგზავნე წმიდა ესე განდამოხსნა წმიდად ქალაქად იერისალიმს. საფლავსა ქრისტეს სახსენებლად ცოდვილისა სულისა ჩვენისა და მშობელთა ჩექნთა. ქრისტე ღმერთო, შეიწყალე ორთავე შინა ცხორებათა პატრონი გიორგი და მარჯვენეთა შენობა აღრაცხულ, ოდეს მოხვილე და დასჯდე განკითხვად საყდართა დავითისთა, და მიაგვიდე კაცად-კაცადდისა საქმეთა მათთავებრ ღმრთისათვის.

გვევდობი, შენდობა ყავთ ცოდვილი გიორგისთვის, რათა ღოცვათა თქვენთა მიერ ღირს კიქმის მიძინევებად სასუფეველსა ფათა მინ" (13, 168-169).

წარწერის ეს ტექსტი პირველად (არასრული სახით) ვ. ჯობაძემ გამოაქვეყნა და 1505-1525 წლებით დაათარიღა. ივი ეყრდნობოდა წარწერაში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა სახელების: კონსტანტინე ყოფილი კირილე და მე მასი გიორგი. ვ. ჯობაძის აზრით, წარწერაში ლაპარაკია ქართლის მეფი კონსტანტინე II-ისა და მისი ძის, შემდგრძელებულის შეფის, გორგი IX-ის შესახებ. შევლევარმა წარწერა, როგორც აღვნიშული 1505-1525 წლებით დაათარიღა, რადვანაც კონსტანტინე ბერადაა შემდგარი, ხოლო გიორგი კი ჯერ მეფედ არ იმსენება. ამ აზრის იზიარებს დ. ლომიძეც, რომელიც, თავის შხრივ, დამატებით ცნობებს გვაწვდის წარწერაში მოხსენიებულ პირთა შესახებ. ივი დასაწყისში აკხადებს, რომ „მეუკა კონსტანტინე II-ის ბერად შედგომის შესახებ ცნობები არ მოვალეოვანა“ (13, 169). შემდეგ გვაძლინობს, რომ „1505 წლის შემდევ კონსტანტინე მეფის მიერ გაცემული საბუთები აღარ გამოიყენა“ და რომ წყაროები შეფეხ „მის ძეს დაკითხ, ბერობაში დამიანებ წოდებულის“ აახელებენ (13, 169). მკვლევარმა ფურადღება მიაქცია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაკული XI საუკუნის სვინაქსარის (A-97) ერთ-ერთ ვეიანდელ მიხატვის (ივი ვალერი სილოვანაშ ხელწერის მიხედვით XV საუკუნის მიწურულითა და XVI საუკუნის დასაწყისით დაათარიღა), რომელიც შხარს უჭრის კონსტანტინეს ბერად შედგომის ფაქტს. ივი წარმოადგენს კონსტანტინე მეფის მისახსენებელს: „სულთა მეფის კონსტანტინე-ყოფილი კირილეს შეუნდნენ დმურომან“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, A-97, გვ. 184v-185r – 13, 169).

ამის შემდგომ დ. ლომიძე გვაუწყებს, რომ კონსტანტინე II-ის ბერად შედგომის დღემდე უკნობ ფაქტს XVI საუკუნის დასაწყისში უნდა პქონოდა ადგილი. ეს კი, მასი აზრით, „ეჭვეკუშ აუგნებს მემატიანების – ბერი ეგნატა მვილისა (1503 წ.) და ვაჩემტი ბაგრატიონის (1505 წ.) ცნობებს (რატომღაც სხვა წყაროებს არ ასახელებს – გ. ს.) კონსტანტინე მეფის გარდაცვალების თარიღის შესახებ“ (13, 170). დასასრულს მკვლევარი ასენის: „კონსტანტინე-ყოფილი კირილეს გარდაცვალების ზუსტი თარიღის დადგენა ამჯერად არ ხერხდება და საკითხს ღიას კეთოვებთ“ (13, 170).



გიორგი და ასთანდირ ბაგონიშვილების მუქრ მუწოდელი გარდამოსხისა
(დაცულია უკიცხადითი ბერძენითა სამართლის 1505-1525 წწ.).

რაც შეეხება კონსტანტინე II-ის ასულს – ასთანდარს, კ. ჯობაძე და დ. ლომიძე მიუთითებუნ, რომ იგი არცერთ სხვა წყაროში არ გვხვდება, „უცნობია და პირველ ცხობას მის შესახებ ვჩვდებით ეპიტაფიაში“ (13, 170).

ვიდრე წარწერის, მისი აკეთებიანობისა და ისტორიული მნიშვნელობის განხილვაზე გადავიდოდეთ, თავს უყდებას მივცემო არ დავეთანხმოთ დ. ლომიძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „კონსტანტინე II-ის ბერად შედგომის შესახებ ცნობები არ შრაპულვება“ (13, 169).

ერთ-ერთ ქართულ ისტორიულ მატიანეში დაცულია ცნობა, რომელსაც აღმარ ძველი თაობის მქონევარები არ იცნობდნენ, ხოლო მომდევნო თაობის ისტორიკოსებმა, როგორც ჩანს, ყურადღება არ მიაქციეს.

საქმე ეხება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1939 წელს პარიზში გამოქვეწნებულ მატიანეს (8). მან ამ ხელნაწერს 1919 წელს მიაკვლია რაჭაში არქეოლოგიური ექსპედიციის დროს. ესაა სხვადასხვა ნაწარმოებთა კრებული, გადაწერილია ზოსიმე კარგარეთელის მიერ 1585 წლის 15 მარტს, იმერეთის მეფე გიორგი II-ის ჩეობის დროს (1565-1585 წწ.).

კრებული ხელწერის მიხედვით სამ ჩანაწერი დაგვითნი; პირველი – დავითი; მეორე – სამი ისტორიული მინაწერი და მესამე – მეფეთა და კათალიკოსთა მოსახსენებლები (სამივე კიორნგი II-ის დროსაა გაღმატული). მათგან ჩვენს ყურადღებას ამჯერად სწორედ ხელნაწერის მესამე ნაწილი, ანუ „მოსახსენებლები“ იქცევს. ექ. თაყაიშვილი წერს: „თუმცა ხელნაწერი, როგორც მოვიჩიენით, გადაწერილია იმერეთში მეფე გიორგი II-ის დროს, მაგრამ მეფეთა და კათალიკოზთა მოსახსენებაში არცერთი იმერეთის მეფე და ოქაზეთის კათალიკოზი არ არის მოხსენებული, არამედ საერთო საქართველოს მეფენი და საქართველოს კათალიკოზ-კატრიარქი. ეს იმის მაჩვენებელია, რომ გაღმამწერის დედნად ასეთი ნუსხა პქონია ხელში და მას თვითონ არაფერი მოუძატებია“ (8, 6).

ამ, რა ცნობა მოიპოვება ამ მოსახსენებულში: „და თუ გურიგუნოსნისა მეფეთ-მეუისა კონსტანტინე-ეკეთილისა კვირილები საუკუნო იყავნი ჩსენება“ (8, 9). მქონევარი ამ ცნობას ასეთ კომენტარის უკითებს: „მისი (კონსტანტინეს – გ. ჩ.) ბერად შედგომა კვირილების სახელით ხულ ახალი ამბავია ჩვენთვის. სხვა წყაროებიდან არა ვუწყით“ (8, 9).

როგორც დაკრიტიკებით, იმ დროისათვის, როცა ექ. თაყაიშვილმა იგი გამოაქვეყნა, ეს ცნობა მართლაც ახალი იყო და არცერთ ისტორიკოსს – არც ძველსა და არც ახალს ნახსენები არსად პქონდა.

ახლა ვუპასუხოთ ორ კიოხვას: 1) არის თუ არა წყაროში მოხსენიებული მეფეთ-მეფე კონსტანტინე ჩერების საინტერესო პიროვნება და 2) სანდოა თუ არა წყარო?

წყაროში მოხსენიებული კონსტანტინე რომ სწორედ ის მეფეა, რომელიც გვაიჩრებულებას, ამას აღასტურებს არა მარტო ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ ცნობებთან იდენტურობა, არამედ დოკუმენტში დაცული მეფეთა სახელების თანმიმდევრობაც. თანმიმდევრობა კი ასეთია: „და თუ გურიგუნოსნისა მეფეთ-მეუისა აღექსანდრე-ელოფილისა აბრამაშინი საუკუნო იყავნ ხსენება.“

ამას შესდევს კონსტანტინეს მოსახსენებელი, რომელსაც უკვე გავეცანოთ. შემდეგ: „თანამეცხედრისა მათისა დედოფალო-დედოფლისა თამარ-ყოფილისა თეკლასი საუკუნო იყავნ ხსენება.“

დ თუ გურიგუნოსნისა მეფეთ-მეფეისა დავით-ყოფილისი დამიანები საუკუნო იყავნ ხსენება.

ვიორგი-ყოფილისა გერასიმესი საუკუნო იყავნ ხსენება“ (8, 9).

როგორც ეხედავთ, ტექსტში იხსენიებიან კონსტანტინე II-ის პაპა ალექსანდრე I დიდი (1412-1442), კონსტანტინეს მეულელ თამარი და მათი შვილები – დავით X და გიორგი IX.

მაშასადამე, თანამიმდევრობა და ისტორიულ პირთა სახელები გვიდასტურებუნ, რომ „მატიანეში“ მართლაც კონსტანტინე II-ის მოხსენიებული გარდა ამისა, მოსახსენებულ პირთა თანმიმდევრობა წყაროს სანდობაზეც მოუთითებს. აქ მოხსენიებულ პირთაგან სამის (აღექსანდრე I დიდის, დავით X-ისა და გიორგი IX-ის) ბერად შედგომა წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილია. უცნობი მხოლოდ კონსტანტინეს მეულელის – თამარის შემონაზღნებაა.

აღექსანდრეს ბერად აღკვეცის შესახებ ქართული წყარო გვამცნობს: „... მეფემან აღექსანდრე სახე მონაზონებისა შეიმოსა, და უწოდეს სახელად ათანასე“ (1, 475). ამონაზნო სახელები წყაროებში სხვადასხვაა – ერთგან ათანასე, მეორეგან კაპაში. უძრატესობა აღიათ ამ უკანასკნელს უნდა მიეჩიჭოს (12, 732).

აღექსანდრე I სიცოცხლის ბოლოს მართლაც რომ ბერად აღიკვეცა, ამას ს. კაკაბაძის მიერ გამოცემულ ერთ ისტორიულ საბუთში დაცული ცნობაც ადასტურებს ტავრიანნებული საქართველოს უკანასკნელი მეფე, მე აღექსანდრესი – გიორგი VIII დაუამ 1449-შლის სიველში აღნიშნავს: „... მეფეთა მეუფის მონაზნისა აღექსანდრეს...“ (10, 30).

დავით მეფის შემონაზვნების შესახებ თითქმის ყველა ქართული წყარო გვამცნობს. ამიტომ მათ ცნობებს აღარ განვიხილავთ (იხ. 2, 493; 3, 353; 7, 399). რაც შეეხება გიორგი IX-ს, მის შესახებ ცოტა ქვემოთ გვმქნება საუბარი.

ამდენად, მეფეთა მოსახსენებლების გაცნობამ და ზემოთ მოტანილ ცნობათა გათვალისწინებამ მის, როგორც წყაროს, სანდოობაშიც დაგვარწმუნა. გარდა ამისა, „მატიანეში“ კიდევ მოიპოვება ზოგიერთი ცნობა, რომელიც საბოლოოდ აქარწყლებს თუნდაც უმცირეს უჭესაც კი წყაროს მიმართ. საქშე ისაა, რომ მასში ცოცხლად მოიხსენიებიან ბაგრატ შუხრანბატონი, მისი მეუღლე ელენე და მათი შეიღები. „მატიანეში“ კერძოდ ნათქვამია: „ბატონსა ბაგრატსა მრავალმცა არიან წელნი მათნი; თანამეცხედრისა მათისა დედოფლის ელენესი მრავალმცა არიან წელნი მათნი; მისა მათისა ერეკლესი და არჩილისი მრავალმცა არიან წელნი მათნი“ (8, 10).

მაშასალამე, 1585 წელი „მატიანის“ გადამწერმა გამოიყენა ის წყარო, რომელშიც ბაგრატი ცოცხლად იხსენიებოდა და თვითონ, როგორც ექ. თაყაიშვილი მოუთითების, არაფერი მიუმატების მისთვის (8, 6).

როდის არის დაწერილი ჩვენი მატიანე?

ამის განსასაზღურავად საჭიროა გავარკვიოთ და გავითვალისწინოთ შემდეგი მომენტები:

- 1) როდის გარდაიცვალა (უკიდურეს შემოხვევაში, როდის შემონაზვნდა) მეფე გიორგი IX;
- 2) როდის აღიკვეცა ბერად საქართველოში ბაგრატონთა მუხრანბატონების შტოს ფუქქმდებული, კინსატანტინე II-ის ძე ბაგრატი (იგი უმცროსი ძმა იყო დავით X-ისა და გიორგი IX-ისა). ქართული წყაროები გვამცნობენ, რომ სიცოცხლის ბოლოს ბაგრატიც ბერად აღიკვეცა ბარნაბეს სახელით (3, 355; 2, 494; 7, 402). ჩვენს წყაროებში კი ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, ბაგრატი ერისკაცად იხსენიება. მაშასალამე, იგი გიორგის გარდაცვალების შემდეგ და ბაგრატ მუხრანბატონის შემონაზვნებამდე დაწერილი.

წყაროებში გიორგისა და ბაგრატის ბერად შედგომის სულ სხვადასხვა თარიღებია მოცემული, მაგრამ ერთი რამ უაქტია – მათი შემონაზვნება XVI საუკუნის 30-იან წლებში უნდა მომხდარიყო. რაც მთავარია, ყველა წყაროს ცნობა თანხვდება ერთმანეთს იმაში, რომ ჯერ გიორგი IX აღიკვეცა ბერად, ხოლო შემდეგ მისი ძმა ბაგრატ მუხრანბატონი (9, 37-38; 16, 86), რაც სანდოობას მატებს წყაროს.

ამდენად, ნიკორწმინდის სულთა მატიანე ქრონილოვიურად ქართულ წყაროებს შორის ყველაზე ახლოს დგას ჩვენთვის საინტერესო პერიოდთან (მას ამ მხრივ წინ უსწრებს მხოლოდ ვარდაშობინა, რომელიც იმ მოვლენების თანადოროელია). ყველა ზემოთ დამოწმებული წყაროების ცნობების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში თავისი დიდი პაპის – აღექსანდრე I დიდის შეგვალდე კონსტანტინე II-ც ბერად აღიკვეცა.

ახლა დგება საკითხი, თუ რამ გამოიწვა კონსტანტინეს ბერად შედგომა. წყაროები ამის შესახებ სდებან (ის კი არა, როგორც ვნახეთ, ძირითად ქართულ წყაროებში არამატებული ფაქტი საერთოდ გამოტოვებულია). მოუხსედად ამისა, ჩვენ მაინც გამოვთქვამთ ზოგიერთ მოსაზრებას ამ საკითხობი დაკავშირებით.

თავიდანვე ვიტყვით, რომ კონსტანტინეს შემონაზვნება სამეფო ქართე მომხდარ გადატრიალებას, ან ისეთ ვითარებას უნდა გამოიწვია, რომლის შემდგომაც მეფეს ბერად შედგომის გარდა სიკა გამოსავალი აღარ დარჩენოდა. ჩვენი ეს მოსაზრება თანხვდება და უითარებს მკვლევარ დავით ნინიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კონსტანტინეს მეფობის ბოლო პერიოდი დიდი სირთულეებით ჩაითადებოდა (15, 172-173).

ვფიქრობთ, რომ კონსტანტინე II-ის სამუშაო გარშე კარგა ხნის მანძილზე არსებობდა დაჯგუფება, რომელიც დავითს მამამისის წინააღმდეგ ამხედრებდა და მას უპირისპირებდა. შესაძლოა, ისინიც იღებდნენ მონაწილეობას დავითის დაქორწინებაში (1488 წ.), რომელმაც დიდად შეაშფოთა კონსტანტინე II. 1488 წლის სიკელში კონსტანტინე II-დავითის ქორწინებასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ჩუქუნთა ცოდვეათა სიძრავლის და სოფლისა კოსარებისაგან ცოდვისა საქმესა შეესწრა ჩუქუნი შკილი დავით უდი უშუუქრო (ე. ა. შეუუქრებული – გ. ს.) ბარათაშვილისა ასული შეირთო...“ (10, 6; ნა ვერ მი 250). სხვა წყაროებში ჩეენ ბარათაშვილის ასულისა და მისი მამის სახელებსაც ვებულობთ – კრიმიდ, ახალი ქართლის ცხოვრების III ტექსტში ვკითხულოთ: „და დაჯდა მის წილ მე მასი დავით და ბარათაშვილის დავითის ქალი დედოფალი ნესტან-დარეჯან“ (2, 486).

მაშასაჭამე, 1488 წელს დავით უფლისწულს ცოლად შეურთავს დავით ბარათაშვილის ასული ნესტან-დარეჯანი, რასაც კონსტანტინე მეფის უკმაყოფილება გამოუწვევია სარძლოს გვარიშვილობის შეუუქრებლობის გამო.

დავითის სიმამრი – დავით ბარათაშვილი სიხვა წყაროებიდანაც არის ცნობილი. იგი იყო უფროსი ვაჟი ბარათაშვილთა საგვარეულოს ფუძემდებლის ბარათა ქაჩიბაძისა, რომელიც თედო ეორდანიასა და სიმონ ჯანაშიას აზრით, XV საუკუნი I ნახევარში ცხოვრობდა (21, 468-469).

როგორც ჩანს, დავითის ქორწინებამ ბარათაშვილის ასულზე დიდი უთანხმოება წარმოშვა მამა-შვილს შორის. უფლისწული საბოლოოდ იძულებული გახდა ცოლს გასცლოდა და სხვა შეერთო, ისე, რომ მისგან შკილიც არ შესძენია (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. 18, 38-40).

ვფიქრობთ, XVI საუკუნის დასაწყისში დავითის დაჯგუფებას კონსტანტინე II-ის მეორე ვაჟის – ვიორგის დაჯგუფება დაუპირისპირდა, რომელიც, საფიქრებელია, ოვით კონსტანტინეც უჭერდა მხარს იმის გამო, რომ ტახტის კანონიერი მემკვიდრე დავითი მისი პიროვნული თვისებების გამო სამეფო ტახტის შესაფერის კანდიდატად არ მიაჩნდა. კონსტანტინე ცდილობდა ტახტი მეორე ვაჟისათვის გადაეცა, მაგრამ, როგორც ჩანს, დავითის მომხრე დაჯგუფებამ ჩაშალა მისი გეგმები და პირიქით, თავად აიძულა ტახტი დაეთმო და ბერად აღკვეულიყო. ამ ფაქტს 1503 ან 1504 წელს უნდა პქრინოდა ადგილი. ვიორგი კი ამის შემდეგაც ვანაგრძობდა ბრძოლას ტახტისათვის, რომელიც წესით მას არ ეპუთვნოდა. ამის დასტურია იერუსალიმის მონასტერში დაცული ვარდამოსნის წარწერაც, სადაც იგი ჯერ კიდევ კონსტანტინეს სიცოცხლეში „პატრონად“ იხსენიება (ახ. იხსენებს მას საკუთარი და ასოანდარი, რომელიც, სავარაუდოა, ვიორგის მომხრე დაჯგუფებას ეპუთვნოდა) და ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ტახტის კანონიერ მემკვიდრეზე, ამ შეიძლება იმ დროს უკვე მეუე დავით X-ზე. მაშასადამე, ჩვენის აზრით, 1503/04-1505 წლები არის სამეფო ხელისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდი, როცა კონსტანტინე ჯერ კიდევ ცოცხალია, ვიორგი მისი ხელშეწყობით იბრძვის. ხოლო დავით X ჯერ ტახტზე არ მოძაგრებულა.

1505 წელს კონსტანტინე II გარდაიცვალა.

ამის შემდეგ დავითმა ალბათ შეძლო მოწინააღმდეგეთა დამარცხება და სამეფო ტახტზე განმტკიცება. აქედან იწყება დავით X-ის, როგორც ქართლის ერთპიროვნული მმართველის, მეფეობა. ალბათ არ ცდებოდა კონსტანტინე, როდესაც დავითის შეფილისათვის კანდიდატად არ მიიჩნევდა. საქმეში ჩახედულ სპეციალისტებს კარგად მოეჩინებათ, რომ დავით X მართლაც საქმაოდ სუსტი, უნებისყოფო და უნიათო მმართველი გამოდგა. მაგალითისათვის გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება კახეთის შეფე, მამის შევლელ ავგორევისაღმი, რასაც შედეგად 1512 წელს ქართლში ახალი საფეხოდალოს – სამუხრანისტონის დაარსება მოჰყვა. სავსებით მართებულად მოუთითებს პროფ. დავით გვრიტიშვილი: „სხვა სათავადოებისაგან განსხვავდით, სამუხრანისტონ უშუალოდ სამეფო მამულებისაგან ვამოყოფის გზით წარმოიშეა, რაც ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელი იყო“ (4, 102; იხ. ავრ. 5, 95).

როგორც ჩანს, ვიორგი ბატონიშვილის ტახტისათვის ბრძოლა არც მამის სიკვდილის შემდეგ შეუწყვეტია და თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ იძულებული გაუხდია უფროის

იმ ტანტილან გადამდგარიყო. დავითი ბერად აღკვეცილა. უახტემტი დავითის შემონაზენებასთან დაკავშირებით წერს: „განიხილა მეფემან დავით სოფლისა სიძუხთლე და უსვეობა თვისი, დუტევა მეფისა და იქმნა მონაზონ და დაშოენ ძენი სამნი თამარ დედოფლისაცან: ლუარსაბ, დემუტრე და რამაზ, არამედ მისცა მეფობა ძმასა თვისსა გიორგის“ (7, 399).

ამის გამო, მართებულებდ მიგვაჩნია აზრი, რომ გიორგიმ დავით X ადამიანის ბერად შეძლვილიყო და მიუხედავად იმისა, რომ წესით სამეფო ხელისუულება დაქმინის უჯროს ძეს – ლუარსაბის ეკუთენოდა, თვითონ გამეფდა (5, 102). მონასტერში პრაქტიკული დაცვითი რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა. ამის შემდეგ დაიწყო ბრძოლა ტანტისათვის გიორგი მეფესა და ლუარსაბ ბატონიშვილის შორის. ბრძოლა საბოლოოდ ლუარსაბის გამარჯუებით დამთავრდა. კორეგი; თავისი მამის და მმის მსგავსად იძულებული გახდა შემონაზენებულიყო და ბერობაში დაუსრულებინა სიცოცხლე. თავისთვის ცხადია, მის მეფობის ძალზე უარყოფითად უფრედდა ქართლის სახელგადოების ერთი ნაწილი. კერძოდ ისინი, კინც დავით X-ისა და ლუარსაბ I-ის პოზიციას ემხრობოდა. შემოხვევითი არ უნდა იყოს, რომ მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანები, რომელიც ეჭ. თაყაიშვილმა გამოსცა, გიორგი მეფედაც კი არ მოახსენიება, მიოუმეტეს, როგორც ზემოთ კუჩენენეთ, მატიანე მისი გარდაცვალებიდან სულ მიკლე ხანმა დაწერილი. ავტორი (საფოქრებულია, ლუარსაბის მომხრე) მას მოახსენიებს უბრალოდ – „კიორგი-ყოფილი გერასიმე“, მათინ, როდესაც კონსტანტინესა და დაკითხებისა...“ და ა. შ.

აი, ამგვარად გეკსახება XVI საუკუნის დასაწყისში ქართლის სამეფო კარზე დატრიალებული დინასტიური მოვლენების აჩსნა.

ლიტერატურა

1. ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე ტექსტი. წგ.: ქართლის ცხოვრება. II. ტექსტი დადგენილი კულა ძირითადი სელინიშვილის მიხედვით ს. კაუჩიშვილის მიერ. თბ. 1959.
2. ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი. წგ.: ქართლის ცხოვრება. II. ტექსტი დადგენილი... ს. კაუჩიშვილის მიერ. თბ. 1959.
3. ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის (ცხოვრება ძარღველი ტექსტი. წგ.: ქართლის ცხოვრება. II. ტექსტი დადგენილი... ს. კაუჩიშვილის მიერ. თბ. 1959).
4. დავით გვრიტიშვილი. უკოლალერი საქართველოს სიკალთა ურთიერთობის ისტორიიდან (ქრისტი სათავიდოები), თბ. 1955.
5. ვიქტორ გურია. ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდენისათვის და ავრესორთა წინააღმდეგ XVI ს. I ხახვარიშვი. წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. IV. თბ. 1973.
6. ვაქტორ გურია. საქართველოს პოლიტიკური კოალია XVI-XVI ს. სუვარჩევი. წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. IV. თბ. 1973.
7. განუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წგ.: ქართლის ცხოვრება. IV. ტექსტი ლაგავილი ყველა მართლადი ხელნაწერის მიხედვით ს. კაუჩიშვილის მიერ. თბ. 1973.
8. ექვთიმე თაყაიშვილი. მეცენა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ხელნაწერის ხელნაწერში. პარიზი. 1939.
9. სარგის კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. II. ტფ. 1913.
10. სარგის კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. III. ტფ. 1913.
11. სარგის კაკაბაძე. ქრისტი იკორთის № 6 ფამგულისა. ტფ. 1912.
12. ბაბილინი ლომინაძე. საქართველო XV საუკუნის თანახმა და მისი სამეცნიერო კულტურის აღმოჩენები. აღმოჩენების წლიდოւნის მიზანით. III. თბ. 1979.
13. ლეილ ლომინაძე. უკანონები მოლებული ზოგიერთი მასალა საქართველოს ისტორიის შესახებ. ქრ. „მრავალობა“. XIV. თბ. 1987.
14. მცირე ქორინიძე (კინგლოსის ისტორიიული მინაწერები). ტექსტი გამოსცა. შესავალი წერილი და კომეტიკარები დაუკრია ჯუმბეტი რდიმელმა. თბ. 1968.
15. ღავთ ნინიძე. „მრავალობის მეცნები“ XIV-XV საუკუნეების საქართველოში. თბ. 1995.
16. ჯუმბეტი ლილიშვილი. აღმოჩენები საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII ს.ს.). თბ. 1964.
17. თედო ქორდანია. ქრისტი და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. II. ტფ. 1897.
18. გორგ საითიძე, დავით ნინიძე ლუარსაბ I ის ფეხის კიბითას საქონისათვის. ეური. „არტემულუკი“. № 4. 1995.
19. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი. შენიშვნები და საძიებლები დაურთოთ გიორგი ალასანიამ. თბ. 1980.
20. ივანე ჯავახიშვილი. ქრისტი ერის ისტორია. IV. თბ. 1967.
21. სიმბ ჯანაშვილი. ბარათაშვილია გენერალუგისათვის. პრომები. II. თბ. 1952.
22. **თაკაშვილი ე. ს.** ხრონიკა ერისტავის აკაფისტა. Сборник Материаловъ для Описания Местностей и Племенъ Кавказа. XXIX. отдел I. Тифл. 1901.

1561 წლის უცხოძი იტალიური რუპა და აშხაზთა ისტორიული სამარბლოს ლოკალიზაცია

(წინასწარი ცნობა)

ეროვნული
გილდიანი მუზეუმი


თემის გვ. ბათიშვილი

ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი, არჩ. ნიქოლავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთხ. იბურითულ-კავკასიურ ენათა განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი


ახლახანს აღმოჩნდა რუპა, რომელიც შედგენილია 1561 წელს იტალიელი კარტოგრაფის – ჯაკოპო გასტალდის მიერ ქალაქ პიემონტში. რუპის სრული სათაურია: „აზიას პირველი ნაწილის აღწერა ანტიკური და თანამედროვე სახელწოდებებით პიემონტელი კოსმოგრაფის ჯაკოპო გასტალდისა“ („La descrittione della prima parte dell' Asia con i nomi antichi et moderni di Jacopo Gastaldi Piemontese cosmografo“). რუპაზე გამოსახულია ტურიტორია რუსეთისა და უკრაინის სამხრეთ ნაწილებიდან მეწამულ და არაბეთის ზღვამდე. კავკასიაში უსახელოდ არის აღნიშნული კავკასიონის, ლიხის (სურამის) და სხვა ქედები. ხან სწორად, ხანაც დამახინჯებით წარმოდგენილია ქალაქთა სახელები: თბილისი, ჭუთაისი, გორი, ფოთი, ბელაქანი, გონიო, რიზე, ტრაპიზონი, სებასტოპოლისი, ბიჭვინთა და სხვ. გამოყოფილია ოლქები (ოლქის აღსანიშნავად შემოკლებით წერია regi. – იტალიური სიტყვისაგან რეგიონ „ოლქი, მხარე, ქვეყანა“): ქართლისა (Giorgiani regi.), იმერეთისა (Iberi regi.), სამეგრელოსი (Mengrelia regi.), ჭანეთისა (Regi. de Genic), ჩერქეზეთისა (Circassi regi.) და ა. შ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თითქმის მთელი აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი აღნიშნულია როგორც სამეგრელოს ოლქი, ამჟამინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიწა-წყალის კი სახელწოდება საერთოდ არა აქვს მიწერილი. სამავიეროდ, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით აღნიშნული დიდი უსახელო მდინარის (ამჟამინდელი ყებანის) შეა წელზე მითითებულია Abcas regi. ამ სახელწოდებაში აშკარად შეიცნობა დამახინჯებული Abcvaz | | Abchas „აფხაზი“ სიტყვა. იქვე, იმავე მდინარის მარცხენა შენაკადზე, გამოსახულია ქალაქი Acua, რომლის სახელი ივივეა, რაც ქალაქ სოხუმის ამჟამინდელი აფხაზური სახელწოდება აუვა (ქალაქ სოხუმს ამავე რუპაზე Sanatopoli, ივივე სევასტოპოლისი, სებასტოპოლისი ეწოდება).

XVI საუკუნის რუპაზე აფხაზეთის ოლქისა და ქალაქ აყვას მითითება ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის აუზში, მხარს უჭერს ვარაუდს, რომლის მიხედვითაც ამჟამინდელ აფხაზთა წინაპრების უდიდესი მასა აბაზურ ტომებთან ერთად XVII-XVIII საუკუნეებამდე ჯერ კიდევ ცხოვრიბდა კავკასიონის ჩრდილოეთი ფერდობებზე, მცირე ნაწილი კი ქ. შ. I-II საუკუნეებიდან შესაძლოა ეპვე გადმოსახლებული იყო ამჟამინდელი აფხაზეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილსა (გაგრა-განთიადის მიდამოებსა) და მდინარე კოდორის სათავეებში. კეიინი შეა საუკუნეების ზოგიერთ წყაროში ორი აფხაზეთის მოხსენიებასთან ერთად (4, 57...) ამ ვარაუდს განამტკიცებს 1561 წლის რუპის სხვა მონაცემებიც. კერძოდ, ჯაკოპო გასტალდი ბიჭვინთის (Pezonda) ჩრდილო-დასავლეთით უთითებს ქალაქ ანოგასის (Anogasia). ეს სახელი წარმოადგენს



Հայուն Հակոբյանի Եղիշի Եպիսկոպոս 1561 թ. (Խամբած Եղիշի յայուղու հայոց անձնագիրը)



ფონეტიკურ კარიანტს სავარაუდო Abchazia სახელისა, რომელიც 1311, 1318, 1320 და 1327 წლების იტალიურ რუკებზე აღნიშნულია Uogasia, Auochaxia, Auogassia, Augazio სახელწოდებებით, ხოლო აბუ-ლ-ფიდა (1273-1331), აღ-კალკაშანდი (1355-1418) და აბუ ბექრი (XVII ს.) მოიხსენიებენ როგორც ქალაქ აბხას-ს. ამ ქალაქს/ქალევართა ერთი ნაწილი (ლეონიდ ლავროვი – 5, 47) დაბა განთიალთუნ-აფავებს, სხვები (შეიძლება მეტრული – 1, 459) ანაკოფიასთან აუკითხებს. გრული აღასანდურტო ქალაქის თვალსაზრისის ქალაქ აბხასის ნიკოფიასთან იგიურიბის შესახებ (2, 267). დიმიტრი გოჩოლეიშვილს ეს ქალაქი არარსებულადაც კი მიაჩნია (3, 47).

ამ მოსახრებათაგან ჩვენ ვიზიარებოთ ლ. ლავროვის შეხედულებას და მივიჩნევთ, რომ ქალაქი აფხაზ(ია) მდებარეობდა დაბა განთიალის აღვილას, რაკი ამავე პერიოდში ახლანდელი განთიალის სიახლოეს უკვე ამკარად სავარაუდოა აფხაზთა წინაპრების ბინადრობა – სწორედ XVI საუკუნის I ნახევარში მამია დადიანის მიერ ბიჭვინთის დეკისმმობლის ეკლესიისადმი გაცემულ სიველში პირველად იხსენიება საკუთრივ აფხაზური წარმომავლობის ტოპონიმი აითარნგ ორ სხვა, ამკარად აფხაზური წარმომავლობის არუხა და რაბიწა ტოპონიმებთან ერთად. იმ ორი სახელის უტიმოლოვია დამატებით კვლევას მოითხოვს, ხოლო აითარნგ სახელი უკავშირდება ძველი სახელის მფარველი ლევობების აფხაზური სახელს აათარ (შდრ. მეგრ. ანთარი), რომელსაც ურთვის აფხაზური მატოპონიმებელი – ნგ სუფიქსი. უფრო აღრე ძუამინდელი აფხაზურის ტურიტორიაზე არ დასტურდება დამაჯერებული ეტიმოლოგის მქონე არცეროი აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდება.

რაც შეეხება ჯაკოპო გასტადლის რუკაზე აყვა სახელის ფიქსირებას ყუბანის აუზში, ამ გარემოებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ქმნის საფუძველს შემდგი ვარაუდისათვის: აყვა თავდაპირველად ერქვა აფხაზურ დასახლებულ პუნქტს ჩრდილოეთ კავკასიაში. ამჟამინდელ აფხაზეთში 1561 წლის შემდეგ ჩამოსახლებულმა აფხაზებმა თან შორის ივი და დაარქვეს სოხუმს, რომელსაც მანამდე მრავალი საუკუნის მანძილზე სვანური წარმომობის სახელი – ცხუმი ერქვა, ცხუმ კი სვანურად ცხემლას (რცხილის ერთ-ერთ ქვესახეობას) ნიშნავს. გარდა ამისა, ჯაკოპო გასტადლის რუკა ამჟამად მთელი 176 წლით უფრო ძველი დოკუმენტია, რომელზეც პირველად იხსენიება სოხუმის აფხაზური სახელწოდება. აქამდე კი ყველაზე ძველ ამგვარ დოკუმენტად მოიჩინდა იმერთა მეფე ალექსანდრე V-ის 1737 წლის რუკა, რომელზეც იხსენიება აყუ-ჯიხა (ჯიხა მეგრულად ციხეა).

ჯაკოპო გასტადლის რუკა მიკვლეულია ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის ლინგვისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლების – ლოქტონი კარინა ვამლინგისა და უილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატ რუზო ჭანტურიას დახმარებით.

ლიბერტეტი

1. აღ-კალკაშანდი. ცნობები საქართველოს შესახებ. არამედიდან თარგმა მ. მეტრულება. ქრ. „არმადანი“. თბ. 1977.
2. ქთის ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმა, შესავალი, შენიშვნები და საბიუბლები დაურთო გ. აღასახიაშ. თბ. 1978.
3. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ. არამედიდან თარგმა, შესავალი, შენიშვნები და საბიუბლები დაურთო დ. კონტაქტების. თბ. 1988.
4. Георг И.-Г. Описание всех обитающих в
- Российском государстве народов... ч. II. СПб. 1799.
5. Лавров Л. И. Этнография Кавказа. Л. 1982
6. Сизовъ В. Восточное побережье Черного моря. Материалы по археологии Кавказа. вып. II. М. 1889.
7. Nordenskiöld A. E. Periplus an essay on the early history of charts and sailing directions. Stockholm. 1897.

პართიულები და სპარსელები

IV საუკუნის რომაულ წყაროები

ერთობენ კულტურული გარეთ

თორინიკუმზე მაზრაბაშვილი

თავი ძეველი ქავერების ისტორიის კათედრის ასპირანტი

როგორ იყვნენ მონსენიებულნი ლათინურ წყაროებში რომის იმპერიის გარეთ მცხოვრები ჩაღხები? უზუსტობანი და ვარიაციები თავისთვის მეტყველებენ კონცეფციებსა და სინამდვილებზე. ჩვენი მიზანია ამ მიმართებით წარმოვადგინოთ რამოდენიმე დაკვირვება პართიულებისა და სპარსელების სახელწოდებათა გამოყენებაზე დასაკლურ მატიანებში.

ერთადერთი დიდი სახელმწიფო, რომელიც რომის იმპერიას ესაზღვრებოდა და აღმოსავლეთში ბატონობას ეცილებოდა, იყო პართიის სამეფო, ხოლო III საუკუნის 20-იანი წლებიდან მის ნანგრევებზე აღმოცენებული ახალი სპარსული სახელმწიფო, სასანიდთა სამეფო დინასტიით სათავეში.

რომაულთათვის პართიულებსა და სპარსელებს შორის განსხვავება ყოველთვის არ იყო ნათელი. ჯერ კიდევ სანამ სასანიდები მოვიდოდნენ ხელისუფლების სათავეში, ხდებოდა ისე, რომ პართიულებს სპარსელებს უწოდებდნენ. IV საუკუნის წყაროებშიც აღრევა ხშირია.

სექსტუს ავრელიუს ვიქტორის თხზულებაში „Liber de Caesaribus“ („წიგნი კეისართა შესახებ“) სპარსელები თითქმის არასდროს არ იყვნენ ჩათვლილი პართიულებად, მაგრამ პირიქით კი, პართიულთა მიჩნევა სპარსელებად ზოგჯერ გვხვდება. რაც შეეხება ევტონიუსის „Breviarum ad urbe condita“-ს („მოკლე ისტორია ქალაქის დაარსებიდან“), მასში ავტორი ხშირად ცვლის პართიას სპარსეთით, იმ დროსაც კი, როცა ეს აუცილებელი არ არის. მაგრამ სპარსეთის ნაცვლად პართიას თითქმის არასოდეს წერს, მაშინაც კი, როცა ეს საჭიროა.

ტერმინების ამგვარი უზუსტობა დიდხანს იჩენდა თავს საიმპერიო ოფიციალურ ენაშიც. ზედწოდება „Persicus“ („სპარსელი“), რომელსაც რომის მბრძანებლები იღებდნენ აღმოსავლეთში სპარსელების წინააღმდეგ წარმატებული ან ნაკლებად წარმატებული სამხედრო ოპერაციების შემდეგ, პირველად ჩნდება მხოლოდ იმპერატორ ფილიპე არაბის (244-249) ტიტულატურაში, მაშინ როცა ძველი ზედწოდება „Parthicus“ (პართიული) შენარჩუნებულია უფრო გვიანი დროის იმპერატორთა ტიტულატურაში – ავრელიანესთან (270-275) და პრობუსთან (276-282).

აღსანიშნავია ისიც, რომ იმპერატორ იულიანე განდგომილს (361-363), ამიანე მარცელინეს თქმით, უნდოდა სპარსელებთან ომის შემდეგ მიეღო „Parthicus“-ის საპატიო წოდება (Amm. XXII, 12, 133). ეს მაშინ, როცა პართიას, როგორც სახელმწიფოს, არსებობა ჰქონდა შეწყვეტილი საუკუნეზე მეტი წნიათ. ამ უაქტს ჩვენ დავუძრუნდებით დასკვნით ნაწილში.

ამრიგად, რომაულების თვალში პართიისა და სპარსეთის ცნებები არ აღნიშნავდა განსხვავებულ რეალობებს. რომის ერთიდათვივე პოლიტიკა უნდა გაეტარებინა არშაკილები პართიისა და სასანიდური ირანის მიმართ. ეს იყო თანაარსებობის პოლიტიკა, რადგან გვიანი პერიოდის იმპერიას აღარ შესწევდა ძალა აღმოსავლელი მეზობლის სრული მოსპობისა. უფრო მეტიც, ხელისუფლების სათავეში სასანიდების მოსვლის შემდეგ შემტევ მხარეს, გარკვეული გამონაკლისების გარდა, წარმოადგენდა სპარსეთის სახელმწიფო, იმპერიის აღმოსავლერი პოლიტიკა კი მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებულის შენარჩუნებით შემოიფარგლებოდა.

მაგრამ იყო კი სპარსეთისა და პართიას აღრუება სისტემატური? საიმპერიო ტიტულატურაში ზედწოდება „Persicus“ საბოლოოდ მკვიდრდება იმპერიატორ კარუსის (282-284) შემდეგ და თითქმის აღარ იხმარება მეტსახული „Parthicus“. ჰეროდონი თავის ნაშრომში „Ab excessu divi Marci libri octo“ („ისტორიის რვა წიგნი მარკუსის სიკვდილის შემდეგ“) გვიჩვენებს თუ რას ნიშნავდა არშაკიდი პართიელებისაგან ხელისუფლების გადასვლა სასანიდი სპარსელების ხელში. იგი საერთოდ მკაცრად განსაზღვრულ ტერმინებს იყენებს, მის თხრობაში ცოტაა შეუსაბამო აღიაღები. IV საუკუნის ცნობილი სოფისტი ლიბანიოსი ხშირად იხსენიებს სპარსელებს, რომელთაც ზოვჯერ ცვლის ასირიელით და ზოვჯერ მიდიელით.

ტერმინების აღრუება, როგორც ჩანს, არ იყო შემთხვევებით. ცხადია, იგი ზოგჯერ აისხნება გამეორების თავიდან აცილების სურვილით ან სტილის თავისებურებით, მაგრამ ამგვარი განმარტებანი არ არის ყოველთვის საკმარისი. ისმის კითხვა: აღრუება სპარსელისა პართიელში ხომ არ ამჟღავნებდა აღმოსავლეთის შესახებ რომაული კონცეფციების ბუნდოვანებას, ანდა ხომ არ ჰქონდა ამ აღრუებას რაიმე გააზრუბული მნიშვნელობა ამა თუ იმ ავტორთან და განზრახ ხომ არ ხდებოდა ამ ტერმინთა შეუსაბამო აღგილებში ხმარება?

ამგვარი კითხვები დავუსივათ ორი ავტორის – იმპერატორ იულიანე განდგომილისა და ისტორიკოს ამიანე მარცელინეს ნაშრომებს, რომლებშიც გვხვდება გარევეული აღრუება. აღსანიშნავია, რომ ეს ავტორები თანამოაზრები და გარევეულწილად თანამებრძოლებიც იყვნენ.

დავიმოწმოთ იულიანე განდგომილის სამი წერილი – ორი „Elogium de Constantius“ („კონსტანციუსის ქება“), დაწერილი 356 და 358/359 წლებში და ურთის პატვლეტი „De Caesaribus“ („კეისრების შესახებ“), 362 წლით დათარიღებული.

პირველ „Elogium de Constantius“-ში მიდიელები, სპარსელები და პართიელები მნელად განირჩევიან ერთმანეთისაგან. საქმე ეხება ერთი და ივივე ხალხს, რომელსაც დაუპირისპირდნენ აღექსანდრე მაკედონელი და რომაელები. იულიანეს მტკაცებით, რომაელთა ბრძოლა წარმოებს მაკედონელთა მეშვიდრეობის სახელით და რომაელები თავიდ არიან აღექსანდრეს უშეალო მემკვიდრეები. აქ ჩანს უწყვეტობა: აქემენიდი სპარსელები – არშაკიდი პართიელები – სასანიდი სპარსელები.

მეორე „Elogium de Constantius“-ში იულიანე სულ სხვაგვარად გადმოგვიცებს კითარებას. იგი რომის აღმოსავლელი მტრის აღსანიშნავად მხოლოდ პართიელებს ასახელებს. ყველაფერი ისეა, თითქოს მისი თანამედროვე სპარსელი სასანიდები არც



რომის იმპერატორი
იულიანე განდგომილი (361-363)

კი არსებობდნენ. საფურალლებოა იულიანეს ურთი შენიშვნა, სადაც ლაპარაკია იმპერიის მოწინააღმდეგებებზე, რომლებიც სულ იმის შიშში არიან, ვაითუ პარიიელებად ჩაგვთვალონო (ავტორის აზრით არიან კიდეც) და ცდილობენ, რომ /სპარსელებად იქნენ მიჩნეულნი. იულიანე „სპარსელებში“ გულისხმობს აქემენიდებს. მას მოაქვს ჯარისკაცთა განლაგების მაგალითი, რომაც სასანიდთა მეუკე ბაძავს ქსერქეს ამაღლებულ გორაკზე ცალკე დგომით.

როგორც ამ მეორე წერილოდან ჩანს, შეიძლება პოლიტიკური შემთხვევლობა მიენიჭოს სასახიდური რეალობის იგნორირების. სასახიდებს, რომლებიც თავს აქემენიდების მემკვიდრეებად აცხადებდნენ და რომაელებისგან ძველი სპარსული ტურიტორიების დათმობას მოითხოვდნენ, იულიანე არც კი ახსენებს და საზოგადოებას არწმუნებს, თითქოს ისინი მხოლოდ და მხოლოდ სპარსელებად გადატული პარიიელები არიან. მამასაღამე, აღარ არის უწყვეტობა, არამედ პირიქით – წყვეტილია აქემენის სპარსელებსა და არშაკიდ პარიიელების შორის. ეს უკანასკნელი პირველთა მომდევნობი არიან, მაგრამ არა მემკვიდრეები. ამიტომ მათი პრეტენზიები რომის აღმოსავლეთი პროექტიებზე უსაფუძვლოა.

ზემოთ განხილული იულიანეს ნაშრომები დაწერილია იმ პერიოდში, როცა იგი მხოლოდ მეამბოხე კეისარია, აჯანყებული თავისი ბიძის – იმპერიატორ კონსტანტიუს II-ის (337-361) წინააღმდევ. მის მიერ წარმოდგენილი სპარსეთის პოლიტიკური რეალობა კიდევ უფრო შეუსაბამო ხდება იმპერიატორობის პერიოდში, როცა იგი აქტიური მოქმედი პირი ხდება.

სპარსეთთან ომის ინიციატორი იულიანე ცდილობს დახვეწის აღმოსავლელი შეტოქის სახე. იმპერიატორს აღარ აწყობს ძველი შეხედულებანი. მჭრის დამცირებით იულიანე დააკანიხებს იმ გამარჯვების მნიშვნელობასაც, რომლის მომრეცხვასაც იგი აპირებს. პამჟლეტში „De Caesariibus“, რომის მტერი მუდაშ პართია, სწორედ მას ებრძვიან რომაელები 300 წლის მანძილზე. რომის ეს მეტოქე ღირსეულად არის ჩათვლილი. რომაელებმა ვერ შეძლეს მისი სირული განადგურება. მტრის სამხედრო ძლიერება ჩაზღასშულია კამათში, რომელშიც აღექსანდრე მაკედონელი უპირისპირდება რომაელ კეისარის. სწორედ რომ საშიშ ძალას წარმოადგენენ აღექსანდრესთვის კარგად ნაცნობი მტრის შშეილდოსნები, რითაც აიხსნება რომაელთა წარუმატებლობა შეირეულ თუ ახლო წარსულში. ამგვარად, სახეზე იულიანეს მიერ განხორციელებული მხატვერები ხერხი – კამათის გზით ხდება სპარსელების ცნების გაიგივება პართიელებთან. ნიშანდობლივია აღექსანდრე მაკედონელის პიროვნების წინა პლატზე წამოწევაც. როგორც ცნობილია, სპარსეთში ლაშქრობის წინ იულიანე თავს ახალ აღექსანდრელ ასაღებს.

ასე რომ, იმპერიატორს მისი თანამედროვე სასანიდური სპარსეთის სახე განზრახ აქვს წარმოდგენილი პოლიტიკური რეალობის უარყოფით, რომლის ნაცვლად იგი ქმნის ჩაერთის აღექსანდრეს აქემენიდი მოწინააღმდევების ჩსოვნის შენარჩუნებით და არშაკიდული პართიის აღიარება-დამკვიდრებით. სპარსეთის ნაცვლად პართიის მოხსენიერა შეიძლება აიხსნას იძითაც, რომ იულიანესთვის პართიელები უფრო საშიში მტრები იყვნენ, გამომდინარე მათთან ბრძოლის მრავალსაუკუნვანი ტრადიციიდან, კიდრე ისინი, ვინც ძველად დამარცხების შემდეგ შეერწყნენ აღექსანდრეს იმპერიას.


ამისკე მარცვლინეს ნაშრომში „Res gestae“ („ქმედებანი“) პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ოჩზულების დიდ ნაწილს ჩვენამდე არ მოუღწევია. როგორ გაიაზრა ამიანები არშაკიდების სასანიდებად გარდაქმნა, მნელი სათქმელია. მოღწეულ წიგნებში შხოლოდ ზედაპირული მინიშნებაა აქემენიდური სპარსეთზე. სასანიდები მრავალგზის არიან პოსენიებული პართიელებად, მაგრამ სწორი დასახელება დიდიდ სჭარბობს. რაც

შეეხება ისტორიულ და ეთნოლოგიურ ნაწილს, ის, როგორც ჩანს, შეიცავს გარკვეულ აღრევებს.

აღრევა განსაკუთრებით ოვალსაჩინოა მარცველინეს მიერ „XXIII წიგნის“ (Amm. XXIII, 6, 175-196) წარმოდგენილ ექსკურსიში სპარსეთის სამეფოს შესახებ. მოგვითხრობს რა ამ ქვეყნის მხარეთა შესახებ, იგი არსად აჩიენებს აქემენიდების და არშაქილების შემდეგ სასაჩიდების ხელისუფლების სათავეში მოსვლის ფაქტის მას წილის არ სჯერა არშაქილების მიერ ჩელისუფლების დათმობა. უფრო ზოგადად თუ ვიტყვით, ისტორიკოსს არ უნდა ჰქონდეს ღრმად გააზრუბული პართიასა და სპარსეთს მორის განსხვავება. ნიშანდობლივა, რომ მას, ისევე როგორც აზტიკური პერიოდის ისტორიკოსთა უმრავლესობას, სპარსეთის წარსული წარმოდგენილი აქვს რომაული თვალსაზრისით და დროსაც იგი აღმოსავლეთის რომთან ურთიერთობის შესაბამისად პყოფს.

ეთნოლოგის თვალსაზრისითაც შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება. „Omnis Persis“-ის („ყველი სპარსელი“) ამინესუულ აღწერაში ჩანს, რომ ისტორიკოსს გაცნობიერებული აქვს განსხვავება „Persis antiqua“-სა („ძველი სპარსელები“) და „Parthyaei“-ს („პართიელები“) მორის. მაგრამ როცა იგი გადადის ზე-ჩვეულებების აღწერაზე, განთხოვავს ჩალჩის მხოლოდ ერთ ჯგუფს – „Haec natio“ („აი ეს ერთ“).

მარცველინეს ლექსიკონის უფრო დაწვრილუბითი შესწავლა საინტერესოა სხვა მხრივაც. საგულისხმოა, რომ ტერმინთა ხმარებაში აღრევა საკმაოდ ცოტაა, თუ კალკი გამოვყოფა იმ შემთხვევებს, როცა „Parthia“ ან „Parthicus“ სწორად არის დამოწმებული და არ ქმნის პრობლემას. ასეთ ვითარებაში შეცდომით ხმარების შემთხვევები თითქმის ყოველთვის აიხსნება გამეორების თავიდან აცილების მიზნით, რადგან ეს ორი ტერმინი მეზობლების ურთისანერთობან – „Parthia“ თითქმის სისტემატურად



ირანი. ჩაუმა-რიუსთამის ელდე. არდაშირ I-ის რელიეფი.

აქერამამდი (მარჯვნივ) გადასულის ხამეფით რეგადითა არდაშირ I-ს ღვთამების ცხენი უქნით
თელავს სიბრუნვის ღმერთ ამრისანს. მარცხნივ, არდაშირის ცხენის ქვედ
უამოსახულია პარსას უკანასკნელი მეფე არგაմან V.

მიღის „Persia“ ს შემდეგ ამ ტერმინებს ამიანესთან მეტად განსხვავებული დამოწმების სფეროები აქვთ. „Persicus“ დაკავშირებულია სამ ასპექტთან. ესენია – გეოგრაფია: „Regiones“ („მხარე“, „ქვეყნა“), „Mare“ („ზღვა“), „Fines“ („საზღვაონ“) და სხვ. პოლიტიკური სტრუქტურები: „Rex“ („მეფე“), „Ducis“ („ბეჭდი“), „Regnum“ („სამეფო“); სამხედრო ოპერაციები: „Bellandi artis Persicae“ („სპარსელთა საომარი ხელოვნება“), „Castellum“ („ციხე-სიმაგრე“), „Equitatus“ („ციხესიმაგრის ძარი“). მაშასადამე, „Persis“ და „Persicus“ ზუსტად აღნიშნავენ სპარსილური სპარსეთის გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და სამხედრო სინამდვილეს.

რაც შეეხება „Parthicus“-ს, ეს ტერმინი იხმარება ამიანეს თანადროული სპარსეთის წინააღმდევ წარმოებული ომის აღმნიშვნელ გამოსაქმებში. აյ რომ აღრევაა, ეს ამკარად ჩანს, მაგრამ მნელია ეს შეუსაბამობა ძივაწეროთ მარცელინეს მიერ სპარსული და პართიული რეალობის უცოდინარობას. იყენებს რა ტერმინს „Parthia“ „Persa“-ს ნაცვლად, ისტორიკოსი ამით კაზრებულად ცდილობს აღნიშნოს ამ მრავალსაუკუნოები შეჯახების გლობალური და ხანგრძლივი ხასიათი. ამგვარად, ამიანეს შემორჩენილი მოთხრობები ავრძელებენ „Bella Parthica“-ს („პართიული ომი“) აღწერის ტრადიციას, რაც მას გადმოცემული უნდა ჰქონდა ხაშრობის იმ ნაწილში, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღიერება.

დასკვნისათვის დავუბრუნდეთ ზედწოდების საკითხს, რომლის მიღებაც სურდა იულიანეს. მარცელიჩე წერს, რომ იმპერატორს ომის დამთავრების შემდეგ უნდა გადაეხადა ტრიუმფი და მიეღო საპატიო ზედსახელი (Ann. XXV, 4, 256), თუმცა ისტორიის მსვლელობამ არ მისცა საშუალება ამგვარი სურვილის განხორციელებისა. იმპერატორ კარუსიდან კონსტანტინე დიდამდე (306-337) და კონსტანტიუს II-მდე რომის მხრიდან ებლები ატარებდნენ საპატიო ზედსახელს „Persicus“. ამიანე კი გადმოვცემს, რომ იულიანეს ძალიან უნდოდა თავისი დიდებისათვის შეეძალებინა ზედწოდება „Parthicus“. შეიძლება ასეთი ფორმულირება მიეწეროს თვით ამიანეს, მას რომ აზრად მოუკიდა ამ ტიტულის ხმარება, არ არის გასაკვირი, რადგან იგი იულიანეს ლაშქრობას განიხილავდა როგორც „პართიული ომების“ ძველი რომაული ტრადიციის გავრმელებას. მაგრამ „Parthicus“-ის არჩევა ასევე დასაშვებია მიეწეროს თავად იულიანე განდვოშილს, რამდენადაც ეს მეტსახელი ეთანხმება მის თხზულებებში გადმოცემულ შინაგან კონცეფციებს, რომელია მასეულესიაც პართიულები უფრო არიან რომის მტრები, ვიდრე სპარსელები. ეს არჩევანი საგულისხმოა იმითაც, რომ უარყოფდა ტიტულს „Persicus“ („სპარსელი“), რომლის მატარებელი იყონენ იულიანეს მიერ გაკრიტიკებული წინამორბედები – კონსტანტინე დიდი და კონსტანტიუს II. ეს არჩევანი უკავშირდება აკრეთვე იმპერატორ ტრაიანეს (98-117) მიერ დაწყებულ ტრადიციასაც. სწორედ ის იყო პირველი, ვინც მიიღო ზედწოდება „Parthicus“ („პართიული“). ტრაიანეს ეპოქის მიღწევები აღმოჩავლეოთ შეესაბამებოდა როგორც იულიანეს, ისე მარცელინეს სურვილებსა და მისწრაფებებს.

ଲୋକବାଚିକ୍ ପତ୍ର

1. Аміан Марцеллін. Історія. Переводъ съ латинскаго. Ю. Кулаковскій и А. Сонни. Выпукъ I-II. Київъ. 1906-1907.
 2. Моммзен Теодор. История Рима. V. М. 1949.
 3. Ammiani Marcellini. Rerum gestarum libri Qui supersunt, recensuit notisque selectis instruxit. V. Gardthausen. v. 1-2. Lpz. 1874-1875.
 4. Aurelius Victor. Liber de Caesaribus, Origo gentis romanae et Liber de viris illustribus urbis Romae, subsequitur Epitome de Caesaribus, recens. F. Pichlmayr. Lipsiae. 1911.
 5. Bowersock G. W. Julian the Apostate. Cambridge-Massachusetts. 1978
 6. Chrysos E. Some Aspects of the Roman-Persian Legal Relations. Cleronomia. 8. 1976.
 7. Julianus Apostata Oeuvres completes. Texte e'tabli et trad. per J. Bidez. t. 1. v. 1-2. Paris. 1924-1932.
 8. Rosivach V. The Roman's View of the Persians. The Classical World. 78. 1. September-October. 1984.

ბრინჯაოს ხანის საქართველოს ოქროშედლობის ნიმუშია ლაზერული მას-სპექტრომეტრული ანალიზის შედეგები

ეროვნული

ტექნიკური

გირიგი მახარაძე

ბრინჯაოს ხანის საქართველოს ოქროშედლობის ნიმუშია სპეციალისტების მუდამ და ინტერესის იწვევდა. მაგრამ, ძირხედავად ამისა, სხვადასხვა მიზანთა გამო, ამ ნიმუშთა ღრმა ტექნიკური ანალიზი სპეციალურ სამუალებათა გამოყენებით არ ჩატარებულა. დღემდე არსებული მონაცემები ძირითადად უყრდნობოდა ვიზუალურ დაკვირვებებსა და სელოვნებათმცოდნეთა შეფასებებს.

აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია ჩვენი ცდა შეგვესწავლა ბრინჯაოს ხანის ოქროს ნივთები მათი წარმომავლობისა და დამზადების ტექნიკურის დაღვენის მიზნით. თავდაპირველი ამოცანა იყო სპეციალური საანალიზო აპარატურის სამუალებით ნივთების დასამზადებლად გამოყენებულ თქროში არსებული მინარევი ელემენტების გამოყოფა და მათი შედარება საბადოების მინარევებთან ეფექტური კონკრეტული სამუალების (ცნობილია, რომ ყველა საბადო ხასიათდება მინარევთა ინდიკატორულური სპექტრითა და პროპორციით).

ანალიზი ჩატარდა 01.01. გამოყენებითი ბირთვული უაზიკის ლაბორატორიაში (ხელმძღვანელი პროფ. მიხეილ კავილაძე).*

ჩვენი პრობლემის მსგავსი ამოცანების გადასაწყვეტილ არსებული მეთოდებიდან თავისი უნიკალურობით გამოიჩინა თრმავი ფოკუსირებისა და ლაზერულ-იონური წყაროს მქონე ენერგო მას-ანალიზატორის მეთოდი. მას აქვს ის უპირატესობა, რომ ანალიზს აკეთებს უაქტიურად უწონად ფრაგმენტებზე, მისთვის საქმარისა 1-1,5 მილიგრამი მასის ფრაგმენტი. თვით ასეთი მცირე მასის ნიმუშებიც კი ანალიზის შედეგად არ იკარგება და გამოსადევთა შეძლევი გამოკულებებისათვის. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ეს მეთოდი გამოირჩევა დაღი ძვრის მინიმუმით ერთდღიულად ყველა ქიმიური ელემენტის მიმართ, რაც სამუალებას იძლევა ჩატარდეს პრაქტიკულად უწონად ნიმუშების სრული ანალიზი მინარევ ელემენტებზე 10^{-7} %-ის სიზუსტით, ე. ი. შესაძლებელია დავადგინოთ ყოველ მილიარდ (10^9) ძირითადი ელემენტის ატომზე მინარევის ერთი ატომის არსებობაც კი.

განსაკუთრებით დიდია ამ მეთოდის როლი თვითნაბადი ნიმუშების შესწავლაში, რადგან მათი შემადგენლობა ჩასიათდება მუდმივი პარამეტრებით ამა თუ იმ გეოლოგიური სტრუქტურისათვის. ამდენად, ძირითად მაღანეტი სივადასხვა ელემენტები შემადგენლობის დადგენით იგი ცალსახად შეიძლება დაუკავშიროთ კონკრეტულ საბადოს, ე. ი. განკაზლერით მის წარმომავლობა.

ამ მეთოდში ანალიზატორად გამოიყენება ცილინდრული ელექტრული ველისა და მაგნიტური ველის სპეციალური კომბინაცია, რომელიც სამუნირო ლიტურატურაშიც ცნობილია როგორც მატაუხ-ბერვოუის გეომეტრია. აღნიშნული ანალიზატორი სამუალებას გვაძლევს კოლინირებული იონური სხივი დამზადოთ მასების მიხედვით, კინაფან ყოველ მასას შეესაბამება გარკვეული ელემენტი. აქედან გამომდინარე, ყოველგვარი ქიმიის გარეშე ხდება სისვის დაშლა მასში შემავალ ელემენტებად და ყოველი ელემენტის შესაბამისი მასების ფოკუსირება ურო სისრტყეში. ეს არის ამ მეთოდის დიდი უპირატესობა.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევას შეტაც ართელებდა ანალიზისათვის საჭირო ნიმუშების მონახვა. ჯერ ურთი, ანალიზატორის ვაკუუმ-კამერა შეტაც მცირე მოცულობისაა და მეორე, თავი იჩინა უნიკალური არქეოლოგიური მასალის დაზიანების შიშა. ამ ფაქტორებმა

* სამუშაოები დაკავშირებული იყო დოდ ყონისსაც პრობლემებთან, რომელთა გადაჭრაშიც დაგვეხმარა რესოუსის დისტონის ნაკრთლებათ მომინანქრების ქარხანა (დარექტორი მიხეილ გრიელიძე) და რესოუსის დაწინაურებულის კომპიუტრი (დარექტორი აჩორ შოხია), რისთვისაც მათ დიდ მაღლობას კუმდვნოთ.

გვაიძულებს შემდეგნაირად გვემოქმედა: პირველ 10 ნიმუშად (ცხრილი № 1 და № 2) ავიღოთ ოქროს მტვერი, რომელიც მოსცილდა ნივთების მათი აღმოჩენის დროს (უნდა აღვნიშნოთ, რომ ლაზერული ანალიზის შემდეგ თვით ასეთი მცირე ზომა-წონის ფრაგმენტებიც კი არ განადგურებულა და მათზე მხოლოდ ნაპრიალები კვალი დარჩა). ამის შედეგზე კვლევის მეორე ეტაპზე, სხვა ნიმუშებთან ერთად საანალიზოდ წარვადგინეთ ანტიკური ნანის საკიდი „დედოფლის გორიდან“. ეს საკიდი თავისი ზომით ზუსტად მოსაკუნძულ ფრაგმენტების მიხედვის მიზანით შედარებით უფრო ინტენსიურად დასხივდა. პმჩ შეუწევდავად, საკიდი არ დაზიანებულა — ლაზერის სხივმა კვლავ თოხუეთხა ნაპრიალები კვალი დატოვა მის უკანა ზედაპირზე.

ყოველივე ამის შემდეგ შეგვიძლია სრული პასუხისმგებლობით ვამტკიცოთ, რომ წარმოდგენილი კვლევის მეთოდი მაქსიმალურად უკრებელია და მისი გამოყენება მიზანშეწონილია ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნივთების შემდგომი შესწავლისათვის. ჩვენმა ანალიზება აჩვენა, რომ ასეთი გამოკვლეული ბევრ საინტერესო და მოულოდნელ შედეგს მოგეიტანს.

როგორც აღუნიშნეთ, ოქროს ნიმუშები ანალიზისათვის ორ ნაწილად წარვალგინეთ. პირველი ნაწილი (10 ნიმუში) წარმოადგენდა ნივთების უწონალი ფრაგმენტების შემთხვევით ნაკრების. ჩატარებულმა ვაზომცებმა ცხადეთ, რომ ნიმუშების უმრავლესობა არ არის სუფთა ოქროსი (№ 10 ნიმუშის ვარდა). ცხრილის დამუშავებისა და გეოლოგებთან კონსულტაციების შემდეგ შესაძლებელი გაჩდა გამოგვეყო დარჩენილი 9 ნიმუშიდან ორი ჯვეფი — პარველი ჯვეფი (№ 5 და № 6) წარმოადგენს დაბალსინჯიანი ოქროს მაღინის საბადოებიდან მოპოვებულ ელექტრუმს, რომლის ზედაპირიც დაფარულია უყრო მაღალი ხარისხის ოქროთ. ამაზე მოყიდვის ელექტრუმისათვის არადასასიათვებული სინჯი — 901. საქართველოს ტერიტორიაზე დაბალსინჯიან ოქროს მაღნებში სინჯი მერყეობს 680-750-ს შორის, ხოლო ვერცხლის შემცველობით უახლოვდება ელექტრუმს. ორივე დასახელებული ნიმუში ამ ჟატეგორიას ვაჩუუთვნება.

მეორე ჯვეფი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მასში შედის №№ 1, 2, 3, 4, 7, 8, 9 ნიმუშები (იხ. გრაფიკი). ანალიზის შედეგი რამდენადმე მოულოდნელი აღმოჩნდა. ჩვენ უხედავთ, რომ ეს ნივთები არ არის ოქროსი, ისინი წარმოადგენს კერცხლისა და სპილენძის შენაღნობისაგან დამზადებულ მოცემულებულ ნივთების. ამის მტკიცების საშუალებას გვაძლევს ამ ნიმუშთა მაღალი ოქროს სინჯი (901-958), რაც გამორიცხავს შენაღნობის შესაძლებლობას.

მოცემულმა ანალიზმა დაადასტურა ამაღვამის ტექნიკის ფართო გავრცელება და გასაოცრად მაღალი დონე თრიალეთის კულტურაში. შედეგები საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ეს ნივთები ვაცილებით უფრო რთული ტექნიკით არის დამზადებული, ვიდრე აქამდე ვაცარაუდობდით. ჩემოთ მოყვანილი კვლევის შედეგი პარასტიკულად ამტკიცებს პროფ. კაუა ჩიმშიაშვილის აზრის შუა ბრინჯაოს ხანაში ამაღვამის ტექნიკის გამოყენების შესახებ (1).

რამდენიმე სიტყვა თვით ამ ტექნიკაზე. ამაღვამა დამდანებულია ოქროსა და სინდიფის (ელექტრისტულის) შეერთებაზე. მის დასამზადებლად ნახშირის ტიკელში ან ნახშირის ლუმელში ათავსებდნენ წვრილად დაჭრილ ოქროს ფირფიტების, ახურებლნენ გაწითლებამდე (ე. ი. 700° - 800° -მდე), უმატებლნენ წინასწარ 300°-მდე ვახურებულ სინდიფს და აყვანებდნენ ვახურებულ მდგომარეობაში ოქროს სრულ განსამდე (ოქროსა და სინდიფის შეფარდება იყო საშუალო 1:6). გაციების შემდეგ ზედმეტი სინდიფის მოსამორებლად შენაღნობს ასხამდნენ ნატში ან სხვა რომელიმე ნაჭერში და ასე წურავდნენ. დარჩენილი ფაფის მაკარი მასა წარმოადგენდა ამაღვამას. სინდიფის მომორება შეიძლება აგრეთვე გამდნარი შენაღნობის დაყოვნებით ცეცხლში შედმეტი სინდიფი ასაორთქლებლად.

ოქროს ამაღვამას პარულ რიგში ვერცხლისა და სხვა ლითონებისათვის იყენებდნენ. წინასწარ გასუფთავებულ, ცხიმგაცლილ ლითონის ზედაპირს ჯავრისით უსვამდნენ ამაღვამის თხელ ფენას, შემდეგ ლითონის ახურებლნენ ნელ ცეცხლში სინდიფის აორთქლებამდე, რომლის დროსაც ოქრო სუფთავდებოდა და თავისი აქტიური ატომური მჭიდროდ უკავშირდებოდა ლითონის ზედაპირს (1).

მესამე ჯგუფს წარმოადგენს ნიმუში № 10 და კლევის მეორე ეტაპზე შესწავლილი ნიმუშები – №№ 11, 12, 13, 14, 15 (№ 16 არის № 15-ის საკონტროლო განაზომი). კლევი ქვემოთ სუფთა ოქროსი აღმოჩნდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ეტაპისათვის ნიმუშები ავარიით მიზნობრუებულ, რაც ჰალიზმაც დაადასტურა (იხ. კბრილი № 3).

ამ ნივთების ანალიზის შედეგებმა საშუალება მოგვცა დაგვეღგრივი სტერი-პეტლევის თავდაპირველი და უმთავრესი ამოცანა – ოქროს ნივთების წარმომავლობის სტანდარტი.

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ მაღალსინჯიანი ოქროს ნიმუშები ფაქტორად იღენტური მჩუნქბლებით ჩაისათდება – ამას ძარითადაც განაპირობებს საქართველოს ოქროს მაღნებისა და ქვიშრობების მაღალი ბუნებრივი სიჩვი: თვითნაბადი ოქროს მაღნის – 750-850, ხოლო ქვიშრობებისა – 750-960. ამასვე ამტკიცებს ოქროს მინარევ ელემენტთა სპექტრი და პროპორციული შეფარდება.

კლევის ეს შედეგები შეისწავლა და გეოლოგიურ მონაცემებს შეუდარა საქართველოს ოქროს მაღნების წამყვანმა სპეციალისტმა, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ვაჟა გალეიშვილმა. ცხრილის ანალიზმა მას საშუალება მისცა განესაზღვრა თრი საბაზო, რომლიდანაც მოიპოვეს ოქროს მაღანი მესამე ჯგუფის ნიმუშთა დასამზადებლად.

პირველი საბაზო ბოლნის-დმანისი. მას უკავშირდება № 11 და № 13 ნივთები; მეორე საბაზო თრიალეთია. მას განეკუთვნება №№ 10, 12, 14, 15 ნიმუშები. საბაზოების განსაზღვრა მოხდა შემდგვი ელემენტების მიხედვით: Al (ალუმინი), P (ფოსფორი), S (გრინდი), As (დარიმნანი), Si (კალი), Ca (კალციუმი), Pt (პლატინა).

აქვე უნდა აღვნიშნოო, რომ საანალიზო წარმოდგენილი ნიმუშების მოპოვების საბაზებინი – ორიალეთი, ირგენჩაი (ქვეშ ქართლი) და უდაბნო აქმაყოფილებს ოქროს მტკალურვის სრული ციკლის საბიუ პირობას: საბაზო – მეტალურგია – ნაკეთობა.

ვ ველებიშვილის დასკვნით, ანალიზის პასუხები საშუალებას იძლევა უმჭველად ვამტკიცოთ ბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე ოქროს მოპოვებისა და ლამუშავების აუზის მონიტორი ჩასათო.


ლიტერატურა

1. ვაჟა ხიმშიაშვილი. ტელი ქართული ტიბერელი იქნანქრის ოქროს მდგრადების მირჩილვის ტექნიკურის აღდგენისათვის. ქურნ. „მუდის მეცნიერი“. № 4. თბ. 1988.

ანალიზისათვის მუზეუმიდან მიღებული ოქროს უზრუნველი ნიმუშები

- | | |
|---------------------------------------|---------------------------------|
| 1. ოქროს ფირფიტის ფრაგმენტები | (თრიალეთი. ყორდანი № 6) |
| 2. ოქროს მიღაკის ფრაგმენტი | (თრიალეთი. ყორდანი № 45) |
| 3. ოქროს ფოლგა | (თრიალეთი. ყორდანი № 36) |
| 4. სუკრეული მშენის გარსაკრავი | (თრიალეთი. ყორდანი № 5) |
| 5. ფოლგის გარსაკრავი | (თრიალეთი. ყორდანი № 16) |
| 6. ოქროს ფოლგა | (თრიალეთი. ყორდანი № 5) |
| 7. ოქროს ცილინდრული მიღაკის ფრაგმენტი | (თრიალეთი. ყორდანი № 8) |
| 8. ოქროს გარსაკრავის ფრაგმენტები | (თრიალეთი. ყორდანი № 17) |
| 9. დიდი ფურცელი (გარსაკრავი) | (მრავალწელი. ყორდანი № 12) |
| 10. შივის ნატეხები | (მრავალწელი. ყორდანი № 12) |
| 11. ოქროს საკიდი | („დედოფლის გორა“) |
| 12. შივის ფრაგმენტი | (უდაბნო. ყორდანი „თეთრი ქვეში“) |
| 13. შივის ურაგმენტი | (ირგენჩაის ყორდანი) |
| 14. ფოლგა | (ირგენჩაის ყორდანი) |
| 15. ფოლგა | (ირგენჩაის ყორდანი) |

პალეგამის ტექნიკით დამზადებულ ოქრომჭვდლობის ნიაუზები
ვერცხლის, საილენისა და ოქროს
პროცენტული შემთხვევლის გრაფიკი



ოქროს ნიაუზების მას-საექტრომეტრული ანალიზის მეთოდი
(ელექტრო პროცენტული შემთხვევლა)

ცხრილი № 1

ელემენტი	ნომერი № 1	№ 2	№ 3	№ 4	№ 5
C (ნახშირბადი)	0.852	0.018	0.006	0.005	0.051
N (აზოტი)	1.109	0.024	0.009	0.007	0.035
O (ჟანგბადი)	1.421	0.029	0.010	0.669	0.077
Na (ნატრიუმი)	0.715	0.011	0.006	0.016	0.055
Mg (მაგნიუმი)	0.012	0.003	0.005	0.022	0.006
Al (ალუმინი)	0.182	0.004	0.005	0.003	0.016
Si (სილიციუმი)	0.659	0.073	0.057	2.342	0.042
P (ფოსფორი)	0.036	0.001	0.008	0.059	0.002
S (ვლინდი)	0.027	0.004	0.004	0.021	0.010
Cl (ქლორი)	0.150	0.049	0.012	0.008	0.022
K (კალიუმი)	0.680	0.039	0.001	0.019	0.024
Ca (კალციუმი)	0.183	0.003	0.042	0.435	0.010
Ti (ტიტანი)	0.001	0.012	0.001	0.009	0.005
Cr (ქრომი)	—	—	—	—	0.008
Mn (მანგანუმი)	—	—	—	—	—
Fe (რენა)	3.207	0.068	0.045	0.067	0.051
Co (კობალტი)	0.009	0.010	0.001	0.001	—
Ni (ნიკელი)	0.149	0.075	0.026	0.027	—
Cu (სპილენი)	19.847	29.292	23.130	28.821	15.787
Zn (თუთია)	—	—	—	—	—
As (დარიშხანი)	—	—	—	—	—
Br (ბრომი)	—	—	—	—	—
Ag (ვერცხლი)	37.592	63.268	66.043	54.583	40.234
Sn (კალა)	0.280	0.026	0.042	0.042	0.093
I (იოდი)	—	—	—	—	—
Pt (პლატინა)	0.363	0.259	0.225	0.048	1.077
Au (ოქრო)	29.456	6.728	10.310	12.799	42.252
Pb (ტიკვა)	0.069	0.007	0.011	—	0.143

ცხრილი № 2

ელემენტი	ნიმუში	№ 6	№ 7	№ 8	№ 9	№ 10
C (ნახმირბადი)	—	0.007	0.013	0.109	0.062	
N (აზოტი)	—	0.009	0.017	1.359	0.073	
O (ჟანგბადი)	—	0.013	0.016	1.588	0.009	
Na (ნატრიუმი)	—	0.006	0.007	0.558	0.004	
Mg (მაგნიუმი)	—	0.004	0.005	0.093	0.007	
Al (ალუმინი)	—	0.008	0.018	0.043	0.097	
Si (სილიკონი)	—	0.005	0.061	0.053	0.013	
P (ფოსფორი)	—	0.001	0.004	0.023	0.002	
S (გოგირდი)	—	0.005	0.007	0.034	0.007	
Cl (ქლორი)	—	—	0.001	0.036	0.005	
K (კალიუმი)	—	0.001	0.015	0.044	0.009	
Ca (კალციუმი)	—	0.001	0.024	0.047	0.031	
Ti (ტიტანი)	—	—	0.005	0.178	0.001	
Gr (გროვი)	—	—	—	—	—	
Fe (რკინა)	—	0.019	0.881	0.263	0.064	
Co (კობალტი)	—	—	—	—	—	
Ni (ნიკელი)	—	0.002	0.012	0.006	0.003	
Cu (სპილენდი)	7.753	18.735	22.344	30.771	4.386	
Zn (თუმა)	—	—	—	—	0.008	
As (დარიშხანი)	—	0.008	—	—	—	
Br (ბრომი)	—	0.002	—	0.043	0.003	
Ag (ვერცხლი)	45.061	46.747	42.984	42.261	12.777	
Sn (კალა)	—	0.026	0.063	0.323	0.042	
I (იოდი)	—	—	—	0.056	—	
Pt (პლატინა)	—	0.037	0.046	0.264	0.066	
Au (ოქრო)	47.186	34.362	33.479	33.105	82.244	
Pb (ტიკვა)	—	0.002	—	0.180	—	

ცხრილი № 3

ელემენტი	ნიმუში	№ 11	№ 12	№ 13	№ 14	№ 15	№ 16
N (აზოტი)	0.003	—	0.002	0.002	—	—	
F (ფოთორი)	—	—	—	—	—	—	
Na (ნატრიუმი)	0.014	0.003	0.050	0.003	0.005	0.207	
Mg (მაგნიუმი)	0.005	—	0.001	0.002	0.003	0.029	
Al (ალუმინი)	—	—	0.009	0.043	0.009	0.531	
Si (სილიკონი)	0.033	0.001	0.011	0.065	0.084	0.848	
P (ფოსფორი)	—	—	0.001	0.002	0.002	—	
S (გოგირდი)	0.706	—	0.001	0.005	0.003	—	
Cl (ქლორი)	0.034	—	1.290	—	0.002	0.095	
K (კალიუმი)	0.024	0.001	0.001	0.005	0.012	0.183	
Ca (კალციუმი)	0.132	—	—	0.003	0.012	0.097	
Mn (მანგანუმი)	0.005	—	—	—	0.001	—	
Fe (რკინა)	0.038	0.007	0.008	0.052	0.077	0.406	
Co (კობალტი)	0.002	—	—	0.002	—	—	
Ni (ნიკელი)	0.011	—	—	0.003	—	—	
Cu (სპილენდი)	1.756	0.973	0.940	4.413	1.396	2.027	
Zn (თუმა)	0.011	0.001	0.031	0.004	0.004	—	
As (დარიშხანი)	0.003	0.001	—	—	—	—	
Br (ბრომი)	0.067	—	—	—	—	—	
Ag (ვერცხლი)	23.256	17.747	9.950	12.532	11.857	11.524	
Sn (კალა)	0.080	0.174	—	—	—	—	
Sb (სტიბიუმი)	0.006	—	—	—	—	—	
I (იოდი)	0.007	—	—	—	—	—	
Ce (ცერიუმი)	0.013	0.299	—	—	—	—	
Pt (პლატინა)	—	—	—	0.008	0.052	—	
Au (ოქრო)	73.765	80.790	87.690	82.780	85.985	84.050	

ABSTRACTS

History of Georgia



ისტორია
საქართველოს

p. 9

The Rkoni Inscriptions

The Rkoni monastic complex lies in Eastern Georgia, Kaspi region, not far from the village of Chachubety. Until recently scientific papers have referred to only one inscription of the Rkoni monastery (made in 1400) which describes the military campaign of Tamerlane and the devastation of Rkoni and its vicinity. The lapidary inscriptions apart from the cited one were discovered in 1989 while surveying the Rkoni monastery decoration. Taking into consideration two stones bearing inscription from the Janashia State Museum, the negative of a similar stone preserved in the photo files of the Institute of the Georgian Art History, and analysing the paleographic characteristics, three groups of the inscriptions from Rkoni could be distinguished: 1) the 10th c. inscriptions; 2) the inscriptions made roughly in 1400; 3) The 16th-18th centuries inscriptions.

The inscriptions in question are of paleographical significance, as well as an important source for specifying the chronological stages of construction of the monastery and the raids of Tamerlane.

Giorgi Otkhmezuri

Constantine – Cyril

(To the history of Kartli kingdom in the beginning of the 16th c.)

•

p. 20

The end of the 15th c. was marked with desintegration of the Georgian Kingdom. The king Constantine II ascended the throne of Kartli in 1448. Despite his rigorous efforts directed towards the reunification of Georgian Kingdom, the international factors and interior obstacles had produced opposite effect. On the contrary, Constantine had to leave political life and to take monastic vows under the name of Cyril.

It has been accepted in Georgian historiography that Constantine II's reign had been lasting until 1505 and that the throne passed to his successor – David X. Nevertheless, the critical study of the literary sources led the author to the conclusion, that the reason why the king had left the throne is to be sought in the apparent upheaval at the royal court or other rather crucial circumstances which forced him to join a monastery brotherhood.

The literary sources point out three different dates of Constantine's death and the beginning of David's reign. They are as follows: 1503, 1504 and 1505. The latter date has been conventionally accepted. The author inclines towards the year 1503 or 1504. The political supporters of David X compelled the king to hand over the royal regalia to prince David. Constantine II regarded David to be improper for the reign because of his shortcomings. The elderly king intended to leave the throne in favour of the younger son – Giorgi. A scheme of Constantine's political opponents, eager to see their own nominee – prince David as a king of Kartli, made Constantine to take monastic vows. As the author suggests, 1503-1504 are the years of turbulence and struggle for the power. Prince Giorgi's pretensions were supported by Constantine himself while David's position on the throne was not stable yet. Cyril (former Constantine) died in 1505. David won the conflict. Thus the date of David's succession is to be specified by 1503-1504.

Gocha Saitidze

The 1561 Unknown Italian Map and the Localization of Abkhazian Historical Homeland (preliminary observation)



p. 28

The author has recently discovered a map compiled in 1561 by the Italian cartographer Jacopo Gastaldi in the Italian city of Piemont. The following is the full name of the map: "Description of the first part of Asia with ancient and modern names by the Piemontese cosmographer Jacopo Gastaldi" ("La descrittione della prima parte dell'Asia con i nomi antichi et moderni di Jacopo Gastaldi, Piemontese cosmographo"). The map features the territory from the southern part of Russia and the Ukraine to the Red and Arabian seas. The Greater Caucasus and the Surami (Likhi) ranges are indicated without naming them. The names of cities are given – sometimes correctly and sometimes wrongly: Tbilisi, Kutaisi, Gori, Poti, Belakani, Gonio, Rize, Trabzun, Sebastopolis (Sukhumi), Pitsunda (Bichvinta), etc. Regions are distinguished (**regi.**, abbreviation of the Italian **regione**): Kartli region (**Giorgiani regi.**), Imereti region (**Iberi regi.**), Megrelia region (**Mengrelia regi.**), Chan || Laz region (**Regi. de Genic**), etc. The following fact attracts special attention: almost the whole western Black Sea area is designated as the region of Megrelia and the territory of modern Abkhazia is not named. Instead, **Abcvas regi.**, which obviously is an incorrect form of **Abkhaz || Abchaz** "Abkhasian", is indicated in the middle reaches of a large nameless river (modern Kuban) to the north of the Caucasus Range, nearby, on the left tributary of the river we find the town of **Acua**, which is the same as the modern Abkhazian name of Sukhumi **Aq'wa** (on the same map, at the site of modern Sukhumi we find **Sanatopoli** – the same as Sevastopolis, Sebastopolis). The indication of the Abkhazian region and the town of **Acua** in the Northern Caucasus in the Kuban basin on a 16th century map supports the assumption according to which the majority of the ancestors of present-day Abkhazians lived on the northern slopes of the Caucasus before the 17th-18th centuries, and a small part of them settled in the northern and western parts (mainly in the mountains) of modern Abkhazia from the 1st-2nd centuries A. D. This is confirmed by the 1561 map, with the city **Anogasia** indicated to the north and west from Bichvinta (**Pezonda**), being the same as the city of **Abkhaz(ia)** (**Uogasia, Auochaxia, Auogassia, Augazio**) found on the Italian maps of 1311, 1318, 1320 and 1327, and the city **Abkhas** according to the evidence of Abu l'Feda, Al-Qalqashandi and Abu-Bekr. Some researchers identify this city with the village of Gantiadi others with Anakopia, Nicopsia, but the former conjecture seems to be more acceptable. It is noteworthy that the villages of Aitarne, Arukha and Rabitsa, lying near Bichvinta are mentioned for the first time in the same century; the names of these villages of Abkhazian origin (Mamia Dadiani donated these villages to the church of the Virgin of Bichvinta). No geographical name of Abkhazian etymology is attested earlier on modern Abkhazian territory.

The map was discovered with the assistance of Doctor Karina Vamling of Lund University and Revaz Chanturia, collaborator of the Department of linguistics of the same University.

Teimuraz Gvantseladze

World History

The Parthians and Persians in the 4th c. Roman Literary Sources

p. 32

An attempt is made to determine why the Sassanian Persia was often mentioned as Parthia in the 4th c. Roman literary sources, whereas the cited kingdom had been abolished over a century before. The author deals with the problem of such deviation from a political reality on the grounds of two 4th c. literary sources.

The study of the works of Julian the Apostate leads the author to the conclusion that the emperor deliberately called his contemporary Sassanian Persians as Parthians,

thus trying to demonstrate to the society the illegitimacy of the Sassanian royal house and its claims over those territories of the Roman Empire which the Sassanids had considered as the true and legal descendants and successors of the old Persian (Achaemenid) dynasty.

The work of the second author – Ammianus Marcellinus (330-400) has not been fully preserved. In the remaining parts, while describing the geographic, political and military structures of Persia, he uses the proper terms, but the narration of the war with Persians includes the name "Parthian".

The author suggests that the reason of such improper application of the terms is the desire of the ancient authors to enrich and make more expressive the East-West confrontation and stress its global and long-term nature. While using "Parthia" instead of "Persia", Ammianus continues the tradition of a "description of the Parthian Wars".

სამწუხაროდ, მე არ მოვსწრებივარ ნიკოს საუნივერსიტეტო ლექციებს, მაგრამ მე მინახავს როგორ მუშაობდა, როგორ წერდა. შორიდან ვუცქერდი. ყველა ნაკვთი უკრთოდა, ვერ ისვენებდა, დაძაბულება აფი, შინაგანი წვა ჩანდა. ეს სხვადასტურების, მის ნაწერებშიც აისახა: „ზროვნება, დაძაბულობა, მუსიკალურობა – ეს ყოველივე მისეული სტილის მახასიათუბლებია.

* * *

ახალგაზრდობაში ნიკო და მისი ძმები (ნესტორი, კოტე) ფედერალისტები იყვნენ. 1921 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დასს, მამაჩემი კოჯორში იბრძოდა ბოლშევკიების წინააღმდეგ (ნიკო, როგორც ხეიბარი, არ წასულა ბრძოლაში. იგი თბილისში ყოფილა და შალვა ნუცემდესთან ერთად დასწრებია იუნკრების დაკრისალვას „სამხედრო ტაძრის“ ეზოში). თბილისში ბოლშევკების შემთხვევის

შემდეგ მამაჩემი დააპატიმრეს და მეტების ციხეში მოათავსეს. დედაჩემი – ომარ კალაშნიკოვა მედდად ყოფილა ბრძოლაში. ისიც დაიჭირეს. ასე გაიცნეს ერთმანეთი ჩემმა შმობლებმა მეტების ციხეში. სხვათა შორის, ერთხელ, ეს ამბავი რომ მოვყევი, შევობარმა მითხრა – ჩემმა შმობლებმაც მეტების ციხეში გაიცნეს ერთმანეთი.

* * *

კომუნისტურ პარტიაში ნიკო გვიან (1944 წელს) შევიდა, სიმონ ჯანაშიას რჩევით. ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად ყოფნისას მეტად ძვირფას დროს ართმევდა პარტიული დავალებები – ადგენდა გაუთავებელ ანგარიშებს. იყო შემთხვევები, როცა „ცეკა“-დან კრიტიკულ წერილებს წერდნენ ისტორიის ინსტიტუტზე. ამას ძალა კოლა ძალიან განიცდიდა. პარტიულ მუშაკებთან არასოდეს ჰქონდა ახლო ურთიერთობა, თუმცა ისინი პატივს სცემდნენ მის პიროვნებას, მის **აცტორიტეტს** (გოროზი კაცი გასლედათ ძალა კოლა).

ერთი რამ კი აშკარა იყო: ნიკოს დიდი სიმპათიები ჰქონდა სტალინის მიმართ. შეიძლება ეს ისტორიკოსის დამოკიდებულება იყო დიდი ისტორიული ფიგურისადმი. პირადი ნაცნობობაც აკავშირებდა მასთან. ომის შემდგომ, აღარ ძახსოვს, რომელი წელი იყო, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია და სტალინის ახლობელი კარდიოლოგი მიხეილ წინამდევრაშვილი სტალინს ეწევნენ რიწაზე. ნიკოს არქივში არის ერთი ასეთი რვეული (დღიური) – „6 დღე ამხანავ სტალინთან“, რომელიც ამ სტუმრობაზე მოგვითხრობს. სტალინთან უსაუბრიათ საქართველოს ისტორიაზე. იმხანად ნიკოს თანაავტორობით (ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი. ს. ჯანაშია) გამოისული იყო საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო. სტალინს წაუკითხავს და მოსწონებია. საუბარი ჩამოვარდნილა პიროვნების როლის შესახებ ისტორიულ პროცესებში. ცნობილია, რომ სტალინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პიროვნების ფაქტორს (აღმართ საკუთარი შაგალითიდან გამომდინარე). განსაკუთრებული სიმპათიები ჰქონდა ვიორგი სააკაძის მიმართ. სტუმრებისთვისაც უკითხავს – საკადექ უფრო დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში თუ ერვანდე მეზემო. ისტორიკოსებმა იცოდნენ რისი გაგონება კამებოლა

ბელადს, მაგრამ ერეკლე II-ს მიანიჭეს უპირატესობა. სტალინს შევტყო, რომ პასუხი არ მოეწონა, მაგრამ არ შეკამათებია.

სტუმრობისას სტალინს გულითადი მასპინძლობა გამოუჩენია. თავისი ხელით უსხამდა ლვინოს თანამეინახებს, ულებდა კერძებს. ნიკო იგონებდა, რომ თათახში კელლებზე პაპიროსები იყო მოთავსებული. სტალინი იქიდან აღებული თამაჯოთი ტენიდა ჩიბუხს. საერთოდ, როგორც აღვნიშნე, ნიკოს დიდი სიმპათიური-ჰქონდა სტალინის მიმართ, განსაკუთრებით განუძტებიც ამ ვიზიტის შემდეგ. ნიკო სტალინის მიმართ, რომ სტალინი კარგად ყოფილა გათვითცნობიერებული აღტაცებული იყო იძით, რომ სტალინი კარგად ყოფილა გათვითცნობიერებული საქართველოს ისტორიაში... მაღევე ამ სტუმრობის შემდეგ (1947 წელს) საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო სტალინური პრემიით დაჯილდოვეს (პრემია 100.000 მანეთის შეადგენდა). მე კი ძია კოლას ლაურეატის მოწმობით წლების განმავლობაში ვიღებდი ფეხბურთის ბილეთებს...

1956 წლის 9 მარტის ტრაგედია ძლიერ განიცადა. 10-ში ვესტუმრე. ხმა არ ამოუღია ჩემი იქ ყოფნის მანძილზე. იდგა ფანჯარასთან (მაშინ „11-სართულიან სახლში“ ცხოვრობდა), გაცყურებდა უნივერსიტეტის შენობას და უხმოდ სდიოდა ბოლმის ცრემლები... ურთი კი ოქა: „რას ურჩოდნენ ას ბავშვებს, რასაც ასწავლიდნენ, ამათაც ის გააკეთესო“...

* * *

ბევრ ქართველ მწერალთან პქონდა ურთიერთობა. ისინი, კინც საისტორიო ფანრში მუშაობდნენ, ხმირად დაღიოდნენ მასთან კონსულტაციების მისაღებად. ნიკოც აძლევდა რჩევებს. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ აღფრითოვანებული იყო ქართული ისტორიული ფანრის მწერლობით. უცხოულთაგან განსაკუთრებით გამოყოფდა სტენდალს. თვლიდა, რომ მისი რომანები კლასიკური ნიმუშია საისტორიო პროზისა. ქართულ მწერლობაში აფასებდა ნიკო ლორთქიფანიძის ისტორიულ პროზას, გამორჩეულად „მრისხანე ბატონს“. საერთოდ, ნაკლებად პქონდა დრო, რათა თვალი ედევნებინა ლიტერატურული ცხოვრებისათვის. ურთხელ, მასხოვს, სენტ-ეკზიტერის „პატარა უფლისწული“ მივუტანე. მაშინვე სულმოუთქმელად ჩაიკითხა. რომ დაამთავრა, დაკვირვებით შემომხედა და მიოხრა: „არა, ბიძია, ეს ყველას წასაკითხად არაა დაწერილი.“ ბოლო წლებში სიამოვნებით კითხულობდა ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებს. ხიბლავდა გურული იუმორი.

ხმირად იგონებდა სოფელს, ყვებოდა წისქვილში გაგონილ ანეკდოტებს. მიხსნიდა, რომ წისქვილი ქეელად იყო ერთ-ერთი საყვარელი თავშესაყარი ადგილი სოფელელთათვის, ერთგვარი კლუბი. საფქვავის ლოდინსა და ამბების მოყოლაში მხიარულად გადიოდა ღამეებით...

მასხოვს, ანა კალანდაძე რომ გამოჩნდა პირველად (ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი მაშინ), მისი ლექსების რვეული მოიტანა. აღფრითოვანებული იყო, ყველას აკითხებდა.



ნიკო ბერძენიშვილის თბილისი. 1930.



უფრო ჯავახისუფალი იავის შოწაულებთან ერთად
(ხამის ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი,
ახახოსია იუანიურია, თამარ კალაშივარი), 1923

მოთხოვთ უწერია 1913 წლამდე, ლექსები – 1917 წლამდე. ისინი შეუცარებული აცის ნაწერია, ხმისად სევდიანი: „სევდა მეფობს ნანგრევებზე, მწარე სევდა მოგონების...“ კარგია, რომ ლექსებზე ხელი აიღო და პოუტური სტილი შეცნიარებულ ტექსტში შეინარჩუნა...

* * *

ძალიან უყვარდა სიმღერა. სიოცარი სმენა პქონდა (როგორც აღწიმე, მის ნაწერებშიც ჩანს ეს მუსიკალურობა). სიოცარ კრიმანჭულის შემოსძახებდა ხოლმე ძმებთან ერთად. ოვითონ მეორე ხმას ამბობდა. საქართველოს ყველა ქუთხის სიმღერას ძლევოდა. მახსოვს, ერთხელ, როცა ქართულ მრავალხმიანობასა და აღმოსავლურ ხალხურ საკრავებზე სტებრიდდა, აღნიშნა: ქართველი ხალხი იძღვნად გიტაცა მრავალხმიანობას, რომ სიხვებისგან განსხვავებით მუსიკალური საკრავები ნაკლებად განვითარდათ ჩვენში. სუფრაზე ძალიან მომღერები იყო, მხარული. ერთხელ მოახსენეს – ახალგაზრდები ექსპედიციებში ბევრი სვამენო. დაგვიძორა... ოქვენზე ხმა მოვიდა, რომ ბევრი სვამთო. აბა ერთი ვნახოთ და ახალ წელს დაგვიძორი თავისთან. ცოტა რომ შეგქეიფიანდით, ბიჭოს, თურმე მართლა კარგად სვამთო, გვითხრა. სამავიეროდ, გურულ სიმღერებში ვერცერთი კურ ავყვართ.

ერთხელ ჩემშეც უოხრეს, ხმისად ოვრებაო. რა მოხდა მერე, მაგისხელია რომ ვიფავი, უნივერსოდ ვიყავი შეუცარებული და დღეში თრჯერ ვთვრებოდო. დილას დავთვრებოდი და დავიძინებდი, რომ გამეღვიძებოდა, ისევ დავთვრებოდი და ისევ დავიძინებდით. ასე რომ, აცური სისუსტეები მასაც არ აკლდა...

უცნაური ჩვევა პქონდა: ძალის წინ ლოგიონში კრიმანჭულის ღიღინებდა. გაკვირვება რომ ვამოგხატე, ასე მიასეუხა: „სიმღერაში თვალები თავისით მეღველება, ძილიც მაღვე მოდის. კი მარა, შენ ჯერ თვალები ხუჭავ და მერე იძინებო?...“

* * *

ყოველთვის აღუროვანებული და აღტაცებული იყო ჯავახიშვილით. ნიკოსოვის დაუკაწყარი იყო ბატონი ივანეს სემინარები. სხვათა შორის, სურათის არის შემორჩენილი – ივანე ჯავახიშვილი თავის



ნიკო ბერძენიშვილი მის,
სამუშაო მაკავასთან, კადარე
ბულა 1947 წლის შემდეგ.



კუთხეთა სკოლის ფაბული. 1963.

მარტინიძი: დეკო პერძებასული, სიმო შეკლდარშვილი (ნაკის შეკლდარ), ნიკო ბერძნებულიძე, მიამსჯელები კორი ბერძნებასი და სხვები.


მოწაფეებთან ერთად: ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია, თამარ კალაშნიკოვა (დედაჩემი) და ანასტასია ივანიცკაა (ისტორიკოს გულჩინა აკოფაშვილის დედა).

ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ წლების მანძილზე გამოიცემოდა მისი წიგნები. ერთხელ სახლში მოიტანა თავისი რედაქტორობით გამოსული ბ-ნი ივანეს ახალი წიგნი, გულმოღვინედ კითხულობდა. კეთხე, კი მაგრამ, რაძლენჯერ უნდა წაიკითხო-მეთქი. „სტილი, სტილი ძაინტერესებსო“ — მიპასუხა (მოგეხსენებათ, სულ სხვადასხვა სტილით წერდნენ ჯავახიშვილი და ბერძენიშვილი, ჯავახიშვილის სტილი მკაცრად აკადემიური იყო).

ისტორიკოსებიდან განსაკუთრებით მეცნიერობდა ლევან მუსხელიშვილთან, სიმონ ჯანაშიასთან, სიმონის გარდაცვალების შემდეგ — გარღამდონებულთან. მიუხედავად ამისა, მაინც იგრძნობოდა მისი მარტოსულობა. ერთხელ მწოლიარე აკადმიკოფი ცოლის ურჩევდა დროზე წასულიყო ექსპედიციაში. ჩემი შეკითხვაზე — „არ გაშინებს მარტო დარჩენა-მეთქი?“ — მიპასუხა: „მთელი ჩემი ცხოვრება მარტო არ ვარ ბიძია?!...“

* * *

ალბათ განხორცი ნიკო ბერძენიშვილის შემოტანილი ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი „ვორა“. მოგეხსენებათ, ამ ვორების ქვეშ ჩამოად



ნიკო ბერძენიშვილი — ისტორიის ისტორიკოსი დარუსეთის გარდაცვალების დღის მიზანით. 1965 წლის II ივნისს.

მთელი საუკუნეების ნახახლარებია. სწორედ ეს ისტორიული ნახახლარები ქმნიან ბორცვებს, რომელთა აღმოჩენა დაზერვების დროს ზედაპირულად მოპოვებული ანაკრეფი კერამიკით ხდება. ერთხელ, მოსკოვში, კონფერენციაზე, რომელიღაც ისტორიკოსის უთქვაში: ამ ბორცვებზე კერამიკის ნამტვრევებს რომ პირველობთ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისტორიული გორაა, რა იცით, იქნება პირნერებშია ძოიტანებს და დაყარეს ეს ნამსხვრევებით... ეცინებოდა ამის გამო, მაგრამ ეს არ ახდება.

ახლა აღმართ კლასთა ბრძოლის მნიშვნელობის ნიკანოვის შემსრულებლის შეფასება, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულად გვეჩვენება, მაგრამ მოვეხსენებათ ეს იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული ტენდენცია გახლდათ.

* * *

ძალიან უყვარდა სიძველეების შეძენა. მახსოვს, ნიკოს სახლში იყო ვახო სარაჯიშვილის ნაქონი საპარასული ვერცხლის სურები და ფილები. სურებს ეწერა: „ვახო სარაჯიშვილისა ვარ.“ ერთი ძველი ხანჯალი მეც მაჩუქა. მითხრა, თუ ხუთებზე დამთავრებ სკოლას, ხანჯალს გაჩუქებო. მე თავს არ ვზოგავდი. ბიძაჩემმაც პირობა შეასრულა.

* * *

მისი პობი ფეხბურთი გახლდათ. ხშირად დადიოდა სტადიონზე. ნიკოს ძმის შვილი — არჩილ ნესტორის ძე ბერძენიშვილი ფეხბურთელი იყო (ამჟამად 80 წელს არის მიღწეული). ერთხანს მოსკოვში თამაშობდა, შემდეგ დაბრუნდა თბილისიში და ადგილობრივ „სპარტაკში“ დაიწყო თამაში. იყო ერთი ცნობილი მეკარე — ხომიჩი. მას ერთ-ერთ თამაშში გადამწყვეტი გოლი სწორედ არჩილმა გაუტანა, რისთვისაც ნიკომ მანქანა უყიდა. ბორის პაიჭაძემ რომ დაანება თამაში თავი, მას კოლაბაც მიატოვა სტადიონზე სიარული.

ერთხელ, მახსოვს, სტადიონიდან რომ ვბრუნდებოდით, „ჩელუსკინელების“ (ახლანდელი თამარ მეუის) ხიდთან, ცირკის მთა რომ არის გაჭრილი, აი, იძ ჭერაზე, ქვით ნაშენ კედლებზე მიმითითა — სულ საფლავის ქვებით არისთ ნაშენი (ვერის ბაღში მდებარე სასაფლაოდან ყოფილა მოტანილი). ზოგ ფილას ახლაც ემჩნევა წარწერები. რამდენჯერაც ჩავივლი, სულ მახსენდება მისი სიტყვები და ამ ქვებს ვაკვირდები...

* * *

უცხო არ იყო მისთვის ოუმორიც, მაგრამ ხასიათის, განწყობის კაცი გახლდათ. სუბიექტური იყო, მაგრამ ეს არ მოვხვდებოდათ თვალში, რადგან თავად წარმოადგენდა დიდია და კარიგ სუბიექტს, ამიტომ შენც ბევრს აპატიებდი. ეს კი არის — ძალიან სამართლიანი გახლდათ. ეძნელებოდა თანაგრძნობის გამოხატვა. გაჭირვებაში გაზრდილს უჭირდა ფულის ხარჯვა, თუმცა, ეგონათ, რომ ერთ-ერთი მდიდარი კაცი იყო თბილისში.

* * *

გარდაიცვალა 1965 წელს, 70 წლის ასაკში. ივნისში გადაუხადეს იუბილე, იცლისში კი გარდაიცვალა. პქონდა თირკმლის კიბო (მიზეზი იყო კოჭლობა წლების განმავლობაში). მასხოვეს, საავადმყოფოში წოლისას იხახულა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ისიდორე ლოლიძემ. საუბრის თემა სვანეთი იყო, რომ საჭიროა მოეწყოს ექსპერიცია, რომლის მიზანი უნდა იყოს ხატებისა და სხვა რელიქვიების შეგროვება, მათი მეზურებში გადატანა. ამ საუბრის შემდეგ ბევრი აღარ უცოცხლია...


მასალა მოამზადეს

მუზეუმი ანზაფარიძევი,
ბუბა პუდავამ და ბოჩდო კუპატაძევი.

6030 ბერძნებისა და მეგრული შარქები



ჩეებ აქ ვართ მეოდი კურნა, ყოველდღე თბისებდ გაორუე ამ დოჭე, თუ ეს 98 ჯერ მიძაფებ ეხდა... საინტერესო რიცხვება... სამშე რომ ვაკამტაველოთ და 15 მიუკმარით მიკოლები მეურ ღოთ-ს ვამეცვების ქორონიაკის და აუ ამ რიცხვები თუნი გამოვაკელები და ვქვემდე ვაკეთულ, მიკოლებით მეურ ღავითის გახვებ ასევეს დროის წლივანებმას, რადგანაც მაგიანე მოჯიოთხომს, რომ მეურ „მას დამსა იყო მანაკით ა-კ.“



რამდენხელ მინაგრია, ნეგა ხმალის სისამართვა
მემკედლოს ისე, როცემული თითქმის ეტაპართობა!

(მარტივის 005470 გზაჯრი გავიცვილის. 1922)

(ბოლგარიუმის შემოხვევას შემდევ თბილიში დიღი გაჭირვება ყოფილა. ამიზომ ხალხს ნაკუთხები დაუწივეს ლასამუშავებლად. ნავთი ჩოფედ კოშურში შისცებ ნაკვეთ. სარკების ციკლი ხწორედ ამ თემაზეა შექმნილი)



„წინასაარჩეული ქრება აკადემიაში,
კუნი-პროფესიულური გამო მეცნიერებელი
ხართ ბერძოლაშიაღვილი“

მარჯო ყანების ბერძისი. 3 დეკემბერი, 1947.



დასწეულოს ღმერთია... ყოველთვის
მავიწეულია, რომელ ჯიბეში ჩავიდეკი
მენდ მცენა.



ჩვენიდან თუ ალის მა სიმიხლი და
მოგვეც ღუსტი მე კარის დოკოანია.



„ეუროპის ჩამოყადა.
დევის ფარნეახავან. 1959 წელი, ურბნისი.“

ԱՇԽԲՈՅԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

❖ სამზედლო ისტორია ❖



ჩვენი კურსითის მკითხველების II-III ნომერში შემთხვევაში „კიბის წიგნის“
მიხედვით მოძრადებული მასება - „ისტორია „რევორდების“ ცალის მიზანს
წარმოდგენილი იქნა სამეფო სახელის წულის მიზანით და ასე დასახული არ დარღვები“ (კავკასი
ხახვიდების მფლობელი, იმპერატორის სახლის მეურნეობა, კავკასიის დღესწესი შოთარქი,
კავკასიის მრავალი სახლის მომარწმუნებელი მმართველი გიხესწია და ა. შ.).

საოცრად ეხმუშება უკრს სიტყვა „რეალისტი“, ან „არატისტი“, ან „ნუკს“, როგორც დაბარბარია მდებარ ჯა ბრძოლებით ნერგებას და რბილება, ადამიანთა სისვერპლი... სოციალ უხერხელია, როცა მასიცემს აქცენტს ხისხლისტებრები ბრძოლასას“ და „აქცენტს დასხვერებელი კიბის“ მესახი „სახალისო ასტრონომი“ რეპრინტიაში მოაწებ... მაგრამ კველაზე უყრო „უხერხელი“ დაიდო ის არის, რომ კაცობრიობის ათასწლეულების მანძილზე ამას მარტინ ლინკენიულის სამუაღვება კერ მოიგონა. კველაზე სამარტინებო აღნიშ ის რის, რომ ქრისტეს ჩიხარე 3.500 წლიდან დღემდე კაცობრიობის მიზნები მხრივ 292 წელი გაატარა უმრავ...

"გინების წიგნიდან" ძალისუფლების მისამართ გეპოდი მხატვრულოვანი ომებისა
და ბრძოლების ხუსტის მხრეთით ისტორიას, რომელიც გადამდებულია ტელანტია
გამოისვალი ცხობარობის - "დღეთ ია თება". ასაკებას, რომ "გინების წიგნი"
ხმირად „მოცემული წესარიგის“ ხილარი, არის ცხობარი „მდგრად და თება“
სტარიობის მოხატვები ბაღტრასბარის ქვეყნების ძეგლები. ასე რომ, წარმოდგენილი
მახვილი მიკომლე იმიტობრი უნი იყოს.

ამა დავუქო, თუმ „რესტური“ რედაქციას ძირი დაგდებათვის უანზრაბული აქა
ახალო კური აასიანს შეხალის მომზღვება საქართველოს იურიდიკაზ. აუქა,
იმსაც ღვაწებია, რომ ეს ხედით პრომიტივი და ჩინონდღივა სამუშაო.
ამჯერად ის მსახურო იმათ დაუმუშავებელია, რომ სახელმწიფო ბრძოლათა ნუსხას
დაუმატო მისამართის ახორციელობა მნიშვნელოვანი რამდენიმე ბრძოლა.

የኢትዮጵያ ክፍለመድረሻ ፲፻፱

- ქველაზე ხანგრძლივ ომად ისტორიაში თუ კლეიბა ე.წ. „ახწლიანი ომი“ იხვდის ხა და ხაფრანგეთს შორის, რომელიც მიმღებარეთბდა 1337-1453 წლებში (115 წლის მანძილზე).
 - ცხრა ჯვაროსნული ლაშქრია პირ-კლიდან (1096-1104 წწ.) მეცხრეს (1270-1291 წწ.) ჩაუკლით, ურთად აღემული, მოიკავა 195 წელიწადს.
 - ქველაზე ხანგრძლივი ომი, რომელიც ოდესაშე უწარმოებია რუსეთი, იყო კავკასიის ომი (1817-1864 წწ.) ჩეჩენის, მთიანი და ლესტნისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დასაკციონად (კრისტენებით 47 წელიწადს).

- ♦ შვეიცარიის ფან-უაკ ბაბულმა გა-
ოვალა, რომ დაწერბული ქრისტეს წინარე
600 წლიდან კაცობრიობამ მხოლოდ 292
ლი გაატარა უომრად.

ԱՅԵԼՎԱՆԻ ԽՈԽԵԼՈՒԹՅԱՆ ՀԱՇՎԱՆ

- მეორე მსოფლიო ომი (1939-1945 წწ.) ითვლება კაცობრითის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელ იშად. საერთო მსხვერპლში, როგორც სამხედრო მოსამასხურეებს, ისე მოსახლეობას შორის, შეადგინა 54,8 მილიონი ადამიანი. მათ შორის 25 მილიონი ადა

საბჭოთა კავშირის მოქადაკე, 7,8 მილიონი კი ჩინელი. ყველაზე მეტად დაზარალდა პოლონეთი, რომლის 35,1-მილიონიანი მოსახლეობიდან დაიღუპა 6 მილიონზე მეტი ადამიანი, ე. ი. მოვლი მოსახლეობის 17,2 %. II მსოფლიო ომში დაღუპულ სამხედროთა რიცხვია შეადგინა 15,6 მილიონი ადამიანი. I მსოფლიო ომში ეს რიცხვი 6,7 მილიონი იყო.

- 1864-1870 წლების პარაგვაის ომში ბრაზილიის, არგენტინისა და ურუგვაის წინააღმდეგ ამ ქვეყნის მოსახლეობა 1,4 მილიონიდან შემცირდა 220 ათასამდე, რომელთაგან მხოლოდ 30 ათასი იყო ზრდასრული ძაბუკე.

გვალაზე სისხლისაღვალი სამომაღამო რაი

ისტორიაში ყველაზე სისხლისაღვალი სამოქალაქო ომი იყო ტაიპინულია აჯანყება ჩინეთში, რომლის დროსაც მინტის სამხრეთი დინასტიის მომხრე კუნძული უბრძოლებუნ მანჯურიელთა სამთავრობო ჯარუბის წინააღმდევ (1851-1864 წწ.). აჯანყებას სათავეში ედგა შეშლილი ხუნ სიუციუანი, რომელიც თავს იქნის ქრისტეს უმციროს ძმად აცხადებდა (იგი შემდევ სიკვდილით დასაჯეს). ყველაზე ზუსტი გამოთვლებით დაიღუპა 20 მილიონამდე ადამიანი. მარტო 1864 წლის 19-21 ივნისს ნანკინის შტურმისას სამთავრობო ჯარებმა 100 ათასი აჯანყებული დახოცეს.

ომები

რაი	თარიღი	ზავი	თარიღი
ქრისტეს წინარე			
ბერძენ-სპარსელთა პელოპონესის ომი	500-449	კალიასის	449
ბერძენ-მაკედონელთა მაკედონელ-სპარსელთა I პუნიკური ომი	431-404	ნიკეას	421 ¹
II პუნიკური ომი	340-338		
რომაელ-მაკედონელთა III პუნიკური ომი	334-331		
	264-241		
	218-201		
	215-168		
	149-146		
ქრისტეს შემდევ			
ასწლიანი ომი	1337-1453	პარიზის	1453
„დიდი ომი“ ტევტონთა როდენის წინააღმდევ	1409-11	ტორუნის	1411
ცაშეტილიანი ომი	1434-66	ტორუნის	1466
იტალიური ომები	1494-1559	კატო-კამბრეზის	1559
ლიკენიის ომი	1558-83	იამ-ზაპოლიეს ²	1582
		პლოუხის ³	1583
რუსეთ-შვეციის	1590-93	ტიავზინის	1595
რუსეთ-შვეციის	1610-17	სტოლბოვის	1617
ოცდაათწლიანი ომი	1618-48	ვესტფალიის	1648
რუსეთ-პოლონეთის	1632-34	პოლონოვის	1634
ინგლის-პოლანდიის	1652-54	უკრემინსტურის	1654
რუსეთ-პოლონეთის	1654-67	ანდრიუსოვის	1667
რუსეთ შვეციის	1656-58	კარდისის	1661
ინგლის-პოლანდიის	1665-67	ბრედისის	1667
დეკოლუციური ომი	1667-68	აახენის	1668

ინგლის-პოლანდიის	1672-74	უესტმინსტერის	1674
რუსეთ-ოსმალეთის	1676-81	ბახჩისარაის	1681
ომი პოლანდური მემკვიდრეობისათვის	1688-97	რისვიკის	1697
ჩრდილოეთის ომი	1700-21	ნიშტადტის	1721
ომი ესპანური მემკვიდრეობისათვის	1701-14	უტრენტის	1713-15
		რაშტატის ცენტრი	1714
რუსეთ-ოსმალეთის	1710-13	ადრიანის რეზიდენცია	1713
კენეცია-ოსმალეთის	1714-18	პოფარევაცის	1718
ავსტრია-ოსმალეთის	1716-18	პოფარევაცის	1718
ომი პოლონეური მემკვიდრეობისათვის	1733-35	ვენის	1738
რუსეთ-ოსმალეთის	1735-39	ბელგრადის	1739
I სილეზიური ომი	1740-42	ბერლინის	1742
ომი ავსტრიული მემკვიდრეობისათვის	1740-48	აახენის	1748
რუსეთ-შვეციის	1741-43	აბოს	1743
II სილეზიური ომი	1744-45	დრეზდენის	1745
შვიდწლიანი ომი	1756-63	პარიზის	1763
		პუბერტუსბურგის	1763
რუსეთ-ოსმალეთის	1768-74	ქუჩუკ-კაინარჯის	1774
ომი აშშ-ის დაძლევიდებლობისათვის	1775-83	პარიზის	1783
რუსეთ-ოსმალეთის	1787-91	იასის	1791
რუსეთ-შვეციის	1788-90	ვერელის	1790
I კოალიციური ომი	1792-97	კამპოფორმიოს	1797
II კოალიციური ომი	1799-1802	ლუნევილის ⁴	1801
		ამიენის ⁵	1802
რუსეთ-ირანის	1804-13	გულისტანის	1813
III კოალიციური ომი	1805	პრესბურგის	1805
IV კოალიციური ომი	1806-07	ტილზიტის	1807
ოსმალეთის მალეკის	1806-12	ბუქარესტის	1812
რუსეთ-შვეციის	1808-09	ფრიდრიხსგამის	1809
V კოალიციური ომი	1808-09	შენბრუნის	1809
VI კოალიციური ომი	1813-14	პარიზის	1814
VII კოალიციური ომი	1815	პარიზის	1815
რუსეთ-ირანის	1826-28	თურქმანჩაის	1828
რუსეთ-ოსმალეთის	1828-29	ადრიანის პოლის	1829
I „ოპოზიციის ომი“	1840-42	ნანკინის	1842
ავსტრია-იტალიის	1848-49	მილანის	1849
ყირიმის ომი	1853-56	პარიზის	1856
II „ოპოზიციის ომი“	1856-60	პეკინის	1860
ავსტრია-იტალია-საფრანგეთის	1859	ვილანგის	1859
ავსტრია-პრუსიის	1866	პრაღის	1866
საფრანგეთ-პრუსიის	1870-71	ფრანკფურტის	1871
რუსეთ-ოსმალეთის	1877-78	სან-სტეფანი	1878
იაპონია-ჩინეთის	1894-95	სიმონოს ქაის	1895
იტალია-ეთიოპიის	1895-96	ადის-აბებას	1896
ესპანეთ-ამერიკის	1898	პარიზის	1898
ინგლის-ბერძნების	1899-1902	პრეტორიის	1902
რუსეთ-იაპონიის	1904-05	პორტ-სეუტის	1905
იტალია-ოსმალეთის	1911-12	ლოზანის	1912
I ბალკანური ომი	1912-13	ფონდონის	1913
II ბალკანური ომი	1913	ბუქარესტის ⁶	1913
		კონსტანტინოპოლის ⁷	1913

I მსოფლიო ომი	1914-18	ვერსალის ⁸ სენ-ჟერმენის ⁹ ნიკი ¹⁰	1919 1919 1919
საბერძნეთ-ოსმალეთის	1919-22	ტრიანსის ¹¹ სევრის ¹²	1920 1920
სსრპ-უზინეთის	1939-40	ლოზანის ¹³ მოსკოვის ¹⁴	1923 1940
II მსოფლიო ომი	1939-45	პარიზის ¹⁵ სან-ფრანცისკოს ¹⁶	1946 1951
ნიდურლანდ-ინდონეზიის	1945-49	პაგის	1949
საურანგეთის კოლონიური ომი			
ინდოჩინეთში	1945-54	ჰანევის	1954
კორეის	1950-53	ფუნგ-უნგომის	1953
საფრანგეთ-ალჟირის	1954-62	კვიანის	1962
ვიეტნამის	1962-75	პარიზის ¹⁷	1973
ირან-ერაყის	1980-88		

¹ დაირღვა ქ. წ. 418 წელს.

² დაზავება რესერვისა და პოლონერ-ლუტერანის სახელმწიფოს შორის.

³ დაზავება რესერვისა და შვეციას შორის.

⁴ საურანგეთისა და ავსტრიის შორის.

⁵ საფრანგეთისა და ინგლისს შორის.

⁶ ბულგარეთისა და I ბალკანური ომის მოქავშირების შორის.

⁷ ბულგარეთისა და თურქეთის შორის.

⁸ გერმანიისა და გამარჯვებულ სახელმწიფოების შორის.

⁹ ავსტრიისა და გამარჯვებულ სახელმწიფოების შორის.

¹⁰ ბულგარეთისა და გამარჯვებულ სახელმწიფოების შორის.

¹¹ უნგრეთისა და გამარჯვებულ სახელმწიფოების შორის.

¹² თურქეთისა და გამარჯვებულ სახელმწიფოების შორის.

¹³ გამარჯვებულ სახელმწიფოებისა და გერმანიის მოკავშირების (იტალია, რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი და უინგონი) შორის.

¹⁴ ზევი 51 გამარჯვებულ სახელმწიფოსა და იაპონიას შორის (სსრპ-ისა და სოციალისტური სახელმწიფოების მონაწილეობის გარეშე).

¹⁵ სამშვიდომო შეთანხმების დაცების შემდეგ დაიწყო სამოქალაქო ომი.

ყველაზე სისხლისაღვანელი ბრძოლა

(ძველი დროის)

• პლატეასთან ბერძნ-სპარსელთა ბრძოლაში (ქ. წ. 479 წ.) დაიღუპა 250 ათასი ადამიანი, ხოლო პუნგებისა და რომაულების ბრძოლაში, რომელიც გაიმართა საფრანგეთში, კატალაუნის მინდვრებზე (451 წ.), ურთ დღეში დაიღუპა 200 ათასი ადამიანი. თუმცა, თანამედროვე ისტორიკოსები კრიტიკულად უდგებიან ზემოაღნიშნულ ცნობებს.

• დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე ყველაზე სისხლისმდვრელი ბრძოლა გახლდათ ტიუტონის ბრძოლა ტედკასტერთან (1461 წლის 29 მარტი), იორკების 36.000-მა მომხრემ დამარცხება აგება ლანკასტერების

40.000-იან ჯარის. საერთო მსხვერპლმა 28-38 ათასი კაცი შეადგინა.

• ტაციტუსი ასახელებს 80.000 დაღუ- 3ულ ბრიტანელს ქ. წ. 61 წელს ისენის დედოფალ ბოჟდიკასა და ბრიტანეთის რემაჟლ გუბერნატორ სიუტონიუს პაულინოუს შორის მომხდარ ბრძოლაში. ამასთან, თითქოს 10 ათასი რომაული ჯარისკაციდან მხოლოდ 400 ადამიანი დაიღუპა.

(თანამედროვეობის)

• თანამედროვეობის ყველაზე სისხლის- მდვრელი ბრძოლა სამხედრო მოსამსახურეთა მსხვერპლის მიხედვით იყო ბრძოლა საფრანგეთში მდ. სომაზე (1916 წლის 1 ივნისი – 19 ნოემბერი). სულ დაიღუპა 1.043.896 სამხედრო მოსამსახურე, აქციან 623.907

აღაშიანი ანტარქტის მხრიდან (მათ შორის 419.654 ინგლისელი) და 419.989 გერმანიის მხრიდან. გერმანელთა მიერ გამოქვეყნებული რიცხვი 670 ათასია არ შეუურვება სინამდვილეს. ბრძოლის პერიოდში კანონიდა ლონდონის ერთ-ერთ რაიონშიც კი ისძოდა.

• აღაშიანთა საუროო შესვერპლის მიხედვით კველაზე სისხლისძლელელი იყო სტალინგრადის ბრძოლა, სადაც დაიღუპა 2,1 მილიონი აღაშიანი. ბრძოლა დამთავრდა 1943 წლის 2 თებერვალს გერმანიის ჯარების კაპიტულაციით.

კარის ულა
გერმანიის

სახელმწიფო ბრძოლები

ბრძოლა

თარიღი

რა მოვლენის დროს მოხდა

ქრისტეს წინარე

მარათონის	490	ბერძენ-სპარსელთა ომი
პლატეას	479	ბერძენ-სპარსელთა ომი
ამფიბოლის	422	პელიამონესის ომი
ლევანენის	371	ბრძოლა თებესა და სპარტას შორის პეგემონისათვის
ქერონესის	338	ბერძენ-მაკედონელთა ომი
ისასის	333	მაკედონელ-სპარსელთა ომი
გავგამელას	331	მაკედონელ-სპარსელთა ომი
კანესის	216	II პუნიკური ომი
მეტავრის	207	II პუნიკური ომი
ზამანის	202	II პუნიკური ომი
კინოსტეუალების	197	რომაულ-მაკედონელთა ომი
ფარსალონის	48	სამოქალაქო ომი კეისარისა და პომპეუსის შორის

ქრისტეს შემდეგ

ტევტობურგის ტაქტი	9	გერმანელი ტომების თავდასხმა რომის სახელმწიფოზე
კატალაუნის მინდვრებზე	451	პუნიკური შეტყია დასავლეთზე
პუატიეს	732	არაბების შეჭრა ფრანკების სახელმწიფოში
მდ. ლეხის	955	უნგრელების შეტყია დასავლეთზე
ჰეისტინგზის	1066	ნორმანდების შეჭრა ბრიტანეთის კუნძულზე
დიდგორის	1121	ქართველთა ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ
შამქორის	1195	საქართველოს ბრძოლა ილდევიზიდი ათაბეგის წინააღმდეგ
ბასიანის	1203	საქართველოს ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ
მდ. იუმერზე	1210	ძველი ესტების ბრძოლა თავისუფლებისათვის
ბუგინის	1214	მონარქიის მომხრეთა ბრძოლა უკრძალების წინააღმდეგ
მადიშეპიავას	1217	ინგლისა და საფრანგეთში, ტახტისათვის ბრძოლა
კალკას	1223	გერმანიაში
საულის	1236	ძველი ესტების ბრძოლა თავისუფლებისათვის
მდ. ნევაზე	1240	მონლოლთა დაპყრობითი ომები
ბრძოლა ყინულზე	1242	ლიტველების ბრძოლა მახვილოსანთა ორდენის წინააღმდეგ
დურბის	1260	შვედების თავდასხმა რუსეთზე
რაკვერის	1268	გერმანელი ჯერონის-რაინდების შეტევა აღმოსავლეთზე
კურტრესი	1302	ლიტველების ბრძოლა ტევტონთა ორდენის წინააღმდეგ
მორგარტენის	1315	რუსების ლაშქრობა კირუმააში
სიამაქეს	1343	ფლანდრიის ქალაქების აჯანყება ფრანგი დამპყრობლების წინააღმდეგ
კრესიის	1346	მეედცარიელების ბრძოლა პაბსბურგების ბატონობის წინააღმდეგ
კულიკოვოს	1380	იურევის დამის აჯანყება
		ასწლიანი ომი
		რუსების ბრძოლა თათარ-მონღოლთა წინააღმდეგ

კოსოვოს ველზე	1389	სერბიისა და ბოსნიის ბრძოლა თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ
გრიუნვალდის	1410	„დიდი ომი“ ტეკტონთა ორდენის წინააღმდეგ
აზენკურის	1415	ასწლიანი ომი
ბოსნიორტის	1485	ალისფერი და თეთრი ვარდების ომი
მარინიანის	1515	იტალიური ომები
პავიის	1525	იტალიური ომები
მოგაჩის	1526	ოსმალურ-უნგრეთის ომი
ომულის	1560	ლივონიის ომი
თეორი მთის ბრძოლა	1620	რცდაათწლიანი ომი
მარტყოფის	1625	ქართლ-კახეთის აჯანყება ყიზილბაშთა წინააღმდეგ
მარაბდის	1625	ქართლ-კახეთის აჯანყება ყიზილბაშთა წინააღმდეგ
ბრაიტენფელდის	1631	ოცდაათწლიანი ომი
ლიუცენის	1632	ოცდაათწლიანი ომი
ნეაზბის	1645	ინგლისის I სამოქალაქო ომი
პრესტონის	1648	ინგლისის II სამოქალაქო ომი
ნარვას	1700	ჩრდილოეთის ომი
კრესტფერის	1702	ჩრდილოეთის ომი
ჰუმულის	1702	ჩრდილოეთის ომი
ჭოხტედის	1704	ომი ესპანური შემკვიდრეობისათვის
ლენნარას	1708	ჩრდილოეთის ომი
პოლტავის	1709	ჩრდილოეთის ომი
გროს-ფრენსდორფის	1757	შვიდწლიანი ომი
ლოისტენის	1757	შვიდწლიანი ომი
გუნერსდორფის	1759	შვიდწლიანი ომი
სარატოვას	1777	ომი აშშ-ის დამოუკიდებლობისათვის
რიმიკის	1789	რუსეთ-ოსმალეთის ომი
ვალმის	1792	I კოალიციური ომი
კრისისის	1795	სპარსეთის აგრესია საქართველოს მიმართ
მარენგოს	1800	II კოალიციური ომი
აუსტრიულიცის	1805	III კოალიციური ომი
იუნა-აუსტრიულტის	1806	IV კოალიციური ომი
ფრიდლანდის	1807	IV კოალიციური ომი
ვაგრამის	1809	V კოალიციური ომი
ბოროდინოს	1812	რუსეთ-საფრანგეთის ომი
ლაიფციგის	1813	VI კოალიციური ომი
ვატერლოის	1815	VII კოალიციური ომი
სოლფერინოს	1859	ევსტრია-იტალია-საფრანგეთის ომი
გეტისბურგის	1863	აშშ-ის სამოქალაქო ომი
სადოვის	1866	ავსტრია-პრუსიის ომი
სედანის	1870	ავстроანგეთ-პრუსიის ომი
ადუვას	1896	იტალია-ეთიოპიის ომი
პიტერსბურგის	1900	ანგლია-ბურგიის ომი
მუკდენის	1905	რუსეთ-იაპონიის ომი
ტანენბურგის	1914	I მსოფლიო ომი
მარნის I ბრძოლა	1914	I მსოფლიო ომი
ვერდენის	1916	I მსოფლიო ომი
ბდ. სომაზე	1916	I მსოფლიო ომი
კაპორეტის	1917	I მსოფლიო ომი
მარნის II ბრძოლა	1918	I მსოფლიო ომი
ზალცინ-გოლის	1939	იაპონიის თავდასხმა მონდოლუებზე

უდიდესი საზღვაო ბრძოლა

• მეელი დროის უდიდესი საზღვაო ბრძოლა, რომელშიც თითქმის 200.000 ადამიანი მონაწილეობდა, გაიმართა სალაშინოან ქ. წ. 480 წლის სექტემბერში. ათენელებისა და მათი მოკავშირების გამარჯვებამ შეაჩერა სპარსელთა წინსევლა. დამოუკიდებლობის შენარჩუნებამ განაპირობა ბერძნული ცივილიზაციის აღმავლობა. საბერძნეთის დამორჩილება ბერძნული ფლოტის დაუმარცხებლად შეუძლებელი იყო. მოელი დღის განმავლობაში სპარსელები ცდილობდნენ გაერღვიათ ვიწრო ფურე, მაგრამ ბერძნები უკან არ იხევდნენ. სპარსელებმა, მოუნედავად დოდი უპირატესობისა, დაკარგეს ხუთჯერ მეტი ხომალდი, ვიდრე ბერძნებმა (სპარსელთა ფლოტი ითვლიდა 800 საბრძოლო ხომალდს, ბერძნებისა – 380-ს). ამ წარუმატებლობის შემდეგ სპარსელების გავლენა ხმელთაშუა ზღვაში მკვეთრად დაეცა.

• თანამედროვე საზღვაო ფლოტისა და ავიაციის საბრძოლო მოქმედებებში გვმებისა და თვითმფრინავების ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირებულია /ფინეთში, ლეიტეს კურიში. ბრძოლა მიმდინარეობდა 1944 წლის 22-27. იანვრის დღის მასში მონაწილეობდა 231 სამხედრო და 1996 თვითმფრინავი. მოკავშირეთა 166 გემიდან და იაპონელთა 65 სამხედრო ხომალდიდან ჩაიძირა 26 იაპონური და 6 ამერიკული საომარი გემი. ჰაურში იბრძოდა 1.280 ამერიკული და 716 იაპონური თვითმფრინავი.

• ჩვენი დროის „წმინდა საზღვაო ბრძოლებს“ შორის უდიდესი იყო იუტლანდის ბრძოლა (1916 წ. 31 მაისი), რომელშიც 151 ბრიტანული სამხედრო ხომალდი ებრძოდა 101 გერმანულ ხომალდს. ბრიტანელებმა დაკარგეს 14 ხომალდი და 6.097 ადამიანი, გერმანელებმა კი – 11 ხომალდი და 2.545 ადამიანი.

საზღვაო ბრძოლები

ბრძოლა	თარიღი	რა მოვლენის დროს მოხდა
--------	--------	------------------------

ქრისტეს წინარე

სალამინის	480	ბერძენ-სპარსელთა ომი
მიკალის	479	ბერძენ-სპარსელთა ომი
მდ. ეგოსპოტამოსთან	405	პელოპონესის ომი
ეგატის კუნძულთან	241	I პუნიკური ომი
„ქარისტის“	31	სამოქალაქო ომი რომში ოქტავიანესა და ანტონიუსს შორის

ქრისტეს შემდეგ

ლეპანტოს	1571	ვენეცია-ოსმალეთის ომი
„უძლეველი არმადის“ დაღუპვა	1588	ინგლის-ესპანეთის ომი
განგუტის	1714	ჩრდილოეთის ომი
ჩესმენის	1770	რუსეთ-ოსმალეთის ომი
გოგლანდის	1788	რუსეთ-შვეციის ომი
ტალინის	1790	რუსეთ-შვეციის ომი
აბუკირის	1798	ნაბრძოვონის ეგიპტური ექსპედიცია
ტრაფალგარის	1805	III კოალიციური ომი
ნაუარინის	1827	საბერძნეთის განმათავისუფლებელი ომი
სინოპის	1853	ყირიმის ომი
ცუსიმის	1905	რუსეთ-იაპონიის ომი
იუტლანდის	1916	I მსოფლიო ომი

კველაზე დამანგრევები 1940

II მსოფლიო ომის დროს მიყენებული მატერიალური ზარალი ბჟერად აღემატება ყველა სხვა ომების მიერ მიყენებულ ზარალს უნიად აღებულის. იგი შეადგენს 1,5 ტრილიონ დოლარს. საბჭოთა კავშირის ზარალი, 1959 წლის მაისის მონაცემებით, შეად-

გინა 2.500 მილიარდი მანეტი, ამერიკისამ — 530 მილიონი დოლარი. დიდი ბრიტანეთის მატერიალურმა ზარალმა II მსოფლიო ომში შეადგინა 34 მილიარდი ფუნტი / სტურლინგი, რაც დაახლოებით ხუთჯერ აღემატება. პირველი მსოფლიო ომის ზარჯებს და 159-ჯერ ბურებთან ომის ზარჯებს. ^{1950-ის მილიარდი}

I და II მსოფლიო ომები

I მსოფლიო ომი (1914-1918)	II მსოფლიო ომი (1939-1945)
------------------------------	-------------------------------

სანკრძლივობა	4 წელი და 3,5 თვე	6 წელი
მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობა	30-ზე მეტი	60-ზე მეტი
აქტიურად მონაწილე სახელმწიფოთა		
მოსახლეობის რაოდენობა	1 მილიარდზე მეტი	1,7 მილიარდი
საომარ მოქმედებათა რაონის ფართობი	4 მილიონი კმ ²	22 მილიონი კმ ²
მობილუსტებული შეთარაღებული მაღავები	70 მილიონზე მეტი	110 მილიონი
ბრძოლებში მოკლეულნი და		
კრიტიკული დაღუპულნი	13,6 მილიონი	50 მილიონი
ანგაღილები და დაჭრილები	20 მილიონზე მეტი	90 მილიონზე მეტი
მატერიალური ზარალი	360 მილიარდი \$	4000 მილიარდი \$
მათ შორის სამხედრო ზარალი	208 მილიარდი \$	1384 მილიარდი \$
სარმოვალი იყო:		
თვითმფრინავები	181,9 ათასი	667 ათასი
ტანკები	9,2 ათასი	282 ათასი
საარტილერიო ქვემენები და		
ნაღმისატყორცნები	169,8 ათასი	2527 ათასი

უდიდესი თავდასხმა

- ომების ისტორიაში უდიდესი თავდასხმა გახლდათ მოკავშირეთა ოპერაცია, განხორციელებული პარიდან, ზღვიდან და სმელეთიდან 1944 წლის 6 ივნისს საფრანგეთში, ნორმანდიის სანაპიროზე. პირველი სამი დღის განმავლობაში სანაპიროს მიუახლოვდა 745 ხომალი და 4.066 სადესანტო გეში, რომელზეც იმყოფებოდა 185 ათასი ადამიანი, 20 ათასი სატრანსპორტო საშუალება და 347 სანაღმო ტრალერი. საპარტიო-სადესანტო ოპერაციებში მონაწილეობა მიიღო 1.087-მა თვითმფრინავმა და 18 ათასმა პარაშუტისტმა. 13.175 თვითმფრინავი საპარტიო დახმარებას უწევდა 42 დივიზიას. ერთი თვის განმავლობაში მოკავშირეებმა სულ გადასხეს 1,1 მილიონი მედესანტე, გადაისროლეს 200 ათასი

სატრანსპორტო საშუალება და 750 ათასი ტონა ტვირთი.

- 1943 წლის 10-12 ივნისს სიცილიაში შეჭრის დროს სამ დღეში მოკავშირეებმა გადასხეს 181 ათასი ადამიანი.

უდიდესი საპარტიო თავდასხმა

უდიდესი საპარტიო თავდასხმა განხორციელდა ინგლისელთა და ამერიკელთა მიერ 1944 წლის 17 სექტემბერს პოლანდიაში, არდენის რაიონში. შეტევაში მონაწილეობდა სამი დივიზია 34.000 კაცის შემაღებლობით, 2.800 თვითმფრინავი და 1.600 პლანერი.

უდიდესი უპაკუაცია

ომების ისტორიაში ყველაზე დიდი უპაკუაცია განხორციელდა მოკავშირეთა 1.200

საბრძოლო და სამოქალაქო საშუალებით 1940 წლის 27 მაისიდან 4 ივნისამდე საფრანგეთში დოუნკურეთიან. სულ გამოიყენეს 338.226 ინგლისელი და ფრანგი სამხედრო მოსამსახურე.

შპელაზე სისხლის მდგრადი აღგა

- კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი აღყა იყო ლენინგრადის 800-დღიანი ბლოკადა, განხორციელებული გერმანიის არმიის მიერ 1941 წლის 30 აგვისტოდან 1944 წლის 27 იანვრამდე. ყველაზე ზუსტი გამოთვლებით დაიღუპა 1,3-1,5 მილიონი ქალაქის დამცველი და მოქალაქე. ამ რიცხვები შედის შიმშილისაგან დახოცილი 641 ათასი და დაბომბვისას დაღუპული 17 ათასი ადამიანი (ჩამოგდებული იყო 100 ათასი ჭურვი).

- ძველი დროის ყველაზე ხანგრძლივი აღყა, ჰერიდოტეს მონაცემებით, იყო ისრაელის ქალაქ ისდუდის (ახლანდელი აშდოდი) აღყა ევვიპტის მძრძანებლის – პამეტის I-ის მიერ, რომელიც გრძელდებოდა 29 წელიწადს (ქ. წ. VII ს.).

შპელაზე დიდი სამხედრო ბუნტი

I მსოფლიო ომის დროს 56-შა დივიზიამ, რომელიც 650.000 ჯარისკაცა და ოუკიცერის ითვლიდა, 1917 წლის აპრილში, წარუმატებელი შეტევის შემდეგ, უარი განაცხადა შეესრულებინა დასავლეთის ფრონტის შეთაურის – გენერალ როზერ ნოველის ბრძანებები.

შპელაზე ჩანგრძლივი სამხედრო მსელელობა

- ჩინელი კომუნისტების ცნობილი დიდი მარში (1934-1935 წწ.) ყველაზე ხანგრძლივი სამხედრო მსელელობაა მსოფლიო ისტორიაში. იგი გრძელდებოდა 368 დღე-იქტომბრიდან შემდეგ ოქტომბრიმდე 90.000-იანსა არმიამ გაიარა 9.650 კმ ძანსიდან იანამდე. ჯარმა გადალახა 18 ქვედი და 6 დიდი ძინარე, გომინდანის ეროვნულ არმიასთან ბრძოლის შედევრად დაკარგა 68 ათასი ადამიანი.

- 1944 წლის 12-13 სექტემბრის დამით ირლანდიის გვ. IV სახელეთო ბატალიონის 9-კაციანმა ჯგუფმა მოაწყო 12-საათიანი დამის გადასვლა 68 კილომეტრზე სრული საომარი აღჭურვილობით (თითოეულის ბარგი 18,1 კილოგრამს იწონდა).

შპელაზე არაია

მსოფლიოში უძველესად ითვლება რომის პაპის შეიცარიული გვარდია ვატიკანში.

მასში 80-90 ადამიანია. რეგულარულ საფრანგელზე იყი 1506 წლის 21 იანვარს შეიქმნა, ხოლო ჩამოყალიბდა გაცილებით ადრე – 1400 წელს.

შპელაზე ჯარისპატი

შესაძლებელია, რომ მაგისტრული უსაცემი ჯარისკაცი იყოს ამერიკის კონფედერაციული შტატების არმიის მებრძოლი ჯონ ბ. სალინგი. ბოლო პერიოდში იყი გახლდათ ერთადურთი ცოცხალი ძოში ამერიკის სამოქალაქო ომისა (1861-1865 წწ.). გარდაიცვალა ტენესის შტატის ქალაქ კონგსპორტში 1959 წლის 16 მარტს, 113 წლისა და 1 დღის ასაკში.

შპელაზე ახალგაზრდა ჯარისპატი

- ბრაზილიის სახელმწიფო მოღვაწეების გმირი – მარშალი ჰერცოგი კაშისი (1803-1880) სამხედრო სამსახურში ჩარიცხეს 1808 წელს, 5 წლის ასაკში.

- XX საუკუნეში ყველაზე ახალგაზრდა სამხედრო მოსამსახურე გახლდათ უილიამ ფრედერიკ პრაისი, რომელიც სამხედრო სამსახურში შევიდა 1903 წელს ოლდერშოტში, 11 წლისა და 356 დღის ასაკში.

პირველი ტანკი

პირველი ტანკი – ინგლისური „ლინკოლნ № 1“, რომლის შემდგომ მოდიფიკაციას ერქვა „ლითლ ბილი“, დაამზადა ფირმა „უილიამ ფოსტერ ენდ კომპანიმ“ ლინკოლნში. პირველი გამოცდები ჩატარდა 1915 წლის 6 სექტემბერს. ტანკები პირველად გამოიყენეს სატყვიამ-ფრქვევო კორპუსის მძიმე განყოფილებაში, რომელიც შემდეგ, 1916 წელს საფრანგეთში ფლერ-კურლეს ბრძოლაში გარდაიქმნა სამუქო სატანკო კორპუსად.

პირველი მანევრი

- ვარაუდობენ, რომ პირველი ქაემებები 1250 წელს გამოჩნდა ჩინეთსა და ჩინდილოეთ აფრიკაში.

- საზენიტო ქემებები პირველად გამოიყენეს პრუსიელებმა 1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომში ფრანგების სამხედრო აეროსტატების წინააღმდეგ.

მასალა მომზადა იღია სელაიამ.

საინტერასო გაბაზი

❖ სამზედო ისტორია ❖



ჯორჯ ვაშინგტონის ხელოუნური კბილები პქონდა.

გენერალი ულის გრანტი ალკოჰოლიზმით იყო შეაყრობილი.

ინგლისელი ფელდმარშალი არტურ უელინგტონი ნორმაზე ნაკლებს იწონიდა.

ვიკტორიალი პორაციონელი ჯერ ცალთვალა გახდა, შემდეგ კი ცალხელაც გენერალ-ფელდმარშალი მიხაილ კატეტოვიც ცალთვალა იყო.

ნაპოლეონს კუჭის წყლული აწერებდა.

ოულიუს კეისარი ეპილეფსით იყო დავალებული.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მათ დიდი სამხედრო მოღვაწეების სახელი და ძამკვიდრეს ისტორიაში.



საფრანგეთ-პრუსიის ომში საფრანგეთმა დაკარგა ელჩაზი და ლოტარინგია. ომის შემდეგ ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა კოკლენმა ბერლინიდან მიიღო დეპეშა, რომლითაც სოხოვდნენ მონაწილეობა მიედო რამდენიმე საექტაკლეში. დეპეშის ბოლოს კი ეწერა:

- გთხოვთ, სასწრაფოდ შეგვატყობინოთ რას მოგვთხოვთ სპასტაკლში მონაწილეობისათვის.
- ელჩასსა და ლოტარინგიას! — დეპეშითვე უპასუხა კოკლენმა.



1946 წლის 16 ოქტომბერს, ღამით, ნიურნბერგის ციხის ეზოში, სისრულეში მოიყვანეს გამოტანილი განაჩენი. პირველად ჩამოახრჩეს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოანეს ფონ რიბენტოპი. შემდეგ მას შოპუვა შესამე რაინის ვენერალ-ფელდმარშალი — კეიტელი. მან უკანასკნელი სიტყვები წარმოთქვა სასიკვდილო აქტის მცირერიცხოვან დამსწრეთა, ოთხი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელთა წინაშე:

— მე მივმართავ ყოვლისმებლე ღმერთს და ვთხოვ მას შეიბრალოს გერმანელი ხალხი. ჩემამდე ორ მილიონზე მეტი ვერმანული ჯარისკაცი დაიღუპა. ახლა მე მივდივარ ჩემს შვილებთან.

წინა ღამით კი საწამლავით მოისწრაფა სიცოცხლე გერმანგმა. ბარათში, რომელიც მან ნიურნბერგის ციხის უფროსის, ამერიკელი პოლკოვნიკის — პენდრიუსის სახელზე დატოვა, ეწერა: „ისტორიას ჯერ არ ახსოვს, რომ ფელდმარშალი ჩამოიქრისთ.“



ნელსონი ნაპოლეონის ფლოტის წინააღმდეგ წარმოებულ ტრაფალგარის ბრძოლაში (1805 წ.) სასიკვდილოდ დაიჭრა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „და ბოლოს მეც მომკლეს.“



1511 წელს კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეობა – გიორგიმ მოკლა საკუთარი მამა ალექსანდრე I, თვალები დასთხარა ძმას დიმიტრის და ხელისუფლება/მიიტაცა. ამის შემდეგ ეს უზურპატორი დღენიადაგ აოხრებდა ქართლის სამეფოს და მის დაპყრობას ლამობდა. ქართლის მეფე დავით X უძლური აღმოჩნდა და ავ-გიორგის (ასე უწოდეს კახელებმა თავისთვის მამისი კვლელ მეფეს) წინააღმდეგ ბრძოლა თავის ძმას – ბაგრატს მიანდო. ქართლულ-კახელთა ბრძოლამ დაძაბული ხასიათი მიიღო.

ერთხელ ავ-გიორგიმ ქსნის ციხეში გამაგრებულ ბაგრატს აღყა შემთარტყა. გარემოცვა 3 თვეს გაგრძელდა. მეციხოვნები სულ დაფავდნენ, არც მოაღყენები ფიქრობდნენ გაცლას. მაშინ ავ-გიორგიმ ბაგრატის დაცინვა ინება, თანაც აღყაში მომწყვდეულთა განწყობილება სურდა გაეგო და ციხეში გამოკეტის მფლის ძმას ხელადით ლკინო გაუგზავნა, თან შეუთვალა: „მეუის ძე ხარ, უკის ლკინო შემოგაჟოდეს და ეს მიირთვიო.“

მეციხოვნები ზომ შიმშილობდნენ, მაგრამ იმ დღეს შემთხვევით ორაგული მოუნადირებინათ. ბაგრატმა არ დააყოვნა, ავ-გიორგის ხელადა ლკინისათვის მოცლობა მოახსენა, სამაგრეო „საჩუქრად“ კი ახალი თევზი გაუგზავნა და შეუთვალა:

– „დიდი ხანია რომე დგახარ პირსა ქსნისასა და ვერ გიშოვდა ლოაგული, და აწ ესე იქმივ და წარვედ ქვეყანასა შენსა.“

ავ-გიორგიმ იფიქრა – სამი თვეა ეს ხალხი აღყაში მყავს და აქამდე ცოცხალი ორაგული არ შემოჰკლებიათ, მაგ ციხის აღება როდისღა იქნებათ, მოხსნა აღყა და ქართლს გაუკალა.




ქრისტეს წინარე 211 წელს რომაელებმა აიღეს ქუნძული სიცილიაზე არსებული ქალაქ-სახელმწიფო – სირაკუსა. ქალაქი დიდი ხნის განმავლობაში ვაჟკაცურად უმკლავდებოდა მომხვდერთა აღყას. სირაკუსას დაცვას ხელმძღვანელობდა დიდი ბერძენი მათებატიკოსი და ფიზიკოსი არქიმედე, რომელიც შეეწირა კიდეც ბრძოლას.

პლატარქეს ცნობით, დიდი მეცნიერი თითქოს ისე ყაფილა გატაცებული ნახაზზე მუშაობით, რომ ქალაქის დაცემა ვერ გაუგა. მის წინ მოუკლოდნელად აღმართულმა რომაელმა მეომარმა უბრძანა ჯარის უფროსთან ვაჟკოლოდა, ხოლო არქიმედეს განუცხადებია: ვიდრე ამ ამოცანას არ ამოვხსნი და ვასუხს არ მივიღებ, ვერსად ვერ გამოგყვებიო.




მატიანე იორწმუნება, რომ თითქოს 1380 წელს გამართული ჭულიკოვოს სისხლისძლვრელი ბრძოლის დროს დიმიტრი დონელის, რუსთა ჯარების მოავარსარდალს, ცნობა წაერთვა. იგი ზის ქვეშ მხოლოდ მაშინ იპოვეს, როცა რუსთა მხედრობაშ მამაის თათართა ურდოები უკვე გაანადგურა.

უკრაინული მეცნიერებები



თარაზებაზ:

1.



(ქართული გვარი,
რომელსაც ეკუთხნის
კი საგერბე ფარი)

5.



6. პალეოლითი



...



ნეოლითი

9.



ძველი

?

10. „პატრიონის“ მემკვდელი ტერმინი
(პკგიღილება XV საუკუნიდან).



(ძველი საეპისკოპოსო კათოლიკ აღხაზეთი)

14. რიფსიმე და ...



17. კრიფთო რობაქიძე
ქაწუცხ ჩოლოებშვილი
ნოე ქორდანია
ნოე რაშიშვილი
მიხაგო წერეთელი
გიქტორ ნოზაძე

(ებურძალები ადგილი)

20.




21. საღმანასარი

თუქულითი-ნინურტა
ტიგლათფილესერი
სარგონი
ასურბანიფადი


(სახელმწიფო, რომელიც ეს მევეები შართავდნენ)

25. ქალაქი, სადაც 1555 წელს ინან-
თბემალეთის ზაგი დაიდო.26. რა პეტ ამირ-მირშანს (1195 წლის
შამქორის ბრძოლის თანამედროვეებ) „ქარ-
თლის ცხოვრების“ მიხედვით?

27.



30.



კულტურული
მემკვიდრეობის
სისტემა

33. დიდი

გრიგორი დგთისმეტყველი
ითანე თქმუმარი

34. საისტორიო ჩანაწერთა კრებული ძველ
საქართველოში.

35.



36. ჭიგალი, გუჯარი, წიგნი, საბუთი, . . .

37. ერთ-ერთი შინუალებიდან ციხესიმაგრე
საფრანგეთში, რომელიც 1429 წლის 8 მაისს
გაათავისუფლა ფანა დ'არკმა.

შეკვეთ:

1. „ჯუჯა-სახელმწიფო“ ებანეთისა და
ხაფრანგეთის ხაზღვარზე, ურსელის ეპიკო-
პოეთის სამფლობელო.2. ოუდეველითა ცნობილი მეფე ქრისტია-
ნიანე VIII საუკუნეში.3. ქალაქი, რომელიც 1552 წელს დაიბური-
ლა შეირთმა რუსეთმა.4. თანამედროვე სახელმწიფო, რომლის
შემადგენლობაშიც შედის ისტორიული ნუშა-
დის ტერიტორია.5. დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, შვეიცარია, დანია,
იაპონია, საუდის არაბეთი...

(სახელმწიფო წყობალება)

7. არაბული სახელმწიფო მკვდარი ზღვის
ხანამინთზე.

12.



(კუნძულობრივი ჯგუფი, ხდები
მსგავსი ქანდაკებები
განხვდება)

13.



(ნეტარი . . .)

14. შავბოგრის ჯგარცმის ადგილი.

15. ახალქალაქია, ნოვგოროდი, . . .

18.



(ჩახელი)

19.



(რა მწერნაცადის
გამოხატვები
შეიკვეთას მასზე?)

22. მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე

(შათა დაწერილი წმინდა ჭიდა)

23. მხარე ფრიგის ნიდანითოთი.

(სამარტინი)

24. მართველი საზოგადოებრივ უნილობა
ძევებ მონღოლური.28. ლაწესებულება, რომლის დანიშნულებაა
დოკუმენტური მახალების მიღება, აღრიცხვა,
დაწერა, შენახვა და დამუშავება.29. ბეთანია, ბერთუბანი, კარმია, ყანწერია
(შევე, რომლის ფრესკები მხოლოდ ამ ტაძრებშია)

31. ეხბანეთის მემკე 1870-1873 წლებში.


32.



(ქართველი)

შემდგენელი რობერტ კრისტი

ნინა ქროსორდის აასახავი:





❖ სამხედრო ისტორია ❖

მუშეუმში გიდი ტურისტებს უხსნის: „თქვენს წინაშეა უნიკალური ექსპონატი – ბერძენი მეომრის ქანდაკება. ალბათ შეამჩნიეთ, რომ მას აკლია ხელი და ფეხი, დაზიანებულია თავი. ხელოვნების ამ ნიშაშს ეწოდება „გამარჯვებული“.

— როგორც ჩანს, მძიმე ბრძოლა ყოფილა, — შენიშვა ერთმა დამთვალიურებულმა, — საინტერესო იქნებოდა გვენახა, რა დარჩა დამარცხებულისაგან.

◎

ერთი დიპლომატი ჰყვება აფრიკელ კანიბალთან საუბრის შინაარსს:


— როდესაც მას მოკუჭივი ევროპაში მიმღინარე დიდ ომზე, იგი ცნობისმოყვარეობით მეკითხებოდა, თუ როგორ კასტრები ადამიანის ხორცის ამ აუარებული მასის მირთმევას. როდესაც ავუხსენი, რომ ევროპელები არ ჭამენ დახოცილი მტრების ხორცს, იგი საშინლად აღმფოთდა და ბარბაროსები გვიწოდა, საჭიროების გარეშე რომ ვხოცავთ ხალხს.

◎

პროფესორი ეკითხება სტუდენტ გოგონას:

— ვინ არის ისტორიაში ყველაზე დიდი პიროვნება, ვის ანგარიშზეც ყველაზე მეტი გამარჯვება?


— დონ უუანი! — დაუფიქრებლად უპასუხა გოგონამ.



მამული საუბრის შინაარს

ისტორია მეორდება

ამორძალი ქალის ოჯახი



მთვრალი ჯარისკაცი შეეჩესა კაპელანს (არმიის მღვდელი აპა-პი):

— მე ვშიშობ სმიტ, რომ ჩვენ სამოთხეში ვერ შევხვდებით ერთმანეთს, — შენიშნა მან მკაცრად.

— ნუთუ, — გაიოცა ჯარისკაცმა, — ასეთი რა ჩაიდონეთ, მამაო?



მარშალმა ლილტემ საოცარი გააფირება იცოდა ხოლმე, მოიხდიდა ბერეტს, დაახეთებდა მიწაზე და ფეხით თელავდა. ამიტომაც ყოველ დილით იძლეოდა ბრძანებას:

— ჩემი ძველი ბერეტი მომიმზადეთ!



მშვიდობიან დროს კოჯრის ტყეში რვეული იპოვეს, რომელიც წითელარმიელი მებრძოლის პირადი დღიური აღმოჩნდა. დღიურში ეწერა:

„1921 წელი.

1 თებერვალი: ჩვენ ტყეში გავძაგრდით. ცოტა მოშორებით თეთრები დაბანაკდნენ.


2 თებერვალი: თეთრებმა შემოგვიტიეს და ტყიდან გამოვყარიეს.

3 თებერვალი: ასლა ჩვენ შევუტიუთ და თეთრები ტყიდან გავყარეთ.

4 თებერვალი: დილით ტყის მცველები შემოვარდნენ და ყველანი გაგვყარეს ტყიდან.“



— ბატონო ბავრატიონო, მტერი ცხვირწინაა!
— ესე იგი არცთუ ისე ახლოს.



— ამ ჯარში შეიძლება სულ დაიჟანგო!



— რაინდო, ოღონდ
ჩხუბის გარეშე, წაიყვანე
ქალი და თავი გამანებე.

1945 წელს კერძახტის ძალები თითქმის აღარ უწევდნენ წინააღმდეგობას ამერიკელებს. ერთხელ, რეზერვისტების დიდი ჯგუფი, შემდგარი ბავშვებისა და მოხუცებისაგან, ნებაყოფლობით ტყველ ჩაბარდა მთვრალ ამერიკელ ჯარისკაცს, რომელიც ხესოან ირწეოდა.

მტაბში, კითხვაზე თუ როგორ მოახერხა მარტომ ამხელა ჯგუფის დატყვევება, ჯარისკაცმა უპასუხა:

— მე მათ ალყა შემოვარტყო.




ვოგონამ წერილი მიიღო ჯარში მყოფი სატრიუმოსაგან, რომელიც საიდუმლო ობიექტზე მსახურობდა. კონვერტის განსინისას აღმოაჩინა დაბეჭდილი ფურცელი: „თქვენს მეგობარს კვლავ ძლიერ უყვარხართ, მაგრამ ბევრს ზედმეტს ლაპარაკობს. სამხედრო ცენზორი.“



სამხედრო ისტორიის გამოცდაზე კურსანტს თხოვეს დაესახელებინა აშშ-ის შეიარაღებული ძალების რაოდენობა ნებისმიერ წელს.

— 1492 წელი, რაოდენობა: 0 — გაისმა სწრაფი პასუხი.



სადღესასწაულო ზალი

ისტორიკოსები მეგობრულ

შემადგენლობა: ვასტანდ ჯუცია.

აამუშა სულხანი ვაზოლი

შარუებში
კულტურული
განვითარების



ოთარ შორდანია



ზურაბ რაფიანი



ვალერიან მაჭარაძე



გრიგორი ქავთარია



ARTANUJI

The scientific-popular journal of young historians

Georgia, Tbilisi, № 6, 1997

გარეკანის პირველ გვერდზე: ანანური. XVII ს.
გარეკანის ბოლო გვერდზე: ჯვრის ორნამენტი იშნის ტაძრიდან.



აიტყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „ინტელექტუალი“ კომპიუტერულ ცენტრში.
ს თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქ. № 50, III სართული, თ 96-75-43.

40 288/3

